



ქართული კოსტიუმი უცხოურ  
წერილობით და სახვით წყაროებში

*Georgian Costume in Foreign  
Written and Fine Arts Sources*



შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული  
სამეცნიერო ფონდი  
*Shota Rustaveli National Science Foundation*



ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი  
*Kutaisi State Historical Museum*

ქართული კოსტიუმი უცხოურ  
წერილობით და სახვით წყაროებში

*Georgian Costume in Foreign Written  
and Fine Arts Sources*

ქუთაისი  
*Kutaisi*  
2021

კვლევა განხორციელდა და ნაშრომი მომზადდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტი № YS-19-806].

ავტორთა ჯგუფი:

*ირინა უგრეხელიძე*

*ნონა ქარციძე*

*ელისო ჩუბინიძე*

რედაქტორი: **ლია ლურმანაშვილი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ინგლისური ტექსტის რედაქტორი: **ნინო ჩუბინიძე**

თარგმანი: **ნინო ჩუბინიძე**

**ნინო სარავა**

პროექტი განხორციელდა ნ. ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში

ISBN 978-9941-83996-2

© ი.მ. „მარიამ იოზაძე“

This research was supported and the monograph prepared by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [grant number YS-19-806].

Authors:

*Irina Ugrehelidze*

*Nona Kartsidze*

*Eliso Chubinidze*

Editor: **Lia LursmanaSvili**

Professor of Georgian Technical University

English Text Editor: **Nino Chubinidze**

Translator: **Nino Chubinidze**

**Nino Sarava**

The project was implemented in the Kutaisi State Historical Museum



## რედაქტორისაგან

მონოგრაფია „ქართული კოსტიუმი უცხოურ წერილობით და სახვით წყაროებში“ ავტორთა ჯგუფის ერთობლივი ნაშრომია. მასში წარმოდგენილია ჩვენი ხალხის სულიერი კულტურისა და ესთეტიკური იდეალების ნიმუშის – ქართული ისტორიული და ტრადიციული კოსტუმის კვლევის საკითხები.

სამოსი ადამიანის სხეულის ხელოვნური საფარველია. მის ფორმებს განსაზღვრავს ეთნიკური ნორმები და ეკოლოგიური პირობები, სამეურნეო მდგომარეობა და ხალხთა შორის კულტურულ - ისტორიული კავშირი. ტანსაცმელი, მისი ინდივიდუალური სტილი, ყოველთვის მჭიდრო და ევოლუციურ კავშირშია ერის ისტორიასთან და კულტურასთან. ჩვენი ქვეყნის საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ყოფის ვრცელი სპექტრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული და განვითარებული, კულტურული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანესი ძეგლის, ქართული კოსტუმის (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, თანამდევი აქსესუარები) ისტორიული წანამდღვრები.

მკვლევართათვის განსაკუთრებით საყურადღებოა უცხოურ წყაროებში დაცული აღწერები. უცხო დამკვირვებელი ყოველდღიურ ცხოვრებაში ამჩნევს იმას, რაც მისთვის ახალი და უჩვეულოა. ამიტომაც, მათ გადმოცემებში ამა თუ იმ ქვეყნის ყოფა-ცხოვრება გაცილებით მეტი სისრულითაა აღბეჭდილი, ვიდრე რომელიმე ადგილობრივ წყაროში. ამ მხრივ ფასდაუდებელია ავტორთა მიერ მოძიებული მასალები (1586 წლით დათარიღებული, ასაფი დალ-მეჰმედ ჩელეების ისტორიული თხზულების „შეჯაათნამეს“ ხელნაწერის მინიატურებზე გამოსახული ქართველთა სამოსი და თავსაბურავები; საქართველოში მრავალი წლის განმავლობაში მცხოვრები იტალიელი მისიონერების შემოქმედება; ქართული კოსტიუმის ასახვის საინტერესო მაგალითები გერმანელი და რუსი მხატვრების ტილოებზე), სადაც თავმოყრილი და განხილულია XV-XIX საუკუნეების უცხოურ წერილობით და სახვით წყაროებში დაცული მასალები ქართული სამოსის შესახებ. ავტორთა მიერ ძირითადად შესწავლილია მოგზაურული ლიტერატურა, ისტორიულ-გეოგრაფიული ატლასები, შემეცნებითი ალბომები, მკვლევართა ანგარიშები და სხვა ისეთი წყაროები, რომლებშიც აღწერილია ქართველთა ზნე-ჩვეულებანი და დართულია ყოფითი ცხოვრებისა და ჩაცმულობის საილუსტრაციო მასალები, გრავიურების ან მინიატურების სახით. ავტორთა მიზანს უცხოელთა თვალთ დასახული, აღწერილი და ვიზუალურად წარმოდგენილი რეალიების მნიშვნელობაზე ხაზგასმა წარმოადგენს. ასეთი სახის ინფორმაცია

უდავოდ საყურადღებო და ღირებულია იმ პირობებში, როდესაც ქართულ წყაროებში ფაქტიურად არ მოიპოვება მსგავსი სახის მასალები. ნაშრომში გაანალიზებულია გრავიურებზე წარმოდგენილი სამოსი და შედარებულია ისინი თანადროულ ქართულ წერილობით და სახვით (მონუმენტური და მინიატურული ფერწერა) წყაროებში ასახულ ჩაცმულობასთან. ავტორთა მიერ გაკეთებულია დასკვნა, რომ ფასეულია არა წარმოსახვითი, ზეპირი აღწერილობის მიხედვით შექმნილი სურათები, არამედ, თვითმხილველი დამკვირვებლის მიერ შექმნილი სახვითი მასალა – გრავიურები, ესკიზები და ჩანახატები, რომლებიც თვალსაჩინოდ წარმოგვიჩენს კოსტიუმის ფორმას, სილუეტს, დეკორირებასა და ზოგიერთ შემთხვევაში ფაქტურასაც.

ნაშრომი ქართული ისტორიული კოსტიუმის შესწავლისა და კვლევის ორიგინალური და წარმატებული მცდელობაა. სამეცნიერო ლიტერატურაში თითქმის არ მოიპოვება ინფორმაცია, რომელიც ქართულ ისტორიულ კოსტიუმს ამ კუთხით განიხილავდეს. ამიტომ, მონოგრაფია იმსახურებს ყურადღებას. ეჭვგარეშეა, შემოთავაზებული კვლევა ეროვნულ ფასეულობათა მიმართ თანაბრად აღუძრავს ინტერესს, როგორც ჩვენი ქვეყნის მატერიალური და არამატერიალური კულტურით დაინტერესებულ პირებს, ისე საზოგადოების ფართო წრეებს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
პროფესორი ლია ლურსმანაშვილი



## წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომი წარმოდგენს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის – „*უცხოურ წყაროებში დაცული ცნობები და საილუსტრაციო მასალები ქართული კოსტიუმის ისტორიისათვის*“ (გრანტი №YS-19-806) ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგების ამსახველი პუბლიკაციების კრებულს. კვლევა განხორციელდა სსიპ ნ. ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში

ქართული კოსტიუმის, როგორც ერის მხატვრული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ძეგლის, შესწავლისა და ისტორიის კვლევისათვის უცხოური წყაროებში დაცული ცნობების მნიშვნელობაზე ჯერ კიდევ დიდმა ქართველმა ისტორიკოსებმა ივ. ჯავახიშვილმა და ს. ყაუხჩიშვილმა გაამახვილეს ყურადღება.

მას შემდეგ, ფაქტიურად არ განელებულა ინტერესი უცხოენოვანი წყაროებისადმი, ჩატარდა უამრავი კვლევა, გამოიკა სხვადასხვა ნაშრომები. მიუხედავად ამისა, არსებობს მრავალი უცხოელი ავტორის ნაწარმოები – როგორც მხატვრული, სამეცნიერო-კვლევითი, ისე სახვითი, რომლებიც ქართული სამოსის შესახებ საინტერესო ცნობისა და საილუსტრაციო მასალის შემცველია და რომლებიც ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი და შესაბამისად, სამეცნიერო მიმოქცევაშიც ნაკლებად ჩანს.

ზემოდასახელებული პროექტის ფარგლებში განხორციელდა ქართულ სამოსთან დაკავშირებული ვიზუალური მასალების შემცველი სხვადასხვა წყაროების მოძიება, ტექსტიდან შესაბამისი ციტატების ამოკრება, თარგმნა (საჭიროების შემთხვევაში), მათი ანალიზი და მსგავსება-განსხვავების დადგენისათვის შესაბამისი პერიოდის ქართულ მასალებთან შედარება. კვლევის განხორციელების ორწლიან პერიოდში პროექტის მენტორის ქალბატონ ნონა ქარციძისა (ადამიანური რესურსების მართვისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი) და დამხმარე პერსონალის მხატვარ ელისო ჩუბინიძის ხელშეწყობითა და უშუალო მონაწილეობით მომზადებულ და გამოცემულ იქნა არაერთი სტატია პერიოდულ გამოცემებსა და კრებულებში – როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში (მაგ.: იხ. *Georgians and their Manner of Dress in the Resources of XV-XVII Century Italian Authors*. Theoretical & Applied Science, 12, 2020; *The Study of Georgian Historical Costumes Based on the 16th-Century Ottoman Material Sources* //History, Archaeology, Ethnology. – 2021. – №. V; *Georgian men's dress of XVII century : According to a comparative analysis of the paintings of the Italian missionary Cristoforo de Castelli and Georgian fine arts' sources*. Linguistics and Culture Review, 2021, 5 (S4); *ქართველი ქალის სამოსი ქრისტოფორო დე კასტელის ალბომიდან – მხატვრის ფანტაზია თუ რეალობა* - ბეჭდვაში. ასევე, წაკითხულ იქნა სამეცნიერო მოხსენებები ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებზე (*XVII Century French Written and Fine Sources on Georgian Attire*// Fundamental and applied research in the modern world. Proceedings of the 10th International scientific and practical



conference. BoScience Publisher. Boston, USA. 2021; *უცხოურ და ადგილობრივ სახვით წყაროებში დაცული ქართული ისტორიული კოსტიუმის ფორმების შედარებითი ანალიზი*. V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურა და ხელოვნება თანამედროვეობის კონტექსტში“ ბათუმი. 2021; *XVI-XIX საუკუნეების გერმანულ წყაროებში ასახული ქართული ჩაცმულობა*. საერთაშორისო ონლაინ კონფერენცია " მუზეუმი და გლობალიზაცია", ბათუმი, 2021).

საზოგადოდ, ჩვენს მიერ განხილული ყველა უცხოური წყარო უდავოდ საინტერესოა არა მხოლოდ ისტორიისა და ეთნოგრაფიის თვალსაზრისით, არამედ იმიტომაც, რომ იმ პერიოდის ევროპაში საქართველოს, როგორც ქრისტიანული ქვეყნის ადგილის გააზრებისა და ერის კულტურული იდენტობის გაანალიზების საშუალებას იძლევა.

დასასრულ, მადლიერებას გამოვხატავთ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისადმი – პროექტის მხარდაჭერისათვის, ასევე მასპინძელი ორგანიზაციისა და იმ კოლეგებისადმი, რომელთა დახმარების გარეშე რთული იქნებოდა კვლევის წარმატებით განხორციელება.

ირინა უგრეხელიძე

## ქართული კოსტიუმი უცხოურ წერილობით და სახვით წყაროებში

აზიისა და ევროპის გზაჯვარედინზე მდებარე საქართველო, როგორც ანტიკური კოლხეთის მემკვიდრე და მაჰმადიანურ გარემოცვაში ქრისტიანობის შეუპოვრად დამცველი პატარა ქვეყანა, ყოველთვის წარმოადგენდა უცხოელ მოგზაურთა ინტერესის ობიექტს. სწორედ მოგზაურთა ჩანაწერებით მიიპყრო ევროპელი საზოგადოებრიობის ყურადღება საქართველომ და აქ მიმდინარე პროცესებმა ასახვა ჰპოვა სხვადასხვა გამოცემებსა და იმდროინდელ პრესაში.

უცხოელის თვალთ გარედან დანახული მნიშვნელოვანი ფაქტები თუ უმნიშვნელო წვრილმანები, რა თქმა უნდა, ძალზე საყურადღებოა, მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ხშირად რელიგიური, ეთნიკური ან პოლიტიკური მიკერძოება და პირადი დამოკიდებულება ტენდენციურობას წარმოშობს და არასწორ და გამრუდებულ სურათს იძლევა. სწორედ ამიტომ, უცხოელ მოგზაურთაგან ზოგი აღტაცებულია ქართველი ხალხით (საბედნიეროდ უმეტესობა), ზოგი კი კრიტიკულად უყურებს. მიუხედავად ამისა, თითოეული ავტორის თხზულება საინტერესოა და გასაანალიზებელიც – რამდენად შეიძლება დავეყრდნოთ მას, როგორც დოკუმენტურ წყაროს, რაიმე საკითხის კვლევისას.

უცხოელთა თვალთ დანახული და აღწერილი რეალიებიდან დიდ ინტერესს იმსახურებს ქართველთა ჩაცმულობის დახასიათება. ინტერესი უფრო იზრდება, როდესაც მონათხრობი ჩანახატის, ყოფითი სცენის ან სხვა რაიმე ეტიუდით არის ილუსტრირებული. მათში, როგორც სარკეში, ყველაზე თვალსაჩინოდ არის არეკლილი ზოგიერთი, ჩვენთვის უცნობი წვრილმანი, რომელიც არ გამორჩენია უცხოელის თვალს, მით უფრო თუკი ნახატის ავტორი თვითმხილველი და უშუალო დამკვირვებელია. სწორედ ასეთი სახის ვიზუალური ინფორმაცია წარმოადგენს იმ რგოლს, რომელიც ქართული კოსტიუმის ევოლუციის უწყვეტი ჯაჭვის წარმოსადგენად არის აუცილებელი.

## მასალები XVI საუკუნის ოსმალური წყაროდან ქართული ისტორიული კოსტიუმის შესწავლისათვის<sup>1</sup>

ქართველთა ჩაცმულობის შესახებ ინფორმაციის შემცველი ევროპული წყაროები, კერძოდ ცნობილი მოგზაურების, მისიონერების, ელჩებისა და მკვლევარების – ჯოსაფატ ბარბაროს, არქანჯელო ლამბერტის, დონ ქრისტეფორო დე კასტელის, ალექსი იველევის, ნიკიფორე ტოლოჩანოვის, ჟან შარდენის, ჟოზეფ პიტონ დე ტურნეფორის, იოჰან გიულდენშტედტის და სხვათა ჩანაწერები თუ ფუნდამენტური ნაშრომები, საფუძვლიანად არის შესწავლილი, რასაც ვერ ვიტყვით თურქულ წყაროებზე; სამწუხაროდ, ქართული სამეცნიერო წრეებისათვის დღემდე უცნობია ისტორიული კოსტიუმის შესახებ ინფორმაციის შემცველი ოსმალური წყაროები.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა მინიატურები 1586 წლით დათარიღებული **ასაფი დალ-მეჰმედ ჩელების** ისტორიული თხზულების „შეჯათნამე“ („გმირობის წიგნი“) ხელნაწერიდან [1]. ხელნაწერის ორიგინალი ამჟამად დაცულია სტამბოლის უნივერსიტეტში, ხოლო ასლი თოფკაპის სასახლეში [2].

თხზულების ავტორი ასაფი დალ-მეჰმედ ჩელები ოსმალეთის იმპერიის ისტორიკოსი და ოსმალეთის დიდი სარდლის ოზდემიროღლუ ოსმან-ფაშას პირადი მდივანი იყო. ის თავად იყო ბრძოლების თვითმხილველი და აკეთებდა ყოველდღიურ ჩანაწერებს. მისი ვრცელტანიანი თხზულება „შეჯათნამე“ – ლექსად დაწერილი ირან-ოსმალეთის 1578-85 წლების ომის ისტორია, მიჩნეულია ამ ომის ერთ-ერთ ისტორიულ წყაროდ და მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს არამარტო ისტორიოგრაფიის არამედ გეოგრაფიის, ბიოგრაფიის, ფოლკლორის, ხელოვნების (მინიატურის ხელოვნება), სტრატეგიის, პოლიტიკისა და სოციოლოგიის თვალსაზრისითაც. ამდენად, წყარო შეიცავს მრავალ საინტერესო მასალას, სხვადასხვა სფეროს მკვლევართათვის [3].

თხზულების ორიგინალი 88 მინიატურითაა შემკული. ხელნაწერის მთავარ ღირსებას წარმოადგენს ის, რომ ცალკეული მნიშვნელოვანი ამბავი ფერწერული მინიატურით არის გადმოცემული.

**სურ. 1. კახეთის მეფისა და ოსმალთა სარდლის შეხვედრა**  
**Fig. 1. Alexander II of Kakheti in the presence of Osman Paşa**



<sup>1</sup> სტატია ინგლისურ ენაზე გამოქვეყნდა სამეცნიერო ჟურნალში History, Archaeology, Ethnology. – 2021. – №. V. გვ. 254-304, რომლის ტექსტს (ილუსტრაციების გარეშე) გთავაზობთ წინამდებარე თავის ბოლოს.



لَا إِلَهَ إِلَّا اللَّهُ

وَأَشْهَدُ أَنْ لَا إِلَهَ إِلَّا اللَّهُ


სამწუხაროდ, ჩვენთვის ცნობილია არაა მინიატურების ავტორის (თუ ავტორების) ვინაობა. თურქი გამომცემლის მეჭმედ არიფის აზრით – „შეჯაათნამეს“ ხელნაწერის სურათები ოსმალური მინიატურული ხელოვნების ნიმუშებია, მაგრამ ამავდროულად ილუსტრირებაში ოსმალეთის კარზე მოღვაწე ირანელ მხატვარსაც აქვს მიღებული მონაწილეობა.

ირან-ოსმალეთის 1578-85 წლების ომი კავკასიაში გავლენის მოპოვებისათვის მიმდინარეობდა. ამ პერიოდის საქართველო სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებულ ქვეყანას წარმოადგენდა და ორ უზარმაზარ ზესახელმწიფოს შორის იყო გახლეჩილი. ამ ომს ფაქტიურად ჩვენი ქვეყნის ტერიტორიების ხელახალი გადანაწილება მოჰყვა, ეს დაქსაქსულობა კარგად ჩანს თხზულების როგორც შინაარსში, ისე მინიატურებშიც. ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა ქართველი ისტორიული პირებისა და მეომრების ჩაცმულობა და საბრძოლო აღკაზმულობა. მათგან გამოვყოფთ ზოგიერთს: „კახეთის მეფის ალექსანდრე II-ისა და ოსმალთა სარდლის მუსტაფა ლალა ფაშას შეხვედრა და მოლაპარაკება სართიჭალასთან, 1578 წ. სექტემბერში“ (სურ. 1); „მეფე სიმონის თავდასხმა ერზრუმელ მეზრუმელებზე“ (სურ. 2); „ტფილისის დაპყრობა ოზდემიროღლუ ოსმან ფაშას მიერ XVI საუკუნის ბოლოს“ (სურ. 3).

სურ. 2. მეფე სიმონის თავდასხმა ერზრუმელ მეზრუმელებზე

Fig. 2. The men of Erzurum attacked by Simon I of Kartli







სურ. 3. ტფილისის დაპყრობა ოსმან ფაშას მიერ  
Fig. 3. The conquest of Tiflis by Özdemiroğlu Osman Pasha

სავარაუდოდ, ოსმალური ხელნაწერის მინიატურების შემსრულებელი ოსტატიც თავადვე იყო აღწერილი მოვლენების თვითმხილველი (ყოველ შემთხვევაში კახეთის მეფისა და ოსმალთა სარდლის შეხვედრის მაინც). ასეთი

დასკვნის გამოტანის საფუძველს ილუსტრაციებზე ასახული ისტორიული პირებისა, მეფის მხლებლებისა და მებრძოლების სამოსისა და თავსაბურავის სახეები იძლევა, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში გავრცელებული ჩაცმულობის იდენტურია. აღნიშნულ ფაქტს იმ პერიოდის ქართული სახვითი წყაროები, კერძოდ მონუმენტური, მინიატურული და ხატწერის ნიმუშები ადასტურებს.


მინიატურაზე „კახეთის მეფის ალექსანდრე II-ისა და ოსმალთა სარდლის მუსტაფა ლალა ფაშას შეხვედრა“ ქართველი მეფე შემოსილია წითელი ფერის გრძელი სამოსით, რომელსაც წელს ზევით ერთმანეთზე გადადებული ასიმეტრული კალთა აქვს, წელზე მჭიდროდ აქვს შემოკრული ოქროვანი სარტყელი – მუქი ფერის ვიწრო ზოლებით, თავზე ბეწვით გაწყობილი, მაღალი, აღმოსავლური ყაიდის ქუდი ახურავს, ფეხზე კი ფანდიკიანი მოგვი აცვია (სურ. 4). მეფის სამოსის მსგავსია მისი ამალიდან ორი მხლებლის – ყვითელი და მოწისფერი სამოსი (სურ. 5).



სურ. 4. კახეთის მეფე ალექსანდრე II



Fig. 4. Alexander II King of Kakheti



სურ. 5. ალექსანდრე მეფის მზღებლები  
Fig. 5. Georgians – the king's bodyguards

მინიატურაზე ბატალური სცენით – „მეფე სიმონის თავდასხმა ერზრუმელ მებრძოლებზე“ (სურ. 2) ქართლის მეფე სიმონ I გამოსახულია სურათის ზედა მარჯვენა კუთხეში [4]. მისი სამოსიც გადადებული კალთითაა, მაგრამ ალექსანდრე II-სამოსისაგან სიგრძითა და სახელოს სიგრძით არის განსხვავებული, რაც ცხენზე ჯდომის თავისუფლებასა და ბრძოლის დროს მოძრაობის თავისუფლებას უზრუნველყოფს (სურ. 6). მოკლესახელოიანი, მოკლე სამოსი აცვია აგრეთვე, თეთრ ცხენზე ამხედრებულ ქართველ მეომარს (სურ. 2).



სურ. 6. ქართლის მეფე სიმონ I  
Fig. 6. Simon I King of Kartli

ქართულ მონუმენტურ და მინიატურულ მხატვრობაში სამოსი გადადებული ასიმეტრული კალთით, უკვე XIII საუკუნიდან, ხშირად გვხვდება ქტიტორთა პორტრეტულ გამოსახულებებზე. განსაკუთრებით ხშირია მისი გამოყენება XV -

XVI საუკუნის ძეგლებში. მაგალითად, ასეთი კაბით არიან შემოსილები ახალციხელი ქტიტორები ზარზმის ტაძრის XV ს. ფრესკაზე, ჭარელისძენი – სორის ეკლესიის XVI ს. ფრესკაზე, იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის ძენი, ბატონიშვილები თეიმურაზი და კონსტანტინე – გელათის წმ. გიორგის ეკლესიის XVI საუკუნის მონათულობაზე (სურ. 7, ა, ბ), თავად მეფე ალექსანდრე II ახალგაზრდობისდროინდელ გამოსახულებაზე (სურ. 7, გ), რომელიც მხატვარ გრ. გაგარინს აქვს ჩახატული, სავარაუდოდ შუამთის მონასტრის ფრესკიდან [5]. მსგავსი სამოსის ფართო გამოყენებაზე მეტყველებს გვიანი შუა საუკუნეების ძეგლების „ხალხური“ მონათულობებში (მღვიმევი, სეფიეთი, ჭალა, ელიასქედი და სხვ.) ნაკლებ ცნობილი თუ უცნობი ისტორიული პირების გამოსახულებანი.



სურ. 7. გადადებულკალთიანი კაბა ქართული სახვითი წყაროებიდან: ა – ალექსანდრე II (გრ. გაგარინისეული ასლი); ბ, გ – ბატონიშვილები თეიმურაზი და კონსტანტინე (გელათის წმ. გიორგის ეკლესიის ფრესკა)

Fig. 7. a – Young Alexander II (Copy of artist Gagarin); b – Princes Teimuraz and Constantine (Fresco of St. George Church in Gelati)

მინიატურული მხატვრობიდან აღსანიშნავია XVI-XVII საუკუნეების „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა სამოსი – ე.წ. ავალიშვილისეული (სურ. 8, ა) და თავაქარაშვილის (სურ. 8, ბ) ხელნაწერებიდან. თუმცა ისინი განსახილველ დროზე ცოტა მოგვიანებით არის შესრულებული. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ პორტრეტზე კაბას შესაკრავი მარცხენა მხარეს აქვს, ზოგჯერ კი მარჯვენა მხარეს.



სურ. 8. მინიატურები “ვეფხისტყაოსნის” ხელნაწერებიდან:  
ა – ავალიშვილისეული; ბ – თავაქარაშვილისეული  
Fig. 5. fragments from miniatures of Georgian manuscripts

გამორჩეულად უნდა შევხვით ქართველთა თავსაბურავებს ოსმალური მინიატურიდან. საზოგადოდ, თავსაბურავი სამოსის ის ელემენტია, რომლის მიხედვით სხვადასხვა ეროვნების ერთმანეთისაგან გარჩევა არის შესაძლებელი. „შეჯათნამეს“ მინიატურებში ზედმიწევნით არის დაცული ეს განმასხვავებელი ნიშანი და თავსაბურავების საშუალებით შესაძლოა თავისუფლად ამოვიცნოთ ოსმალთა, სპარსთა, ქართველი და ჩრდილო კავკასიელი. გარდა ამისა, განსხვავებულია თავსაბურავები წოდებრივი ნიშნითაც. მეფეების ალექსანდრე II და სიმონ I ქუდეები, მცირედი განსხვავებით, ერთმანეთის მსგავსია (სურ. 4, სურ. 6) და ძალზე წააგავს ალექსი მესხიშვილის მიერ აღწერილ XVI-XVII საუკუნეების თავსაბურავს: „აკეცილი ძალარა ბენე-არშიანი... ცა ქუდისა კაბის ფერი და იმავე ნაქსოვისა, მინამგზავსი ყირღიზულ-ნოღაურისაო“ [6]. სიმონ I-ის ქუდის ცაც მისივე სამოსის ქსოვილისაა.



სურ. 9. ქართველ მეომართა თავსაბურავები  
 Fig. 9. Headwears of Georgian warriors

სამივე მინიატურაზე მხლებელთა და მეომართა თავსაბურავი წაწვეტებული კონუსური ფორმისაა (სურ. 2, სურ. 6, სურ. 9, სურ. 10), რაც ზუსტად შეესაბამება ვახუშტისეულ აღწერილობას: „არამედ პირველ ერთმეფობასა შინა სცმიათ სხვაგვარ: თავს ქუდი გრძელი, რომლისა კუნჭული ბეჭსა ზედა მცემელი“ [7].

მიუხედავად ვახუშტისეული დამოწმებისა, ასეთი თავსაბურავი თითქმის არ გვხვდება ქართულ მონუმენტურ და მინიატურულ მხატვრობაში, მხოლოდ უცხოურ გრაფიურაში არის გამოსახული და აქედან გამომდინარე, „შეჯაათნამეს“ მინიატურები საკმაოდ ღირებულ წყაროს წარმოადგენენ ასეთი თავსაბურავის ფორმის დადგენისათვის.



სურ. 10. თბილისის მცხოვრებთა თავსაბურავები

Fig. 10. Headwears of Tbilisi residents

როგორც ვხედავთ, ასაფი დალ-მეჰმედ ჩელების ისტორიული თხზულების „შეჯაათნამეს“ მინიატურები საინტერესო ვიზუალურ ინფორმაციას შეიცავს ქართული ისტორიული სამოსის კვლევისათვის. ისინი ისტორიული მოვლენების თანადროულია და ამასთან რეალური პიროვნებების თვითმხილველის მიერ არის შესრულებული, რაც საფუძველს იძლევა რომ თითოეული მათგანი სანდო სახვით წყაროდ იქნას მიჩნეული.

## წყაროები და გამოყენებული ლიტერატურა

1. Çelebi, A. (1586). Şecaatname. manuscript //www.scribd.com/books. Retrieved May 4, 2021, from <https://ru.scribd.com/document/395129324/secaatname>
2. Eravci, H. M. (2006). Historians of the Ottoman Empire. Retrieved from Dal Mehmed Çelebi (Asafi): <https://ottomanhistorians.uchicago.edu/tr/historian/dal-mehmed-celebi-asafi>
3. Eravci, H. M. (2009). Asafi Dal Mehmed Çelebi and Şeca'atname. Retrieved from <https://www.kitapyurdu.com/>: <https://www.kitapyurdu.com/kitap/asafi-dal-mehmed-celebi-ve-secaatname/131897.html>
4. ალექსი-მესხიშვილი. (1904 ). ისტორიული პიესების წარმოდგენების გამო. გაზეთი „ივერია“, № 66.
5. დოლიძე, ნ., დათუაშვილი, მ., უგრეხელიძე, ი. (2016). ქართული ეროვნული სამოსის კვლევა წერილობითი წყაროების, სამუზეუმო ექსპონატებისა და იკონოგრაფიული მასალების მიხედვით. ქუთაისი: აწსუ გამომცემლობა.
6. ვახუშტი ბატონიშვილი. (1941). აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია). თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
7. უგრეხელიძე, ი. (2013). კოსტუმი შუა საუკუნეების საქართველოში . ქუთაისი: აწსუ გამომცემლობა და სტამბა .
8. ქართული ხელნაწერი წიგნი V-XIX სს. (2010). თბილისი : ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
9. ციციშვილი, ი. (1954). მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიისათვის. თბილისი: მეცნიერება.

## **THE STUDY OF GEORGIAN HISTORICAL COSTUMES BASED ON THE 16TH-CENTURY OTTOMAN MATERIAL SOURCES**

*The article aims at over-viewing foreign and especially Turkish (Ottoman) written sources to study historic Georgian costume. The article presents Georgian clothes and headwear depicted at the example of miniatures in the manuscript of the historical work "Shejaatname" by Asaf Dal-Mehmed Chelebi which dates back to 1586. There are interesting parallels between clothes illustrated in Georgian written source and monumental and miniature painting. Finally, the probable existence of interesting materials in Turkish miniature painting is supposed to contribute to a future research on historic costumes.*

Historical costume represents one of the most significant monuments of spiritual and artistic heritage of the nation of Georgia. It's the fundamental part of Georgian traditional clothing introduced today, which got a new image in the mid 18<sup>th</sup> century as a result of long-term evolution of the historical costume.

In order to study the history of Georgian Costume, it's expedient to get aware of its evolutionary process, the dynamics of its development, which shall undoubtedly be based on various sources. In this respect, the role of foreign written sources composed of real textual and visual information regarding the clothes from the past seems to be of great importance.

Nowadays, European and Russian sources containing this kind of information are thoroughly studied, especially, records and fundamental papers of the famous travelers, missionaries, ambassadors and scholars - Giosafat Barbaro, Arcangelo Lamberti, Don Cristoforo de Castelli, Alexei Yevlev, Nikifor Tolochanov, Jean Chardin, Joseph Pitton de Tournefort, Johann Anton Gldenstdt and others. Unfortunately, Turkish sources encompassing information about the historical costume isn't familiar to the Georgian scientific sources.

The miniatures of the book of Valor "Sheja'atname" by Asafi Dal Mehmed Çelebi that date back to 1586, seem to be of great interest [1]. The manuscript is currently preserved at Istanbul University, while a copy is in Topkapi Palace [2].

The author of the work, Asafi Dal Mehmed Çelebi was the historian of the Ottoman Empire and the personal secretary of the great Ottoman commander Osman Pasha. He himself was an eyewitness to the battles and made daily recordings. His extensive work "Sheja'atname" - a poem concerning the history of the Iran-Ottoman War of 1578-85, is considered one of the historical sources describing this war and occupies an important place not only in historiography but also from the joint of Geography, Biography, Folklore, Art (miniature art), Strategy, Politics and Sociology's perspective. Thus, the source contains a lot of interesting material for researchers from different fields [3].

The original version of the work is decorated with 88 miniatures. The dignity of the manuscript is that separate indispensable elements of the story are conveyed in pictorial miniature. Unfortunately, we do not know exactly the identity of the author (or authors) of



the miniatures. According to the Turkish publisher Mehmet Arif, the manuscripts of “Sheja’atname” are works of Ottoman miniature art, but at the same time an Iranian artist working in the Ottoman court had also taken part in the illustration process.

The Iran Ottoman war of 1578-85 was waged to gain influence in the Caucasus. At that period of time Georgia was divided into counties and split between two huge superpowers. The war resulted in redistribution of the territories of our country and the very dichotomy is well reflected not only in the content of the book but also in the miniatures.

From this angle, we are mainly interested in the clothing and combat harness of Georgian historical figures and warriors inter alia, with: "Alexander II of Kakheti in the presence of Osman Pasha – Lala Mustafa Pasha (the autumn of 1578)"; "The men of Erzurum attacked by Simon I of Kartli" and "The conquest of Tiflis by Özdemiroğlu Osman Pasha in the late sixteenth century".

The miniature - Alexander II of Kakheti in the presence of Osman Pasha – Lala Mustafa Pasha (the autumn of 1578). The Georgian king is wearing a long red robe with overlapping asymmetrical front panels. He has a golden belt tightly fitted around his waist that has narrow dark stripes. He has an oriental headgear decorated with fur and high boots on. The king's attire is similar to yellow and coral-colored garments worn by two out of his six bodyguards.

In the miniature with a battle scene - "The men of Erzurum attacked by Simon I of Kartli". King Simon I of Kartli is depicted in the upper right corner of the picture. His clothes also have overlapped panels, but can be differentiated from the garment Alexander II wore, since its measurements are different as well as its sleeve length, which in its part ensures freedom on horseback and unrestricted movement during battle. A short-sleeved, short upper dress is also worn by a Georgian warrior on a white horse.

Overlapped panels of clothing have been peculiar to Georgian monumental and miniature art since the 13<sup>th</sup> century. It's ubiquitous on the portraits of donors which prove the fact that it was widely spread in Georgia. It is particularly typical of monuments of the 15-16 centuries. For instance, this kind of garments are worn by Akhaltsikhe donors portrayed on the murals of Zarzma Cathedral of the 15<sup>th</sup> century, the Charelisdzes - XVI century Sori church; on the fresco, Teimuraz Batonishvili, son of Bagrat III, in St. George's Church XVI c, Gelati; other famous, or lesser-known historical figures from the "folk" painting of the late Middle Ages (paintings of Mghvimevi Monastery, Sepieti Church, Chala Church, Elia Church) [4]. From the miniature painting, it is worth mentioning the clothes of the characters of the "The Knight in the Panther's Skin" of the XVI-XVII centuries – especially from the manuscripts of Avalishvili and Tavakarashvili.

The garment worn by King Alexander II depicted in the Ottoman miniature is identical to the clothing of the young Alexander, which the artist G. Gagarin had painted from an unknown fresco [5] (presumably from the fresco of Old Shuamta Monastery).

Georgian headwear from Ottoman miniatures that seems to be outstanding must be given prominence too. The headgear is an element of clothing that identifies the people of different nationalities from each other. The miniatures of “Sheja’atname” preserve precisely these distinctive features and by means of headdress we can easily single out Ottomans,

Persians, Georgians and North Caucasians. In addition, head scarves varied according to their rank and privilege. The hats of Kings Alexander II and Simon I, with a slight difference, are similar to each other and correspond to the headwear peculiar to XVI-XVII centuries described by Niko Alexi-Meskhishvili: "turn up with fur trimming...the upper part of the hat and the dress of the same color and fabric in Kirghiz-Nogai way" [6]. The upper part of the hat worn by Simon I has the same color as the fabric of the garment.

In all three miniatures, the headgear of safeguards and warriors has a conical, pointed shape, which exactly corresponds to Vakhushti's description: "The king's council and household were distinguished according to the way they dressed. They wore a type of peculiar hats, pointed headgear with its bottom part reaching the shoulders" [7]. Despite the confirmation of Vakhushti Batonishvili, the image of such kind of headscarf has not survived in Georgian monumental and miniature painting. Thus, the miniatures of Sheja'atname provide priceless source for determining the shape of such kind of headscarf.

It's clear that the miniatures of Asafi Dal Mehmed Çelebi's historical work "Sheja'atname" entail interesting materials for the study of Georgian historical clothes, since they are contemporaneous with real historical figures and, therefore, can be considered reliable source. Presumably, there are many more similarly interesting materials in Ottoman miniature painting and it would be advisable if further exploratory work takes place.

## References

1. Çelebi, A. (1586). *Şecaatname. manuscript* //www.scribd.com/books. Retrieved May 4, 2021, from <https://ru.scribd.com/document/395129324/secaatname>
2. Dolidze, N., Datuashvili, M., Ugrekhelidze, I. (2016). *Illustrated Reference Book of Georgian National Clothing*. Kutaisi: ATS University Press.
3. Eravci, H. M. (2006). *Historians of the Ottoman Empire*. Retrieved from Dal Mehmed Çelebi (Asafi): <https://ottomanhistorians.uchicago.edu/tr/historian/dal-mehmed-celebi-asafi>
4. Eravci, H. M. (2009). *Asafi Dal Mehmed Çelebi and Şeca'atname*. Retrieved from <https://www.kitapyurdu.com/>: <https://www.kitapyurdu.com/kitap/asafi-dal-mehmed-celebi-ve-secaatname/131897.html>
5. alexi-meskhishvili, N. (1904). ist'oriuli p'iesebis ts'armodgenebis gamo. *gazeti „iveria“*, № 66. აღუქსი-მესხიშვილი. (1904). ისტორიული პიესების წარმოდგენების გამო. *გაზეთი „ივერია“*, № 66.

6. dolidze, n., datuashvili, m., ugrekheldze, i. (2016). *kartuli erovnuli samosis k'vleva ts'erilobiti ts'qaroebis, samuzeumo eksp'onat'ebisa da ik'onograpiuli masalebis mikhedvit*. kutaisi: ats'su gamomtsemloba. დოლიძე, ნ., დათუაშვილი, მ., უგრეხელიძე, ი. (2016). *ქართული ეროვნული სამოსის კვლევა წერილობითი წყაროების, სამუზეუმო ექსპონატებისა და იკონოგრაფიული მასალების მიხედვით*. ქუთაისი: აწსუ გამომცემლობა.
7. vakhusht'i bat'onishvili. (1941). *aghts'era sameposa sakartvelosa (sakartvelos geografia)*. tbilisi: tbilisis sakhelmts'ipo universit'et'is gamomtsemloba. ვახუშტი ბატონიშვილი. (1941). *აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია)*. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
8. ugrekheldze, i. (2011). *k'ost'umi shua sauk'uneebis sakartveloshi* . kutaisi : ats'su gamomtsemloba da st'amba. უგრეხელიძე, ი. (2011). *კოსტუმი შუა საუკუნეების საქართველოში* . ქუთაისი : აწსუ გამომცემლობა და სტამბა .
9. *kartuli khelnats'eri ts'igni V-XIX ss. (2010)*. tbilisi : khelnats'erta erovnuli tsent'ri. *ქართული ხელნაწერი წიგნი V-XIX სს.* (2010). თბილისი : ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
10. tsitsishvili, i. (1954). *masalebi kartuli chatsmulobis ist'oriisatvis*. tbilisi: metsniereba. ციციშვილი, ი. (1954). *მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიისათვის*. თბილისი: მეცნიერება.

## ქართველები და ქართველთა ჩაცმულობა XV- XIX საუკუნეების იტალიელ ავტორთა წყაროებში<sup>2</sup>

XV-XIX საუკუნეებში საქართველოთი დაინტერესება განსაკუთრებით შეინიშნება იტალიელი მოგზაურების, ვატიკანის კურიისა და ვენეციის დიპლომატიური ხელისუფლების მხრიდან. მოგზაურების, მისიონერებისა და ელჩების ანგარიშებსა და მოგონებებში ვაწყდებით ისეთ ფასეულ ინფორმაციას, როგორც არ მოგვეპოვება ქართულ წყაროებში. ეს შეიძლება ითქვას, როგორც ქართველთა ყოველდღიური ცხოვრების სხვადასხვა ნიუანსებზე, ზნე-ჩვეულებებზე, ისე მათ ხასიათზე, გარეგნულ იერსახესა და ჩაცმა-დახურვაზე.

ქართველთა შესახებ გარკვეულ ცნობასა და საილუსტრაციო მასალას შეიცავს ვენეციელი მოგზაურისა და ვაჭრის მარკო პოლოს/Marco Polo (1254 – 1324) თხზულების – „**მსოფლიოს აღწერის**“ ფრანგულენოვანი ხელნაწერი. ხელნაწერი ჩართულია 1410 წლით დათარიღებულ ვრცელტანიან კრებულში (სულ 602 გვ. დაუნომრავი გვერდების ჩათვლით), რომელშიც გაერთიანებულია შორეულ ჩინეთსა და აზიის სხვა ქვეყნებში პირველ ევროპელი მოგზაურთა ისტორიები (სულ შვიდი ავტორის თხზულება). 1410 წლით დათარიღებული ძველფრანგული ხელნაწერი ამჟამად დაცულია საფრანგეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

მარკო პოლომ (1254 ვენეცია – 1324, ვენეცია) 1298–1299 წლებში გენუელებთან ტყვეობაში ყოფნისას, შორეულ ჩინეთში მოგზაურობის ისტორია თავად უკარნახა ტუსად მწერალს რუსტიჩელო (იგივე რუსტიცანო) პიზელის. ამ ჩანაწერებით ძველფრანგულ ენაზე შედგენილ იქნა „მარკო პოლოს წიგნი“<sup>3</sup>, რომელიც იმ დროის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენდა სხვადასხვა ქვეყნების გეოგრაფიის, ეთნოგრაფიისა და ისტორიის შესახებ.

მართალია, მარკო პოლომ მე-13 საუკუნის 70-იან წლებში იმოგზაურა საქართველოში და რუსტიჩელოს მიერ შესრულებული წიგნის პირველი ხელნაწერი

---

<sup>2</sup> წინამდებარე თავი დამუშავდა შემდეგი პუბლიკაციების მიხედვით: *Georgians and their Manner of Dress in the Resources of XV-XVII Century Italian Authors*. Theoretical & Applied Science, 12, 2020; *Georgian men's dress of XVII century : According to a comparative analysis of the paintings of the Italian missionary Cristoforo de Castelli and Georgian fine arts' sources*. Linguistics and Culture Review, 2021, 5 (S4); *ქართველი ქალის სამოსი ქრისტოფორო დე კასტელის ალბომიდან – მხატვრის ფანტაზია თუ რეალობა* (ბექდვაში) – მიხედვით. პუბლიკაციების ინგლისურენოვან ტექსტს გთავაზობთ წინამდებარე თავის ბოლოს.

<sup>3</sup> თხზულება ცნობილია სხვადასხვა სახელწოდებით: „მსოფლიოს საოცრებათა წიგნი“, „მარკო პოლოს მოგზაურობა“, „მსოფლიოს მრავალფეროვნებათა წიგნი“, „მარკო პოლოს წიგნი“, „მსოფლიოს აღწერა“.

ამავე საუკუნის ბოლოს განეკუთვნება და ამდენად ის არ მოიცავს საკვლევ პერიოდს, მაგრამ დასახელებული ხელნაწერი და შიგ ჩართული მინიატურა XV საუკუნეშია შესრულებული და ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია მისი განხილვა.

თხზულებამ თვით მარკო პოლოს სიცოცხლეშიც მოიპოვა დიდი პოპულარობა და ითარგმნა მრავალ ენაზე. ის დიდხანს წარმოადგენდა შუა საუკუნეების კარტოგრაფებისა და ზღვაოსნების ინტერესის ობიექტს.

აბრეშუმის გზით ჩინეთისაკენ მიმავალი მარკო პოლო, რასაკვირველია, გვერდს ვერ აუვლიდა ჩვენს ქვეყანას. საქართველოს მთაგორიანი ბუნებისა და მისი დედაქალაქის აღწერასთან ერთად, ავტორი ქართველთა შესახებაც წერს: „ქართველები ლამაზი, მამაცი, ბრწყინვალე მოისრეები და ბრძოლებში ქებული მეომრები არიან. მათი სარწმუნოება ბერძნულ ქრისტიანულია, თმას მოკლედ იკრეჭენ. ეს ის ქვეყანაა რომლის გავლითაც ალექსანდე უნდა გაბრუნებული დასავლეთში მაგრამ მისი აღება ვერ შეძლო“

მარკო პოლო საქართველოში აბრეშუმის ძვირფასი ოქროქსოვილების დამზადების ტრადიციასაც ხაზგასმით აღნიშნავს და აღტაცებას გამოთქვამს აქ ნანახი აბრეშუმის შესახებ: „ქართველები აბრეშუმის ქსოვილის დასამზადებლად აბრეშუმის ძაფში ხმარობენ ოქროს ძაფებს და ღებულობენ აბრეშუმის ისეთ ლამაზ ქსოვილებს, რომლის სადარსაც ვერსად ნახავ“ [1]

კრებულში მარკო პოლოს თხზულება ილუსტრირებულია 84 მინიატურით, რომელთაგან ერთ-ერთზე გამოსახულია მეფე დავით-ულუს ნადირობის დროს (გვ. 23, ფოლიო 8) [2]. მეფეს მხარზე მონადირე მიმინო თუ შევარდენი აზის (სურ. 11). მინიატურა შესრულებულია ოსტატი **მაზარინის/ the Master of the Mazarine**, მიერ. მაზარინი თვითმხილველი არ არის და ვერც თავად ავტორისაგან მიიღებდა რაიმე სახის მითითებებს ქართველი მეფის გარეგნობისა და სამოსის შესახებ, რის გამოც მისი სამოსი ევროპული სტილისაა და არ ჰგავს იმ სანადირო ყაბარჩას, რომლითაც ჩვეულებრივ იმოსებოდნენ ქართველი მეფე-დიდებულები. მიუხედავად ამისა, მინიატურა ღირებულია, იმდენად, რამდენადაც ეს არის ევროპაში შესრულებული პირველი სურათი, თუნდაც არა მთლად რეალური, ქართველი ისტორიული პირის – მეფე დავით ულუს გამოსახულებით.

სურ. 11. მარკო პოლოს ხელნაწერის გვერდი დავით ულუს მინიატურით

Fig. 11. - A miniature from a book by Marco Polo



pasture. Et sachies que en ceste grant herminee est l'arche de noe sur vne  
 grant montaigne. Elle fine en midy auers leuant en vn royaume qui  
 est appelle mosul qui sont aduers iacobins et nestorins. desquels ie vous en  
 compterey en en auant deuers tramontaigne fine auer iorgans. desquels  
 ie vous compterey enore auant. Et en celle fin deuers iorgans sachies  
 que il ja vne fontaine qui souit huille en tresgrant habondance.  
 Sy que ce n'est n'est y pouvoit bien d'argier a vne fois. Mais elle  
 elle n'est pas bonne a mengier. Mais elle est bonne pour ardon. et a  
 oindre les charnch pour la rongue. Et viennent gens de moult loigs  
 pour ceste huille. Car en toute la contrée ne enuiron ne ardent au  
 tre huille. **D**es laissons de la grant herminee et vous compterey  
 de iorgane. *Et apres dist de iorgane et de leurs rois.*



**D**e iorgane a vn roy qui est appelle d'ant melic q' vault  
 au tant a dire en francois d'ant rois. et est d'apost au tar  
 tar. Et anachronement tous les rois naissent auer vn  
 signe d'angle sur l'espaule dextre. Il sont telles gens et val  
 lans d'armes. et bons archiers et bons combatans en la  
 bataille. Il sont armen et tiennent la loy gregoise. il por  
 tent les deuers couris a manier de dees. Et ce est la province que alexan  
 dre ne pot passer quant il fu au pouant pour ce que la voie est estroite et  
 doubteuse. car de l'un lez est vne mer. et de l'autre sont grant montaignes  
 qui ne se peuent deuaucher. et d'ice ceste estroite voie plus se heue. Sy  
 que pou de gent pouoient le pas a tout le monde. Si vous dy que alexan  
 dre fist fermer vne tour moult fort pour quoy ces gens ne peussent

ქრონოლოგიურად მომდევნო წყაროს ავტორი ვენეციელი ვაჭარი – იოსაფატ ბარბარო/**Josaphat Barbaro** (1413 – 1495), რომელიც ამავედროულად დიპლომატი და სახელმწიფო მოღვაწე იყო. 1436-79 ის ცხოვრობდა და მოგზაურობდა სხვადასხვა ქვეყნებში. ხანგრძლივი მოგზაურობის ისტორია აღწერა წიგნში **“Travels of Josaphat Barbaro, Ambassador from Venice to Tanna, in 1436”** / „კეთილშობილი ვენეციელის, ბატონ ჯოსაფატ ბარბაროს მოგზაურობა ტანაში და და სპარსეთში“ [3]. მასში მოცემულია პოლიტიკურ-ეკონომიკური და ეთნოგრაფიული ხასიათის ცნობები სხვადასხვა ქვეყნების, მათ შორის საქართველოსა და ქართველთა ზნე-ჩვეულების შესახებ:

*„ხალხი ლამაზი და ახოვანია, მაგრამ უცნაური ზნე-ჩვეულებანი აქვთ. თმას იკრეჭენ ან იპარსავენ ისე, რომ ირგვლივ იტოვებენ მცირეოდენ თმას, მსგავსად ჩვენი აბატებისა, რომლებსაც კარგი შემოსავალი აქვთ. ატარებენ უღვაშებს, რომლის ბეწვებს წვერზე დაბლა იზრდიან მკლავის ერთი მეოთხედის სიგრძეზე. თავზე ატარებენ სხვადასხვა ფერის ქუდებს, რომელსაც წვერში ჯილა აქვს. ტანთ აცვიათ ძალიან გრძელი, მაგრამ ვიწრო და საჯდომამდე გახსნილი ქურთუკი, იმიტომ რომ სხვანაირად ვერ შეძლებენ ცხენზე ჯდომას. ამის გამო მე მათ ვერ გავკიცხავ, რადგან მინახავს, რომ ფრანგები ახლაც ხმარობენ [მსგავს ქურთუკებს]. ფეხზე მუხლამდე აცვიათ წაღები, რომლებსაც ძირი ისე აქვთ გამოკრული, რომ, როცა ფეხზე დგანან, ფეხის წვერი და ქუსლი მიწას ეხება, შუაში კი მიწიდან ისე მაღლაა აწეული, რომ ტკენის გარეშე შეიძლება ტერფის ქვეშ მუშტის გატარება. იმიტომ ხდება, რომ, როცა დადიან, სიარული უჭირთ. მე მათ გავკიცხავდი ამის გამო, რომ არ მცოდნოდა, რომ სპარსელებიც ხმარობენ [ასეთ წაღებს]“.*

1473-1477 წლებში საქართველოში ორჯერ გავლით იმოგზაურა ვენეციელმა დიპლომატმა **ამბროჯო კონტარინიმ/ Ambrogio Contarini** (1429 – 1499). ის იყო ვენეციის ელჩი სპარსეთში უზუნ-ჰასანის კარზე. კონტარინიმ დიპლომატური მისიისა და მოგზაურობის ისტორია აღწერა თხზულებაში **“Viaggio al signor Usun Hassan re di Persia”** (მოგზაურობა სპარსეთის მეფის, ბატონ უსუნ ჰასანისკენ“), სადაც მოთხრობილი აქვს საქართველოს შესახებაც [4]. ავტორი მოკლე ცნობებს იძლევა ქალაქების ბათუმის, ფოთის (ფასო), ქუთაისის, გორისა და თბილისის შესახებ. ზოგადად ეხება მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებასა და ადათებს, მაგალითად

ამბობს, რომ მეგრელები „ცოტაოდენ მომსხო ტილოს და ცვილს ჰყიდიან“ [5]. უნდა აღინიშნოს, რომ ორივე მოგზაურობისას თავს გადახდენილი გასაჭირის, ავადმყოფობის, მარცვის (როგორც მეფე-მთავართა, ისე ყაჩაღების მხრიდან) და მრავალი განსაცდელის გადატანის გამო, ავტორი მოხიბლული ვერ დარჩენილა საქართველოში მოგზაურობით, ამიტომ, მისი ნაამბობი ტენდენციურობით ხასიათდება. ის ქართველებს ბრიყვ, ახირებულ, ნაკლებად გამრჯელ ხალხად მოიხსენიებს. მართალია, რამდენჯერმე აღიარებს ქართველი მამაკაცების გარეგნულ შნოიანობას, მაგრამ იქვე საუბრობს მათი საქციელის უცნაურობაზე და ქართველთა ტანსაცმელსაც კი ახირებულს უწოდებს.

1539 წლის დასაწყისში საქართველოში, კერძოდ სამეგრელოში, იმერეთსა და ქართლში იმოგზაურა ვენეციელმა ელჩმა **მიქელე მემბრემ/Michele Membrè** (1509 – 1594), რომელიც ვენეციის ხელისუფლების მიერ მივლენილი იყო სპასეთში, შახთამაზის კარზე. ელჩობის ანგარიში **«Relazione di Persia»** მან 1542 წ. წარუდგინა ვენეციის ხელისუფლებას [6]. აღნიშნული რელაციის ხელნაწერი დაცულია ვენეციის სახელმწიფო არქივში [7]. მოგზაურობის ისტორია მემბრეს აღწერილი აქვს თხზულებაში **„Mission to the Lord Sophy of Persia (1539-1542)“**, რომელიც მხოლოდ 1993 წელს იქნა გამოცემული [8]. მემბრე ანგარიში «Relazione di Persia» აშუქებს ოსმალეთსა და საქართველოს შორის სავაჭრო ურთიერთობებს და აღწერს მეგრელი გლეხისა და თავადის ჩაცმულობას [9]:

*„მეგრელები ძალზე ცუდად არიან ჩაცმულები, ყველას მოკლე ბამბის ჩასაცმელი აცვია და ფეხშიშვლები არიან... მათი ფეხები მთლად ნაიარევია. თავზე ქეჩის ნაჭერს ატარებენ<sup>4</sup> მეგრელ მებატონეებს ძალიან გრძელი ტანსაცმელი აცვიათ და ცხვრის ტყავის ჩექმები, რომელთაც არა აქვთ ძირები და ყველა მხრიდან ცხვრის ტყავია; ასევე, თავზე ფერადი ქეჩა; წვერი და გრძელი უღვაშები აქვთ, როგორც იბერიელებს [ქართლებს]“.*

აზნაურების გარეგნობასა და მათ სამოსს მემბრე ასე ახასიათებს: *„მათ გრძელი შავი უღვაშები აქვთ, წვერებს იპარსავენ. ისინი ატარებენ: ძალიან გრძელ წინდებს [პაჭიჭებ<sup>5</sup>], ძალზე უხეში ბამბისაგან, ქსოვილის შარვალს, წინდის ზემოთ,*

<sup>4</sup> საუბარია ფაფანაკზე.

<sup>5</sup> აქ, სავარაუდოდ, საუბარია საცვეთებზე - ძველად ორი სახის პაჭიჭებს ხმარობდნენ. ერთ მათგანს სამუხლე პაჭიჭს უწოდებდნენ, მუხლებს ზემოთ სწვდებოდა და მას იყენებდნენ ზამთარში, მეორეს, უფრო მოკლეს, ახალგაზრდები იცვამდნენ [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი.]



ცხვრის ტყავის ჩექმებს, უხეში ბამბის ქსოვილის დალიანდაგებულ პერანგსა და ძალიან გრძელ ბამბის ხიფთანს“.

ავტორი ყურადღებას ამახვილებს საქართველოში აზრეშუმის სიმრავლეზე და ვაჭრობის დროს ქსოვილების გაცვლა-გამოცვლის მიზნით გამოყენების ტრადიციაზე. ერთგან ავტორი აღნიშნავს, რომ აზნაურებს ყავთ „კარგი ცხენები, საუკეთესო აზრეშუმის გადასაფარებლებით, რომლებშიც ისარი ვერ გააღწევს“.

ინტერესს მოკლებული არ არის იტალიელი მხატვარ გრავიორისა და გამომცემლის ჩეზარე ვეჩელიოს/ **Cesare Vecellio** (1521-1601) წიგნები მსოფლიოს ხალხთა კოსტიუმის გრავიურებით [10]. ავტორი წლების განმავლობაში აახლებდა, ამრავალფეროვნებდა და ხელახლა გამოსცემდა ნაშრომს. 1590 წლის გამოცემაში „**Habiti antichi et moderni di tutto il mondo**“ ჩართულია 419 გრავიურა (ხეზე შესრულებული), მსოფლიოს ქვეყნებისა და ხალხების კოსტიუმების გამოსახულებით. როგორც ეტყობა წიგნმა საზოგადოების ცხოველი ინტერესი გამოიწვია, რასაც ადასტურებს მისი მრავალჯერადი გამოცემა 1598, 1625, 1859-60 წლებში, როგორც იტალიურ, ისე სხვა ენებზე. გრავიურებს დართული აქვს კომენტარი სამოსისა და თავსაბურავის მეტ-ნაკლებად სრულყოფილი აღწერით. წიგნში ორი გვერდი ქართველთა კოსტიუმს ეთმობა. ერთ-ერთზე აღწერილია ქართველთა სამოსი და თავსაბურავი, მეორეზე წარმოდგენილია გრავიურა ქართველი მამაკაცის გამოსახულებით (სურ. 12, ა, ბ). ვეჩელიო თავად ხატავდა, მაგრამ, როგორც ცნობილია, საქართველოში არ უმოგზაურია. შესაძლოა ქართველის ესკიზი ოსმალური მინიატურების მიხედვით შექმნა, რომლებზეც ქართველები ანალოგიური სამოსითა და თავსაბურავით არიან წარმოდგენილი, რაც შესაბამისია თანადროული რეალობისა.

სურ. 12. ვეჩელიოს წიგნის გვერდები: ა – ქართველთა სამოსის აღწერა  
Fig. 12. Pages from the book of Vecellio: a - description of Georgian clothing

HABITO DI GEORGIANI.



**A** Georgia è paese sterile habitato da Christiani, i quali viuono poueramente per bauer il paese pieno di monti, & di boschi. Hāno le case di legno, & sono senza troppe creanze. Gli huomini, & le donne vestono alla Persiana; ma alquanto più positiuamente. Portano in capo una berretta, che di fuori ha una fodera di pelli di martori, la qual si vede per esser riuersata all'insuso, & dentro è foderata di pelli d'agnellini ricci; dalla qual berretta pende un cappuccio fatto à guisa di manica, ò pur corno, che gli arriva fino alle spalle. Hanno una ueste, ò casacca lunga fino à meza gamba, la quale se l'incrocia al fianco destro, & è di seta, ò d'altre tele vergate fatte, & tessute à liste. Vanno armati di arco, & di faretra con la scimitarra alla Turchesca, & usano portar in mano certe armi da aste corte dette zagaglie, le quali gettando, feriscono gli nemici molto lontani. Tali Georgiani vestono tanto huomini come donne al modo de' Persiani. Sono ualorosi in arme molto fedeli à' Persiani più che à' Turchi; essendo che la maggior parte sono confederati con il Rè di Persia da cui hanno fedele compagnia.



GEOR-

GIANO.



სურ. 12. ბ. ქართველი მამაკაცი

Fig. 12. b. Georgian man

ზოგადი ხასიათის ცნობები ქართველთა ჩაცმულობის შესახებ XVI-XVII საუკუნეთა მიჯნის ქართულ-ევროპულ დიპლომატიურ მასალებშიც გვხვდება. კერძოდ, მარკო ანტონიო აზანოს მიერ რომში, კარდინალ სანტა სევერინასათვის გაგზავნილ საკმაოდ ვრცელ დოკუმენტში მოყვანილია ცნობები საქართველოს შესახებ. აღნიშნული ცნობები ავტორს ქართლის მეფის – სვიმონ I-ის ელჩისაგან, ვინმე ალექსანდრესაგან, ჰქონია მოპოვებული. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის, ბუნებრივი პირობებისა და ქალაქების მოკლე აღწერასთან ერთად, საუბარია ქართველთა ჩაცმულობის შესახებ: „მოსახლეობას აწუხებს ზედმეტი სიცივე, რაც გამოწვეულია ზედმეტი თოვლით, რომლითაც დაფარულია ზემოხსენებული მთები. მაგრამ ისინი სარგებლობენ სხვადასხვა ცხოველის ტყავისაგან შეკერილი ტანისამოსით და ასევე ატარებენ ბამბაზიას... ქართველი ქალები იცვამენ მდიდრულად ოქროთი და აბრეშუმით მორთულ სხვადასხვა სახის ქსოვილებს. ისინი ძალიან ლამაზები არიან და ფლობენ მამაცურ სულისკვეთებას“. ავტორი საქართველოში აბრეშუმის სიმრავლესაც ხაზგასმით აღნიშნავს [11].

მიახლოებით ამავე პერიოდს განეკუთვნება გრავიურა ქართლის მეფე სიმონ I-ის პორტრეტული გამოსახულებით (სურ. 13, ა). გრავიურაზე წარწერილია ავტორის გვარი – **ჯოვანი ორლანდი/Giovanni Orlandi** და შესრულების ადგილი – რომი<sup>6</sup> [12]. რაც გრავიურის მიახლოებითი დათარიღების საშუალებას იძლევა. პორტრეტის ავტორი, იტალიელი გრავიორი და გამომცემელი ჯოვანი ორლანდი 1590 წლამდე ქ. რომში მოღვაწეობდა, ხოლო 1590-1640 წწ. ქ. ნეაპოლში. აქედან გამომდინარე, გრავიურა 1590 წლამდე უნდა იყოს შესრულებული [13].

სურ. 13. მეფე სიმონ I, ჯოვანი ორლანდის გრავიურა  
Fig. 13. King Simon I, engraving by Giovanni Orlando

<sup>6</sup> გრავიურა ამჟამად დაცულია ვატიკანის მუზეუმში.



SIMEON PRENCIPE DE GEORGI  
ANI

*Icon Orlandi forma in Roma*

საქართველოსა და ქართველების შესახებ ძალზე საინტერესო ცნობები აქვს მოწოდებული იტალიელ მოგზაურს, ისტორიკოსსა და დიპლომატს **პიეტრო დელა ვალეს/ Pietro Della Valle**. ის თავად არასოდეს ყოფილა საქართველოში, ირანში ყოფნისას გაიცნო ქართველები და მათთან ურთიერთობამ განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა პიეტროზე. ის იმდენად მოიხიბლა მათი ხასიათის სიმტკიცით, რაინდული სულითა და ქართველი ქალების სილამაზით, რომ გამოწვლილვით გაეცნო საქართველოს ისტორიასა და იმდროინდელ პოლიტიკურ ვითარებას. დელა ვალე საქართველოსა და ქართველების შესახებ წერდა, როგორც ნეაპოლში რეგულარულად გაგზავნილ წერილებში და პაპისადმი წარდგენილ ანგარიშში „Informazione della Giorgia data alla Papa Urbano VIII l'anno 1627“, ისე თავის თხზულებებში – „Account of Shah Abbas“ (1628) და "თავგადასავალი სინიორა მარია თინათინ ზიბასი, დელა ვალეს მეორე მეუღლისა" (რომელშიც მისი მეუღლის, ქართველი გოგონას ისტორიაა მოთხრობილი). მას აღწერილი აქვს საქართველოს სამეფოებისა და სამთავროების ისტორია-გეოგრაფია, ადათ-წესები, ყოფა-ცხოვრების სურათები და თანადროული პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობა. წერილებში მოთხრობილი აქვს ლუარსაბ მეფის ისტორია, მეფე თეიმურაზ I-ის ვაჟების ტრაგედია. დელა ვალე უდიდეს თანაგრძნობას გამოხატავდა იმხანად შაჰის კარზე მყოფი ქეთევან დედოფლის მიმართ და მისი წამებით სიკვდილის შემდეგ დედოფლის წმინდა ნაწილები, როგორც რელიქვია, თეათინელ ბერებს რომში გადააგზავნინა და თავად ინახავდა.

ავტორი საქებარ სიტყვებს არ იმურებს ქართველთა შესახებ: „მე ვთვლი ქართველებს ერთ-ერთ ულამაზესად მსოფლიოში“ წერს ის.

ვალე ზუსტად ჩასწვდა ქართველის ფსიქოლოგიურ ტიპს, შენიშნა ხასიათის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები და აღნიშნა, რომ ქართველები არიან მამაცნი, მაგრამ მოქმედებაში ნაკლებად ერთიანნი, ცდილობენ, შუღლის ჩამოგდებით ერთმანეთი დალუპონ; ავტორს არ გამორჩა ისიც, რომ ქართველები მოლაპარაკების დროს არ არიან ჯიუტნი, მატყუარანი, ორპირნი, მათთან ყოველი კეთილი საქმის მოგვარება შეიძლება [14].

ამავე პერიოდში კიდევ ერთმა იტალიელმა მისიონერმა **ფრანცისკო-მარია მაჯო/ Francisco-Maria Maggio** პირველმა ჩაუყარა საფუძველი ქართული ენის მეცნიერულ შესწავლას. მან საქართველოში რვაწლიანი მისიონერული მოღვაწეობისას საფუძვლიანად შეისწავლა ქართული ენა და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 1643 წ. რომში გამოსცა იმ დროისთვის საკმაოდ სოლიდური გამოკვლევა „ქართული ენის გრამატიკა“. ეს იყო მნიშვნელოვანი გამოცემა, რომლითაც XIX

საუკუნემდე ინფორმაციას იღებდნენ ევროპელი ქართველოლოგები ქართული ენის შესახებ.

ქართული საზოგადოებრიობისათვის კარგადაა ცნობილი იტალიელი მისიონერის, თეატინელთა ორდენის ბერის **არქანჯელო ლამბერტის (Arcangelo Lamberti) 1630-1649 წლებში საქართველოში, კერძოდ, ოდიშის სამთავროში მოღვაწეობის შესახებ. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ნეაპოლში, 1653 წ. მან გამოაქვეყნა წიგნი „Relazione della Colchide hoggi detta Mengrella, nella quale si tratta dell'origine, costumi, e cose naturali di quei paesi“ [16] „აღწერა კოლხეთისა, რომელსაც ახლა სამეგრელო ეწოდება“, რომელიც ფაქტიურად, პირველი ვრცელტანიანი თხზულებაა საქართველოს შესახებ. წიგნში მოცემულია ოდიშის სამთავროსა და საერთოდ საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარების, ყოფისა და კულტურის, ადგილობრივი წეს-ჩვეულებებისა და ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეების ვრცელი მიმოხილვა. თხზულება XIX საუკუნის მიწურულს ქართულად თარგმნა ალ. ჭყონიამ, რომელიც არაერთხელ გამოიცა (პირველად მკითხველმა იგი იხილა 1900 წლის ჟურნალ «მოამბის» ნომრებში, მეორე – 1938 წლის გამოცემაში ჩართულია ქრისტეფორო დე კასტელის ნახატები, ბოლოს დაიბეჭდა 2011 წელს გამომცემლობა „მთაწმინდა“-ს მიერ). მოგვიანებით, 1657 წელს, ლამბერტიმ გამოსცა მეორე წიგნი „წმინდა კოლხეთი“, რომელიც ქართველი მკითხველისათვის ნაკლებად ცნობილი თხზულებაა. მასში გადმოცემულია პაპის კურიის მიერ საქართველოში გამოგზავნილი თეატინელთა მისიონის 1631-1649 წლების მთელი ისტორია – მისიონერთა გამომგზავრებიდან დაწყებული, წინააღმდეგობებით აღსავსე მოღვაწეობის და ბოლოს, უკან, სამშობლოსაკენ ხიფათიანი მგზავრობის ჩათვლით.**

ლამბერტის წიგნის „Relazione della Colchide hoggi detta Mengrella, nella quale si tratta dell'origine, costumi, e cose naturali di quei paesi“ ერთი თავი მთლიანად ეთმობა ქართველების ჩაცმულობას. ავტორს დეტალურად აქვს აღწერილი სხვადასხვა წოდების წარმომადგენელთა ჩაცმულობა, თავსაბურავები და ფეხსამოსი. ყურადღების გარეშე არ ტოვებს სამგლოვიარო სამოსს, ცხენოსანი ქალების ჩაცმულობას და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ ერთგან ავტორი გაკვირვებით მოგვითხრობს სამთავროს წინამძღოლის – ლევან დადიანის თავის კარიკაცების ჩაცმულობისადმი ზრუნვის შესახებ:

„თავის ხალხის შესამოსად დადიანი განსაკუთრებით ცდილობს. იბარებს კონსტანტინეპოლიდან და ირანიდან ქსოვილებს თავისი კარის კაცების შესამოსად და სხვებისათვის დასარიგებლად. ვისაც ოქრომკედის და აბრეშუმის ქსოვილი არ ეკუთვნის, იმისათვის შალებს ამზადებინებს და თავისი ხელით ურიგებს სუსხიან ზამთარში“.

ავტორს თავადაზნაურთა სამოსის დახასიათებისას უყურადღებოდ არ რჩება მაღალი ფენების მიერ წვეულებაზე, დღესასწაულსა და დიდ ნადიმზე გამოყენებული საგანგებო ტანსაცმელი::

„თავად-აზნაურობა საკმაოდ კარგად იცვამს. პერანგს იკერავენ სხვადასხვა ფერის აბრეშუმისაგან. პერანგის ყელსა და ქობას ჰქარგავენ სირმით, ძვირფასის ქვებით და მარგალიტებით. ეს შემკულობა რომ ყველამ ცხადად დაინახოს, პერანგი შარვალს გარეთ აქვთ გადმოფარფაშებული. პერანგზე აცვიათ ახალუხი, რომელიც მუხლებამდინ უწვდებათ. ეს ახალუხი შალის ან აბრეშუმის არის და მოქარგული. პერანგი რომ არ დაფაროს, უფრო მოკლეა პერანგზე. მასზე ყელიდან წელამდე აკერიათ ნაჭედის ვერცხლის ღილები. წელზე არტყიათ სარტყელი..., ახალუხის ზევით, სიცივეში, აცვიათ მეორე ტანისამოსი, კიდევ უფრო მოკლე, კაზაკინის მსგავსი. ეს მეორე ტანისამოსი არის ან უფრო წმინდა შალისა, ან ფარჩისა და ან ხავერდისაგან და სარჩულად აქვს სიასამურის ტყავი“. „გარდა ამისა მეგრელები წვეულებასა და დღესასწაულში იცვამენ კიდევ ერთნაირ ტანისამოსს, რომელიც ფეხებამდის გრძელია და ყურთმაჯები მიწამდის უწვდება. ეს ტანისამოსი მეტად მშვენიერია, როგორც მოყვანილობით, აგრეთვე მდიდრულის ქსოვილით, რომლისგანაც იკერება. ჰკერავენ ამ ტანისამოსს დამასკის ქსოვილისა, ან ხავერდისა და ფარჩისაგან; სარჩულად უდებენ სიასამურის ტყავს და მაღლიდან ქვედამდი შემკულია ოქროს ან მარგალიტის ღილებით. ყოველ თავად-აზნაურს ამისთანა ტანისამოსი რამდენიმე აქვს სხვადასხვა ქსოვილისა, რომ გარემოებისამებრ ან ერთი ჩაიცვას, ან მეორე. ეს ტანისამოსი საერთოა როგორც კაცებისათვის, ისე ქალებისათვის...“

დიდ ნადიმებზე ტანისამოსი „საგანგებოა და მგონია ჰგავს ძველთა საქორწინო ტანისამოსს. იგი არის ფეხებამდი გრძელი, ვიწრო და მიწამდი გრძელის სახელობით, რომელიც ზურგზე გადაგდებული აქვთ. სარჩულად ამ ტანისამოსს აქვს კვერნის ან სიასამურის ტყავი და პირად ან ფარჩა, ან ხავერდი და ან დამასკის ქსოვილი. ყველა ცდილობს, რომ ასეთი ტანისამოსი სხვადასხვა ქსოვილისა რამ-



დენიმი ჰქონდეს, რათა, რამდენჯერაც სასმელად ადგება, იმდენჯერ მისმა ხელ-  
ქვეითმა უნდა გამოუცვალოს მას ეგ ტანისამოსი, რაც დიდის სიმდიდრის ნიშნად  
მიაჩნიათ სამეგრელოში“.

მისიონერი, როგორც ჩანს, ძალზე მოხიბლულია და ამავდროულად გაკვირ-  
ვებულიც მეომრების სამოსითა და აღკაზმულობით.

„არ ვფიქრობ, რომ რომელიმე ჯარი ისე სამაგალითოდ მოწყობილი გამოდი-  
ოდეს ლაშქრად, როგორც მეგრელების ჯარი. მშვენიერი ტანისამოსები ისე  
ბრწყინავენ, როგორც არსად სხვაგან: თვითუფლს მოაქვს ყველა თავისი ტანისა-  
მოსი და ცდილობს, რომ აქ უფრო კარგად იყოს ჩაცმული, ვიდრე ჩვეულებრივ  
არის. მართლა ახირებულია, რომ აქ ყოველ დღე იცვლიან თავიანთ ტანისამოსს.  
ვისაც ვერცხლეულობა აქვს, ერთიანად თან მოაქვს; აგრეთვე მოაქვთ საუკეთესო  
ირანული ხალები, რათა ამ ხალებზე დღისით დასხდნენ და ღამით დაიძინონ.“  
„... ჩაჩქანი სწორედ იმისთანა არის, როგორც ხურავს ჩვენს ცხენოსან ჯარისკა-  
ცებს. აბჯარი რკინის წვრილი და პრტყელი ნაჭრებიდან შესდგება და ადვილი ჩა-  
საცმელი და სატარებელია. აბჯარზე მიკერებულია კაბის ქვედა-წელის მსგავსი,  
რომელიც მუხლებამდი წვდება. ეს ქვედა წელი კაბისა შალის არის, ჩვენებური  
სარჯის მსგავსი, მაგრამ ისე ღია წითელია, რომ მოგაგონებთ საუკეთესო მოწყულ-  
სა, ფეხსაცმელი საუცხოვოა მოყვანილობით და შეკერულობით: ზედაპირი სულ  
მოქარგული აქვს წვრილ-წვრილი ქინძისთავზე ცოტა უფრო დიდი პრტყელი  
თითბრის ღილებით. ეს ღილები ღამაზად და დიდის ხელოვნებით ჩაკერილია  
შიგნით და ერთმანეთზე გადაბმულია წვრილის, მაგრამ მაგარის გრებილით, რო-  
მელიც თხის მატყლისაგან არის დართული.“

ლამბერტი მისთვის დამახასიათებელი სკურპულოზობით აგვიღწერს დაბა-  
ლი ფენის ჩაცმულობასაც და ხაზს უსვამს პრივილილეგირებულ ფენებთან შედა-  
რებით მათ სავალალო და უმწეო მდგომარეობას:

„მდაბიო ხალხის შესახებ არც კი ითქმის, რომ მას ტანს აცვიაო, რადგან მისი  
სიღარიბე იქამდია მიღწეული, რომ სამოსელი ძლივს ნახევარ ტანს უფარავს. მარ-  
თლაც კაცების ტანისამოსს შეადგენს რაღაც შალის ნაგლეჯი, რომელიც ძლივს  
მუხლამდი უწვდება, და სულ უბრალო თოკი სარტყლად აქვთ. სხვას არა ზრუნა-  
ვენ: არც პერანგის, არც შარვალის, არც წინდების და ფეხსაცმელის დარდი არა  
აქვთ. იმისთანებიც არიან, რომ ამ შალის ნაგლეჯსაც ვერ შოულობენ და სოფლად

სულ შიშვლები დადიან. რადგან ოდიშის სინოტიე ხელს არ უწყობს ცხვრის გამრავლებას და ცხვარი ძვირია, მეგრელებსაც უძნელდებათ მცირეოდენი ტანისამოსის შეძენაც, რომ შიშველი ტანი დაიფარონ. ამიტომაც, თურქთა გემები როცა კი მოადგებიან სამეგრელოს ნაპირებს (ისინი მოდიან ყოველ წელს), მეგრელები... მოაწყდებიან ამ გემებს შალის საყიდლად; მაგრამ, რადგან ფული არა აქვთ, გამოიტანენ კანაფს, თაფლს, ცვილს, სელს, ან სელის თესლს და ამაებს უცვლიან თურქებს შალზე. თოკი სარტყლად აქვთ მარტო ღარიბებს კი არა, შეძლებულებსაც... გარდა თოკისა აზნაურებს და შეძლებულ გლეხებს არტყიათ ტყავის ქამარი, რომელიც შემკულია ვერცხლის ფოლაქებით. ამ ქამარზე ჩამოიკიდებენ ხოლმე სხვადასხვა რასმე, რაც კი გზაში დასჭირდებათ... ერთის სიტყვით მათ წელზე ჰკიდია მთელი მალაზია... რაც შეეხება ღარიბს დედაკაცებს, მათთვის კაბა და პერანგი ერთი და იგივეა; პერანგის ამხანაგი კი ფეხებამდის უწვდებათ და ფეხები მუდამ შიშველი აქვთ.“

ზემოაღნიშნულის საპირისპიროდ ავტორი ერთგან წერს, რომ: „წინდებს მდაბიო ხალხი ქსოვს ადგილობრივის მატყლისაგან და ან აბრეშუმისაგან.“ სავარაუდოდ, აქ იგულისხმება, რომ წინდები, მით უფრო აბრეშუმისგან – გლეხების მიერ, პრივილეგირებული ფენებისათვის მზადდება.

„დაბალი ხალხი მგზავრობს ფეხით. თან მიაქვთ წვიმის შემთხვევისათვის მხოლოდ ნაბადი, რომელიც წელს ქვეით ძლივს სწვდება, და იძულებულნი არიან დიდ ტალახში ფეხშიშველი იარონ და ხშირად დიდ წვიმაში — თავშიშველი. ქუდს ინახავენ ნაბდის ქვეშ, რათა არ დასველდეს და ქუდის დასველებას თავის დასველებას არჩევენ.“

ლამბერტის ყურადღების მიღმა არ რჩება ჩაცმულობასთან დაკავშირებული სხვადასხვა ტრადიცია, ისეთები როგორცაა ახალი ტანსაცმლის ჩაცმის წინ, საშობაო დღესასწაულისა თუ სამგლოვიარო შეთხვევებისას: „ახალ ტანისამოს არას გზით არ ჩაიცვამენ, თუ წინ და წინ მარჯვენა ფეხ ქვეშ არ დააგდეს და არ გათელეს.“ შობის დღესასწაულისათვის საგანგებოდ მორთვის ტრადიციის შესახებ წერს: „ამასობაში ვინც სახლშია: თვით მთავარი, დედოფალი, ყმაწვილები და ქალები მორთვებიან საუკეთესო ტანისამოსით, შეიყრებიან ერთ ოთახში, რომელიც უფრო დიდია სასახლეში, მწკრივად დადგებიან ანთებული სანთლებით ხელში და ელოდებიან პროცესიას...“

მგლოვიარეთა ჩაცმულობას ავტორი ასე აგვიღწერს:

„ტანისამოსს პირველ ხანებში იკერვენ მსხვილ შალისაგან ფეხებამდის გრძელს. თავზე ბოხობის მაგიერ ჰხურავთ თხის ტყავი შაქრის თავის მსგავსად. ფეხსაცმელი თხის ტყავისავე აცვიათ, და ტყავს ბალნიანი პირი გარედ აქვს. ხალხს რომ აჩვენონ მწუხარებისაგან დაღონებული და გატეხილი ვართო, ხელში წვრილ ჯოხს დაიჭერენ, ამაზე დაეყუდებიან და დადიან. რამდენიმე ხნის შემდეგ მსხვილი შალის ტანისამოსს გაიძრობენ და შეიმოსებიან ჟანგის ფერის ანუ მუქყვითელ ტანისამოსში. კიდევ რამდენიმე ხნის შემდეგ შეიმოსებიან შავ-თეთრ ზოლებიან ტანისამოსში; წმინდა შავი კი ყველაზე უფრო ღრმა მგლოვიარების ნიშნად მიაჩნიათ“.

საინტერესოა თხზულების პასაჟები, სადაც აღწერილია მეგრელთა თავბურვის ტრადიციები და მათი ფეხსამოსი:

„თავზე იხურავენ ძლიერ თხელს და თეთრს ლეჩაქს, სამ უბედ გამოჭრილს, ისე რომ ერთი უბე ზურგზე აქვთ ჩამოშვებული და დანარჩენი ორი — მხრებში. ლეჩაქს თავზე ამაგრებს ოქრომკედის თუ აბრეშუმის ერთნაირი ქუდი, რომელიც გვირგვინსა ჰგავს. ამ ახირებულ გვირგვინზე ჩვეულებრივ წამოაცმევენ ფრთას ან მშვენიერ ყვავილსა...“

ცხენოსან ქალებს ჩვეულებრივ ხურავთ ირიბულად გამოჭრილი და აბრეშუმით და ოქრომკედით მოქარგული ყაბალახი (tocca a traverso) და წვერში წაწვეტილი ქუდი, რომელიც წმინდა მაუდისაა და სარჩულად აქვს სიასამურის ტყავი...

მდაბიო ხალხის ქუდი ნაბდისაგან არის გაკეთებული და უფრო ჰგავს კოთხოს, ვიდრე ჩვენებურ შაპოს, რადგან კალთები სულ არა აქვს და თავს ძლივს ფარავს. ამ ქუდს სხვადასხვა სახეს აძლევენ. თავად-აზნაურები ამ ქუდს იკერავენ ან წმინდა შალისაგან და ან აბრეშუმისაგან: ზოგიერთები აქარგვინებენ მას, ან ამკობენ თათრულად სიასამურის ტყავით, ან ირანულად აკერვინებენ წაწვეტილებს, როგორც კაპუცინების თავსახურავია და ამკობენ ვერცხლის ფერის ცხვრის ტყავით, რომელიც ირანიდან მოაქვთ. როცა იმ ქვეყანაში ჩავედი, მეგრელებმა რომ ჩვენი შაპო დაინახეს და დარწმუნდნენ, რომ ეს შაპო ძალიან გამოსადეგია წვიმის და მზის დროს, მოინდომეს მისი შემოღება. ჯერ მღვდლებმა, მერე აზნაურებმა და ბოლოს გლეხებმა მართლა შემოიღეს იგი. მაგრამ, რადგან ასეთი შაპოსთვის საჭირო მატერიის გამკეთებელი ოსტატი არ ჰყავთ, ფორმა მაინც გადაიღეს მისი და ზოგი აკეთებინებს მას შალისაგან და შიგ მუყაოს დაუდებს, ზოგი - ხის კანისაგან და ზედ გადააკრავს ხოლმე გასანთლოულ ტილოს; ზოგი კი - ხარატის დაზგაზე ამოღებული ხის კანისაგან. ამ შაპოს პირდაპირ თავზე არასოდეს

არ დაიხურავენ. არამედ თავიანთ ქუდის ზევით; არც ყოველთვის ატარებენ, არამედ მარტო წვიმაში ან მზიან ამინდში.“

ავტორი საინტერესოდ ახასიათებს დიდგვაროვანთა ფეხსამოსს:

„ფეხსაცმელს ოდიშში უმეტესს ნაწილად ჰკერავენ მოუქნელის ტყავისაგან, როგორც ჩვენი მთიული გლეხები; ბევრი ამ ფეხსაცმელს ისე შნოიანად ჰკერავს, რომ ბატონებიც კი იცვამენ სანადიროდ რომ მიდიან, უფრო მარდად სიარული-სათვის. ქალები და კეთილშობილები ირანულ ქოშებს ატარებენ სამ გოჯიან ქუს-ლებით. ეს ქოშები სხვადასხვა ფერის ტყავისაგან იკერება. ასეთი ტყავისაგან ჰხურავენ იმ წაღებსაც, რომელსაც ქალები იცვამენ ცხენოსნობის დროს. ეს წაღები მაღალ ყელიანი როდია, მხოლოდ წვივებამდე უწვდებათ ყელი, რომელიც ოქროთი და ძვირფასი თვლებით არის მორთული...“

წაღები მოქარგული აქვთ... ეს წაღები მაღალ ყელიანი როდია, მხოლოდ წვივებამდე უწვდებათ ყელი, რომელიც ოქროთი და ძვირფასი თვლებით არის მორთული... მეტად კარგად გამოწყობილნი არიან თავის საუცხოვო მოქარგულის ყაბალახებით, წაღებით და კაბებით.“

ავტორი გაცემით შენიშნავს გლეხების ერთი უცნაური ჩვეულების შესახებ: „სასაცილო ის არის, რომ მთელი დღე ფეხშიშველი დადიან და სახლში კი როგორც მივლენ, მაშინვე ფეხებს დაიბანებენ, ზედ ჩაიცვამენ ფეხსაცმელს და ეგრე მთელი ღამე სძინავთ. უკეთუ მეორე დღეს გზა უნდა განაგრძონ, ხელახლა გაიძრობენ ფეხსაცმელს და ისე გაუდგებიან გზას.“

მოგვიანებით, 1657 წელს, ლამბერტიმ მეორე წიგნი – „წმინდა კოლხეთი“/ „Colchide sacra“ გამოაქვეყნა, რომელიც ქართველი მკითხველისათვის უცნობი იყო და მხოლოდ ამ უკანასკნელ წლებში ითარგმნა [17]. მასში გადმოცემულია პაპის კურიის მიერ საქართველოში გამოგზავნილ თეატინელთა მისიონის 1631-1649 წლების მთელი ისტორია. წიგნში მართალია, სამოსის შესახებ საუბარი არ არის, მაგრამ სატიტულო გვერდზე გამოსახულია გრავიურა, რომელზეც მისიონერების მიერ ახალგაზრდა ქალებისა და ბავშვების მონათვლის პროცესია აღბეჭდილი (სურ. 14). გრავიურაზე კარგად ჩანს ქალის კაბის ფორმა, სარტყელი და დამახასიათებელი თავსაბურავი – თავსაკრავი ზოლითურთ. ქალის კაბის შუა ხაზზე გახსნილი გულისპირი, ყელის სამკუთხა ღიობით დასტურდება იმ პერიოდის სხვა სახვითი წყაროებითაც.



სურ. 14. გრავიურა არქანჯელო ლამბერტის წიგნიდან „წმინდა კოლხეთი“  
 Fig. 14. Engraving from Arcangelo Lambertini's book "Colchide sacra"

XVII საუკუნის ქართველთა ყოფა-ცხოვრების შესწავლისათვის ფასდაუდებელ განძს წარმოადგენს იტალიელი მისიონერის, თეატინელთა ორდენის პატრის **ქრისტოფორო დე კასტელის (Cristoforo Castelli)**, იგივე ტერამო კასტელის (1597-1659) შემოქმედება. მან საქართველოში მოღვაწეობის წლები (1628-1652 წწ.) არა მარტო წერილებსა და მოხსენებებში აღწერა, არამედ საუკუნოდ აღბეჭდა სურათებსა და ჩანახატებში, რომლებიც თვალსაჩინოდ და დოკუმენტურად ავსებენ ნაკლებად ცნობილ მოვლენებს და გვაცნობენ უცნობ პერსონაჟებს. ავტორის, როგორც თვითმხილველის მიერ შეკრებილი მასალები და ადგილზე შესრულებული ჩანახატები შვიდ სქელტანიან ალბომს შეადგენს და ე. პალერმოს კომუნალურ წიგნთსაცავშია დაცული. ხოლო ოფიციალური წერილები, მოხსენებითი ბარათები და ჩანახატები (მისიონის მოღვაწეობის ვიზუალური დოკუმენტი), რომლებსაც, ოცდახუთწლიანი მოღვაწეობის მანძილზე, პატრი ანგარიშის სახით აგზავნიდა რომში, იტალიის არქივებშია (პალერმო, ნეაპოლი, ფლორენცია, რომი) გაბნეული.

დონ კრისტოფორო დე კასტელის რელაცია და ნახატების ალბომი, როგორც შესანიშნავი პირველწყარო XVII საუკუნის ქართული სამეფოებისა და სამთავროების ისტორიის, ეთნოლოგიის, სამხედრო საქმის, კულტურისა და ცხოვრების შესახებ, საუკუნეზე მეტი ხანია იწვევს ქართველ მკვლევართა დაინტერესებას. ფაქტიურად არ დარჩენილა ქართველი ხალხის მეტნაკლებად მნიშვნელოვანი ყოფითი ცხოვრების რეალია, რომლის შესწავლისას არ იყოს მითითებული დე კასტელის სურათები და ჩანახატები, როგორც მნიშვნელოვანი საილუსტრაციო წყარო. ისინი ჩართულია ყველა სახის გამოცემაში – ფუნდამენტურ შრომებში, სასკოლო სახელმძღვანელოებსა თუ სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურაში.

ძალზე უცნაურად წარიმართა ამ თავდადებული მისიონერის ნაშრომის ბედი. საქართველოში მრავალწლიანი (1628-1654 წწ.) მოღვაწეობის შედეგი – 7 ტომად შეკინძული ნახატები და ჩანაწერები, უსამართლოდ იქნა მივიწყებული ხანგრძლივი დროის განმავლობაში და მარტოდენ მოკლე ცნობები გვხვდება იტალიურ წყაროებში მისი საქართველოში მისიონერული მოღვაწეობის შესახებ [18], [19], [20]. მხოლოდ 200 წელზე მეტი ხნის შემდეგ, პალერმოს მუნიციპლური ბიბლიოთეკის ასი წლისთავთან დაკავშირებულ ნაშრომში, მთავარი ბიბლიოთეკარი ჯოაკინო დი მარცო, XVII ს-ის თეათინელი მისიონერი ბერების ხელნაწერების აღწერისას, ახსენებს ფანქრით შესრულებული საინტერესო ნახატების რამდენიმე ტომს – საქართველოში მისიონის შესახებ. ავტორი ნახატებს მისიონერ ქრისტოფორო დე კასტელის დაკარგული ორიგინალების ასლებად მიიჩნევს, ალბათ იმის გამო, რომ კასტელიმ მოგვიანებით განმეორებით დახატა ზღვის ღელვის დროს დაკარგული სურათები [21]. სწორედ ამის შემდეგ დაინტერესდნენ მკვლევარები კასტელის შემოქმედებით. მისი ხელნაწერი და ნახატები მეტ-ნაკლებად საფუძვლიანად შეისწავლეს იტალიელმა მეცნიერმა [22] და ქართველმა მეცნიერმა მიხეილ თამარაშვილმა [23], [24]. სწორედ მისი ნაშრომებით გახდა ცნობილი კასტელის შემოქმედება ქართველი საზოგადოებრიობისათვის. მანვე ჩამოიტანა საქართველოში ნახატების ნაწილის ფოტოფირები. მოგვიანებით, 1961 წელს, როგორც საგაზეთო სტატიები გვაუწყებს, იტალიელმა ეთნოგრაფმა ე. სერენიმ კასტელის ნახატების მიკროფირები გადმოაგზავნა.

ქრისტოფორო დე კასტელის შემოქმედების კვლევის საქმეში ფასდაუდებელი შრომა გასწია ქართველმა ისტორიკოსმა ბეჟან გიორგაძემ. მან ვატიკანის ბიბლიოთეკაში მოაგროვა მასალები, გაშიფრა და თარგმნა კასტელის ჩანაწერები და 1976 წელს გამოსცა შესანიშნავი წიგნი „დონ კრისტოფორო დე კასტელი. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ“, რომელსაც დაურთო საკუთარი გამოკვლევები და კომენტარები [25, 26].

„დონ ქრისტეფორო დე კასტელის ალბომს არაერთგზის მიუბრუნდება ქართული მწერლობა და მეცნიერება. იგი ბევრი საყურადღებო ნაწარმოების წყარო გახდება“ – ასე აფასებდა ქართველი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე აკაკი ბაქრაძე მისიონერის შემოქმედებას [27].

მართლაც, კასტელის ალბომები და ჩანაწერები წლების განმავლობაში არის მრავალი, სრულიად განსხვავებული სფეროს კვლევის ობიექტი, ერთაირად საინტერესო რელიგიის, პოლიტიკის, ეკონომიკის, სამართლის, სამეურნეო საქმიანობის, სპორტული ასპარეზობების, კულტურის (სუფრისა და ლხინის ტრადიციები, ცეკვები, სიმღერის ტექსტები), ხუროთმოძღვრებისა და მშენებლობის, ბუნებრივი სიმდიდრეების და სხვა მრავალი მიმართულების კვლევის თვალსაზრისით.

ეს შესანიშნავი, მრავალმხრივ განსწავლული ადამიანი, თითქმის 26 წლის განმავლობაში უანგაროდ ეხმარებოდა ქართველ ხალხს და სრულიად დასწრულეული (როგორც თავად აღნიშნავს) დაბრუნდა სამშობლოში. საქართველო რომ გულწრფელად შეიყვარა და მასთან განშორებას გულისტკივილით განიცდიდა, ნათლად ჩანს სიტყვებიდან: „მრავალი წლის განმავლობაში საქართველო ჩემი სატრფო იყო“. მისიონერს სამშობლოში დაბრუნებისას, ზღვაზე ღელვის გამო, ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილი დაჰკარგვია და მოგვიანებით, უკვე 58 წელს მიტანებულს განუზრახავს დაკარგული სურათების აღდგენა, გაბნეული მასალის თავმოყრა და თემატური და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დალაგება. 1657-59 წლებში მან დაწერა ოცდახუთწლიანი მისიის შემაჯამებელი რელაცია – „მისია ურწმუნოთა მრავალ მიწაზე“ [28]. რელაციის შესავალში ის აღნიშნავს: „დავწერე რა ჩემი მოგზაურობა დაახლოებით 25 წლიანი, როდესაც ვიყავი უღირსი მე მისიონერად აღმოსავლეთში, და მისდა შესატყვისად დავიტანე ქალაქებზე ხაზად ყოველი, რუდუნებით, დავალება დაკისრებული პროპაგანდა ფიდეს წმინდა კონგრეგაციისგან [...] პორტრეტები ისეთი პატივცემულების, როგორებიც იყვნენ თავადნი და მეფენი იმ ქვეყნებისა, რომელთაც ვემსახურე მე ექიმად, და სხვა პროფესიებად; დავიტანე ფურცლებზე მათი სახელებით, და გვარებით, და [...] ადგილები, დრო, და მოწმეები, რომლებიც ვინაიდან არიან ძლიერ განსხვავებულნი ჩვენგან, იყო ცნობისმოყვარეობის მომგვრელი მოსასმენად, მაგრამ ამ ნაჯაფის დაკარგვისას ზღვაში ჩვენს ნივთებთან ერთად რომიდან პალერმოსკენ დაკვარგე სული ჩემი, რათა ხელმეორედ შემესრულებინა იგი – მოხუცს და ავადმყოფს, სრულიად დაძაბუნებულს, და უფრო მკვდარს, ვიდრე ცოცხალს, იმ მცირე ძალით, რომელიც დამრჩა, შევეცდები აღვადგინო ის მცი-

*რედი, რაც მეხსიერებამ შემოინახა, [...] და როგორც ამას შევძლებ მისთვის მორჩილი, ვისგანაც დავალებული ვარ, და იმ დარჩენილ დღეებში, რომელსაც უფალი მიბოძებს, წესრიგში მოვიყვან იმას, რაიც იქნება ქებაი და დიდებაი უფლისა“.*

ჩვენთვის უცნობია, სრულად აღადგინა თუ არა ავტორმა წლების მანძილზე რუდუნებით შექმნილი სურათები, მაგრამ ფაქტია, რომ შვიდ ალბომსა და მისიონის მოღვაწეობის ანგარიშებში თავმოყრილი ათასამდე სურათი და ჩანახატი, თანდართული კომენტარებითურთ, დღემდე უდიდეს ინტერესს იწვევს, როგორც დოკუმენტური მნიშვნელობის მქონე წყარო, ქვეყანაში მიმდინარე ისტორიული მოვლენებისა და ყოფა-ცხოვრების ამსახველი ნარატიული და ვიზუალური მასალა. მასალის მნიშვნელობას ზრდის სხვადასხვაენოვანი (უხშირესად თერთმეტენოვანი) განმარტებითი წარწერები, რომლებიც თითოეულ ნახატს უხვად ახლავს. ეს კომენტარები ძალზე ინფორმაციულია XVII საუკუნის საქართველოს სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთა ყოფითი რეალიების, მათ შორის განსაკუთრებით ჩაცმულობის შესწავლისათვის. ავტორს უყურადღებოდ არ რჩება ჩვენი ქვეყნის არცერთი კუთხე. მის ნაშრომში თანაბარი ინტერესითაა გადმოცემული მეფე-მთავართა თუ სრულიად დაბალი ფენის პორტრეტული გამოსახულებები, მათი ყოფისა და საქმიანობის დამახასიათებელი გარემო (ლხინი, ნათლობა, გლოვა, დაკრძალვა, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, სპორტული შეჯიბრებები, ნადირობა და სხვ.), შენობა-ნაგებობათა ნიმუშები, სამისიონერო საქმიანობის სცენები, ფანტასტიკური სიუჟეტები – ყველაფერი საკუთარი თვალით ნანახი და გულით განცდილი.

კასტელის შემოქმედების ანალიზისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ის იტალიური რენესანსის მხატვრობის იდეებით ნასაზრდოები შემოქმედი, რომლისთვისაც დამახასიათებელია ანტიკური ელემენტების გამოყენება, ამიტომაც, ზოგჯერ, მისი ჩანახატები და მონახაზები ანტიკურ სტილშია შესრულებული და სამოსიც ძველბერძნულს წააგავს, განსაკუთრებით თავისუფალი ხატვისას (როდესაც სრულიად ავთენტური ტაძრის გვერდით ანტიკურსამოსიანი ფიგურების მონახაზებია გაკეთებული). სამაგიეროდ, კონკრეტული პიროვნების სურათი, შესაძლოა რამდენადმე სტილიზებულია, მაგრამ სრულიად გადმოგვცემს რეალობას, განსაკუთრებით ისტორიული პირების გამოსახვისას.

კასტელის მიერ შესრულებულ სურათების შესწავლისა და ანალიზის შედეგად გამოვლენილი სამოსის სახეობებიდან უმეტესობას პარალელი ეპებნება ქართულ რეალობაში, განსაკუთრებით მინიატურული მხატვრობის ნიმუშებში,



ხოლო ზოგიერთი, შეიძლება ითქვას, სრულიად განსხვავებულია და მისი გამოყენების შემთხვევები ქართულ წყაროებში დაფიქსირებული არ არის.

როგორც მამაკაცის, ისე ქალის სამოსის ანალიზისას მკაფიოდ იკვეთება ჩაცმულობის კომპლექსები, რომლებიც რამდენიმე ფენისაგან შედგება, სურათებზე კარგად ჩანს კომპლექსების შემადგენლობა: შიგა პერანგი, გარე კაბა, მოსასხამი და თავსაბურავი. მოსასხამი ყოველთავის გახსნილია და კარგად ჩანს შიგა კაბა.

კასტელის მიერ გამოსახულ სამოსზე დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა მამაკაცების მიერ მოხმარებული კაბების სხვადასხვა სეხეობები, ესენია:

- კაბები ცენტრალური შესაკრავით;
- გადადებულკალთიანი (ხალათისებური) კაბები;
- კვართისებური (ტუნისისებური) კაბები სხვადასხვაგვარი გულისპირით: ღრმად ამოჭრილი ყელის მრუდით; წელის ხაზამდე ჩახსნილი გულისპირით; მკერდის ხაზამდე ჩაჭრილი გულისპირით.

სამოსის თითოეული აღნიშნული სახეობათაგანი ერთმანეთისაგან ზოგიერთი პარამეტრებითა (სილუეტი, სიგრძე, სისრულე) და ელემენტებით განსხვავდება, ესენია:

- სილუეტი – გვხვდება ტანზე მორგებული, თავისუფალი, ქვევით მცირედ გაფართოებული;
- სამოსის სიგრძე – გვხვდება გრძელი, მუხლს ქვევით, მუხლამდე და თეძო ხაზამდე სიგრძის კაბები;
- სახელოს სიგრძე – გრძელი, იდაყვამდე სიგრძის;
- საყელოები – გვხვდება უსაყელო, სხვადასხვა ფორმის ბრტყლადდაფენილი და ასევე შალისებური საყელოები;
- შესაკრავის სახეები – ჩაფრასტები, ღილები და ღილკილოები, გუჯასტები, ხრიკები, დუგმები.

დე კასტელის საკმაოდ ხშირად აქვს შესრულებული პრივილეგირებული ფენების, განსაკუთრებით მეფე-მთავართა პორტრეტული გამოსახულებანი – იმერეთის, ქართლის, კახეთის მეფეების, დედოფლების, სამეგრელოს, გურიის, სამცხის მთავართა მრავალი ჩანახატი თუ პორტრეტი.

**სურ. 15. იმერეთის მეფე ალექსანდრე III, კასტელის ალბომი**  
**Fig. 15. King Alexander III of Imereti**





Handwritten text in the top left corner, possibly a name or title, partially obscured by the crown.

Handwritten text on the left side, possibly a name or title.

Handwritten text in the bottom right corner, possibly a name or title.

მეფე-მთავართა ამ გამოსახულებებში გვხვდება როგორც საზეიმო, ისე ყოველდღიური თუ საბრძოლო ჩაცმულობა და აღკაზმულობა. დიდგვაროვანთა სამოსი გამორჩეულია ძვირფასი ქსოვილით (ფარჩა, დიბა, ბეწვი), უხვი ორნამენტაციით, და ოქრომკედის ნაქარგობით შემკული დეტალებით (საყელო, სამაჯე და ქვედა ნაპირებთან შემოყოლებული საოლველი). განსაკუთრებულად საინტერესო არის ის, რომ ერთ კომპოზიციაში ავტორი სრულად ახერხებს, როგორც პიროვნების გარეგნული იერისა და ხასიათის გადმოცემას, მისი თვისებების აღწერასა და სამოსის დახასიათებას, ისე მისადმი საკუთარი დამოკიდებულების ჩვენებასაც. ასე მაგალითად: იმერეთის მეფის ალექსანდრე III-ს პორტრეტთა მინაწერებში კატელი აღწერს მეფის ჩაცმულობას და ამავდროულად გარეგნობით აღფრთოვანებასაც არ მალავს:

*„საქართველოს მეფეები მოდგმით თვალტანადნი არიან, შესამჩნევად მალელები... ოქროს ქუდი, აღმასებითა და მარგალიტებით მორთული; ყელის ირგვლივ ოქრო და ძვირფასი ქვები ბეწვმოვლებული ზედა ტანსაცმელიც ოქროს ყვავილებითაა მორთული. ოქროსფუსკულებიანი წითელი კაბა მსხვილი ოქროს ღილებით. ხმალი და კვერთხი ოქროსი, ესპანურად დაყენებული ქერა ულვაშებით, ტანსაცმელის ქვეშ ლურჯი პერანგი ოქროს ძაფებით. მთლად შიგნით წითელი შეიდიში, მწვანე ფეხსაცმელი... საქართველოს მეფეები ტანად თითქმის დეკაკები (გიგანტები) არიან“.*

კასტელის ნახატზე მეფის სამოსის ფერები დატანილი არ არის (სურ. 15), მაგრამ ასეთი დაწვრილებითი აღწერის შედეგად შეუძლებელია თვალწინ არ დაგვიდგეს გელათის ტაძრის დასავლეთი ნართექსის კიბორიუმში მეფე ალექსანდრე III გამოსახულება და მისი სამოსი (სურ. 16, ა), რომელიც მხოლოდ კაბისა და შეიდიშის ფერით (კასტელის აღწერაში წითელი, ფრესკაზე იისფერი) თუ განსხვავდება კასტელისეული აღწერისაგან. გამოსახულება დროთა მსვლელობას საკმაოდ დაუზიანებია, მაგრამ შემორჩენილი გვაქვს მხატვარ გრ. გაგარინისეული ასლი, რომელზეც ნათლად ჩანს ოქროქსოვილი სამოსის ელვარება და სილამაზე (სურ. 16, ბ).



ა  
a



ბ  
b

სურ. 16. იმერეთის მეფე ალექსანდრე III: ა – გელთის ტაძრის მოხატულობა; ბ – მხატვარ გრ. გაგარინის ასლი

Fig. 16. king of Imereti Alexander III: a – Gelati church fresco; b – copy of painter Gr. Gagarini

მეფეთა-მთვართა საზეიმო სამოსს განეკუთვნება ასევე, კვართისებური (ტუნიკისებური) ფორმის კაბა, იგივე სამეფო ბისონი, რომელიც ხშირად გვხვდება ქართულ მონუმენტურ ფერწერაში. ასე მაგალითად კასტელის სურათზე „იმერეთის მეფე ქუთაისში კათოლიკურ წირვას ესწრება“ (სურ. 17, ა), მე-

ფის სამოსის კომპლექსი, რომელიც შედგება გრძელი შიგა კაბის, მოკლე ბისონისა და გრძელი მოსასხამისაგან, მსგავსია ლევან კახთა მეფის სამოსისა გრემის ტაძრის მოხატულობიდან (სურ. 17, ბ).



სურ. 17. კასტელისელი სამოსისა და ქართული სახვითი წყაროების შედარება: ა – იმერეთის მეფის სამოსი; ბ – ლევან კახთა მეფის სამოსი გრემის ტაძრის მოხატულობიდან  
 Fig. 17. Comparison of Casteli clothes and Georgian fine arts' sources: a – the clothes of the King of Imereti; b – Levan King of Kakheti's clothes from the painting of Gremi Temple

კასტელისეული სამეფო და დიდგვაროვანთა კოსტიუმის შემადგენლობაში შიგა კაბა და გარე ბისონი, ან შიგა კაბა და მანტია-მოსასხამი და სხვადასხვაგვარი თავსაბურავი შედის. გვხვდება, როგორც მოკლე, ისე გრძელი კაბა, ბისონი და მოსასხამი. შიგა კაბითა და ბისონით იმერეთის მეფე ბაგრატ I და ქართლის მეფე როსტომ ხანი არიან გამოსახული (სურ. 18, ა, ბ). როსტომ ხანის ბისონის გვერდები გახსნილია (სამღვდელმთავრო შესამოსელის მსგავსად), მისი კალთის ერთი მხარე სარტყელშია ჩაკეცილი და მის შიგნით კარგად მოჩანს ყვავილოვანი ორნამენტით დეკორირებული ფარჩის შიგა კაბა (სურ. 18, ბ). იმერეთის მეფის – გიორგის (სურ. 18, გ), კახეთის მეფის თეიმურაზ I-ის (სურ. 18, დ), სამგრელოს მთავრის – ლევან დადიანისა (სურ. 18, ე) და გურიის მთავრის – სიმონ გურიელის (სურ. 18, ვ) სამოსი საოლველით შემკული შიგა კაბისა და მოსასხამისაგან შედგება.





ბ  
c



ა  
b



ე  
e



ვ  
f



ზ  
g

სურ. 18. მეფე-მთავართა სამოსი: ა – იმერეთის მეფე ბაგრატი; ბ – ქართლის მეფე როსტომ ხანი; გ – იმერეთის მეფე გიორგი; დ – თეიმურაზ I; ე – სამეგრელოს მთავარი; ვ – გურიის მთავარი; ზ – თეიმურაზის ძე დავითი  
 Fig. 18. The clothes of kings and princes: a – King Bagrat of Imereti; b – Rostom Khan, King of Kartli; c – King Giorgi of Imereti; e – Principal of Samegrelo; f – Principal of Guria; g – David, son of King Teimuraz

კასტელის განსხვავებული სამოსით ჰყავს გამოსახული თეიმურაზ მეფის შვილი დავითი (სურ. 18, ზ). მისი სამოსი ერთი შეხედვით ევროპულს მოგვაგონებს, საყელო მაქმანისაგან დამზადებულის შთაბეჭდილებას ტოვებს. სავარაუდოდ ეს ბრტყლადადაფენილი მანიაკისებური საყელოა, ოქრომკედის ყვავილოვანი ორნამენტით დეკორირებული მართკუთხა ფორმის ყელის ღიობით. მისი ანალოგი უცხოელთა ჩანახატებსა და ქართულ სახვით მასალებში ჯერჯერობით ვერ მოიძებნა.

მეფეთა თავსაბურავები მრავალფეროვანია – სამეფო ოქროს გვირგვინიდან, თვალ-მარგალიტებით, ჯილითა და ბუმბულებით შემკული ქუდისა და დოლბანდის (ჩალმის) ჩათვლით.



კვართისებური (ტუნიკისებური) სამოსით მეფე-მთავართა გარდა გამოსახულნი არიან სხვა ფენის წარმომადგენლებიც. სამოსი სხვადასხვა სიგრძით ხასიათდება და საკმაოდ განიერია; ხშირ შემთხვევაში წინ, კალთის შუა ხაზზე წელამდე ან მკერდის ხაზამდე ჩაჭრილია. ჩაჭრილს ჩვეულებრივ აქვს საყელო; ხოლო ჩაუჭრელს ფართოდ ამოჭრილი ყელის ღიობი, თავზე გადასაცემლად. სარტყელი წელის ხაზზე აუცილებელი აქვსუარია (სურ. 19).



სურ. 19. კასტელისეული ტუნიკისებრი სამოსი

Fig. 19. Clothes like a tunic






სურ. 20. კაბები ჩაფრასტისებური შესაკრავით  
Fig. 20. Types of dress fasteners so called "chaphrasti"



სურ 21. კაბები ჩაფრასტისებური შესაკრავით  
Fig. 21. Types of dress fasteners so called “chaphrasti”

ქართული მონუმენტური და მინიატურული მხატვრობის ძეგლებიდან მრავალი პარალელი ემეზნება კასტელისეულ მამაკაცის კაბებს ცენტალური შესაკრავით, რომელთა კალთები წელის ხაზამდე დამუშავებულია ჩაფრასტისებური გუჯასტებით ან ხრიკებით (სურ. 20-21). ასეთი კაბით მისიონერს მრავალი პერსონაჟი ჰყავს გამოსახული. ისინი მსგავსია იმდროინდელი ისტორიული პირების სამოსისა, მათგან გამოვყოფთ: გელათის ტამრის მოხატულობიდან იმერეთის მეფის ალექსანდრე III-ის კაბა (სურ. 22, ა); სვეტიცხოვლის მოხატულობიდან მარიამ დედოფლის ვაჟის ოტიას კაბა (სურ. 22, ბ); წალენჯიხის მოხატულობიდან ლევან II დადიანის ვაჟის კაბა (სურ. 22, გ); მინიატურული მხატვრობის ნიმუშებიდან თავაქარაშვილის „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟების სამოსი (სურ. 23, ა, ბ); ჭედური ხატების ნიმუშებიდან – მარტვილის ღვთისმშობლის ხატზე გამოსახული ლევან II დადიანის კაბა (სურ. 23, გ).



სურ. 22. ისტორიულ პირთა სამოსი ფრესკულ მხატვრობაში  
 Fig. 22. Clothing of historical figures in fresco painting



სურ. 23. კასტელისეული მამაკაცის კაბების შედარება ქართულ სახვით მასალებთან  
 Fig. 23. Comparison of Castelli's men's dresses with Georgian fine arts materials

დასახელებული წყაროები სწორედ კასტელის საქართველოში მოღვაწეობის პერიოდითაა დათარიღებული და აქ გამოსახულ ისტორიულ პირებს ავტორი ხშირად მოიხსენიებს თავის ჩანაწერებში. ასევე კასტელის სამეგრელოში მისიონერების დროს ემთხვევა მხატვრისა და კალიგრაფის, მდივნებე მამუკა თავაქარაშვილის სამეგრელოს მთავრის კარზე დატყვევების და ლევან II დადიანის დაკვეთით „ვეფხისტყაოსნის“ მოხატავის პერიოდიც. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ არის კასტელისა და თავაქარაშვილის სამოსის მსგავსება, თუმცა ამ

მსგავსების ერთი შეხედვით დანახვა შეუძლებელია – სრულიად განსხვავებული სტილისტური შესრულებისა და ხატვის მანერის გამოკვეთილი სხვადასხვაობის გამო. რეალურად კი მათ მიერ გამოსახული კოსტიუმი თუ ადკაზმულობა ერთმანეთის იდენტურია, რისი აღქმაც მხოლოდ სიღრმისეული დაკვირვების შედეგად არის შესაძლებელი.

ასეთივე სამოსი უფრო გვიანდელი პერიოდის (კერძოდ, 1708 წ.) ქართულ მოხატულ ისტორიულ დოკუმენტში – „დავით-გარეჯის უდაბნოს სიგელ-გუჯარი“ გამოსახულ XVII-ის სამეფო პერსონებზეც გვხვდება (სურ. 24), რაც სამოსის ამ სახეობის ფართო გავრცელებაზე მეტყველებს.




სურ. 24. სამეფო პერსონები „დავით-გარეჯის უდაბნოს სიგელ-გუჯარის“ მოხატულობიდან

Fig. 24. Garments of royal persons from the Deed of Davit-Gareji desert

იგივე შეიძლება ითქვას კასტელის ნახატებიდან იმ კაბების შესახებ, რომლებიც წელს ზევით მჭიდროდ ეკვრის ტანს, წელის ხაზამდე ღილებითა და ღილკილოებით იკვრება, ხოლო წელი დაფიქსირებულია მჭიდროდ შემოკრული სარტყელით (სურ. 25, ა). ანალოგიური კაბით მრავალი პერსონაჟი ჰყავს გამოსახული თავაქარაშვილს „ვეფხისტყაოსნის“ მინიატურებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ კასტელის ნახატზე გამოსახული დატყვევებული მტირალი აზნაურისა და თავაქარაშვილის მტირალი უცხო მოყმის პოზა, სამოსი და ადკაზმულობა ზედმიწევნით წააგავს ერთმანეთს (სურ. 25, ა, ბ).



ა  
a



ბ  
b

ბ

სურ. 25. კასტელისეული კაზისა და თავაქარაშვილისეული სამოსის ურთიერთშედარება

Fig. 25. Comparison of Castelli's dress and Tavaqarashvili's clothing



ა  
a



ბ  
b



სურ. 26. კასტელისა და თავაქარაშვილის მხედრები საბრძოლო აღკაზმულობით  
 Fig. 26. Castelli's and Tavakarashvili's warriors with military attire

ცალკე უნდა შევეხოთ ერთგვარ საომარ აღკაზმულობას, რომელშიც კასტელის გამოსახული ჰყავს ცხენზე ამხედრებული გურიის მთავრები მამია (სურ. 26, ა) და ვახტანგ გურიელები (სურ. 26, გ) ხოლო თავაქარაშვილს ტარიელი – მინიატურებზე ბრძოლის სცენებით: „ტარიელის მიერ რამაზის დამარცხება“ (სურ. 26, ბ), „ტარიელის შებმა დევებთან“ (სურ. 26, დ).

მათი ურთიერთშედარება, მიუხედავად შესრულების სრულიად განსხვავებული მანერისა, ნათლად აჩვენებს გასაოცარ ურთიერთმსგავსებას. ორივე ავტორს ერთნაირად აქვს გამოსახული ჯაჭვის შლემი, იდაყვიდან მაჯამდე დამცავი სამკლავეები და ხელის დამცავი ჯაჭვის ხელთათმანი-საფუხრები; მსგავსია ჯაჭვის პერანგის ზევით ჩაცმული კაბის ქვედა საოლველიც. უნდა ვივარაუდოთ, რომ საბრძოლო მოქმედებისას სწორედ ასე იყვნენ აღკაზმული მხედრები, მით უფრო, რომ მებრძოლთა მსგავსი აღკაზმულობა სხვა ქართულ ხელნაწერთა მინიატურებში, კერძოდ დასავლეთ საქართველოში გადაწერილი XVI და XVII საუკუნეების ფსალმუნებშიც გვხვდება (ძილიხანის ფსალმუნი). დღეს, რა თქმა

უნდა, რთულია გადაჭრით დასკვნის გაკეთება – რომელია პირველწყრო, მაგრამ ფაქტია, რომ ერთ-ერთმა ავტორმა მეორე მხატვრის სურათით შთაგონებულმა შეასრულა ნახატი.

კასტელის ალბომის მრავალფეროვან ჩანახატებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქალთა სახეებს. აქ შეხვდებით როგორც დედოფლებს, სამეფო ოჯახის წევრებსა და დიდგვაროვან ქალბატონებს, ისე მოახლეებს, პოეტ ქალს, მხატვარს, ცხენზე ამხედრებულ ამორძალებს თუ მონად გაყიდულ ახალგაზრდა ქალებს, მომლხენ ქალბატონებსა თუ მშრომელ გლეხის ქალებს და სხვა მრავალთ. დიდგვაროვანი ქალბატონების სამოსში ხაზგასმით წარმოჩენილია უხვად დეკორირებული ძვირფასი ქსოვილები და მრავალფეროვნებით გამორჩეული გრძელი მოსასხამები – ბეწვის საყელოთი, ბეწვის სარჩულითა და გრძელი სახელოებით.

კასტელის ნახატებზე გამოსახული ჩაცმულობის ანალიზის შედეგად გამოვლენილი სამოსის სახეობებიდან უმეტესობას პარალელი ემბნება ქართულ მხატვრობასა და წერილობით ძეგლებში; ხოლო ზოგიერთი, შეიძლება ითქვას, სრულიად განსხვავებულია და მისი გამოყენების შემთხვევები ქართულ წყაროებში დაფიქსირებული არ არის.

მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდის ქალისა და მამაკაცის სამოსი თითქმის ერთნაირია (თუკი არ ჩავთვლით სიგრძეს) და ქალის კაბას ჯერ კიდევ არ აქვს მიღებული ქართული ტრადიციული კაბისათვის დამახასიათებელი ფორმები, რომელიც ხაზს უსვამს წვრილ წელს, კასტელის თვალს არ გამოჰპარვია ქალის ჩაცმულობის სილაზათე და აღნიშნავს: „ქალები იცვამენ მოხდენილად. მხრებზე წამოსხმული აქვთ რომელიმე შალი“.

ქალის სამოსში მკაფიოდ იკვეთება ჩაცმულობის კომპლექსები და ნათლად ჩანს შემადგენელი ელემენტები: საგულე ახალუხი (ზოგ შემთხვევაში შიგა პერანგი), კაბა, ზედა სამოსი და თავსაბურავი (სურ. 27). ზედა სამოსი უმეტესად გახსნილია და კარგად ჩანს შიგა კაბა.

ქალის სამოსის კომპლექსები მრავლად გვხვდება იმავე პერიოდის ქართულ მონუმენტურ და მინიატურულ მხატვრობაში, მაგალითისათვის გამოვყოფთ ქალ-ქტიტორთა პორტრეტულ გამოსახულებებს გელათის (სურ. 28, ა), სვეტიცხოვლის (სურ. 28, ბ), მარტვილის, ბუგეულის, ნიკორწმინდის და სხვა ტაძრების ფრესკული მხატვრობიდან. ქალის ჩაცმულობის ასეთივე კომპლექსები გვხვდება ქართულ ხელნაწერთა მინიატურებშიც (სურ. 28, გ).



სურ. 27. ქალის კოსტიუმის მრავალსახეობა კასტელის ალბომიდან  
Fig. 27. A variety of women's costumes from Castell's album





სურ. 28. ქალის სამოსის კომპლექსური შემადგენლობა: ა, ბ – ქართული მონუმენტური მხატვრობიდან; გ – მინიატურული ფერწერიდან  
 Fig. 28. Women's clothing complexes: a, b – from Georgian monumental painting; c – from miniature painting

კასტელისეული ქალის კაბებიდან შეიძლება გამოვყოთ შემდეგი სახეობები:

- კაბა კვართისებური (ტუნიკისებური) ფორმის, რომლებიც ერთმანეთისაგან მცირედი ნიუანსებით განსხვავდება: მრგვალი ან სამკუთხა ყელის ნაპირით; გულისპირის ჩახსნილის სიგრძით – წელის დონემდე, ან მცირედ ქვევით; სხვადასხვაგვარად დამუშავებული შესაკრავით: ერთი ან რამდენიმე საკინძით შეკრული (სურ. 27, სურ. 29, ა), მიჯრით განლაგებული ღილებით შეკრული, შესაკრავის გარეშე და სხვ.
- კაბა სახლართავიანი – გულისპირი, კალთის ნაპირებზე ზონარგაყრილია და საჭიროებისამებრ მოჭიმული (სურ. 29, ბ, გ, დ). სახლართავი კაბას ტანზე მჭიდროდ მორგებულ, გამოყვანილ სილუეტს აძლევდა რაც არ გამოჰპარვია კასტელის: „სამკერდის, ქამრისა და სამკლავების ასეთი შემოჭერილობა ქალს წერწეტს აჩენს“ – წერდა ავტორი.



ა  
a



ბ  
b



გ  
c



დ  
d

სურ. 29. სახლართაფიანი კაბის სახეები კასტელის ალბომიდან  
Fig. 29. Types of dresses with laces from the Castell's album

ჩვეულებრივ, კაბის შიგნით შიგა სამოსი – საგულე-ახალუხი ან პერანგი მოჩანს. კვართისებური კაბები, თავისი განმასხვავებელი ნიუანსებით, მრავლად გვხვდება ქართულ სახვით წყაროებში, როგორც ფრესკულ, ისე მინიატურულ ფერწერაში (სურ. 30).

სახლართავიანი კაბები ქართულ სახვით წყაროებში ჯერჯერობით ვერ მოვიპოვეთ.



სურ. 30. კაბის სახეები მონუმენტური მხატვრობიდან

Fig. 30. Types of dresses from monumental painting

ქალის ზედა სამოსის სახეობებიდან აღსანიშნავია:

- ქათიბი (სურ. 31, ა);
- მოკლე ზედა მოსაცმელი თავისუფალი სილუეტის, განიერი სახელოებით, გაწყობილი ცხვრის ტყავითა და არშიით (სურ. 31. ბ);
- გარე ქურქი, რომელიც ავტორს საკმაოდ მრავალგვარი სახეობის აქვს წარმოდგენილი. აქ გვხვდება: ქურქი ქათიბისებური, მოკლე (სურ. 31, ა); სურ. 27, ა, ბ; და გრძელი; ბეწვით გაწყობილი ან ბეწვსარჩულიანი (სურ. 1, ბ); სხვადასხვა ფორმის საყელოთი – მაღალი დგარისებური (სურ. 4, გ), გადაფენილი, შალისებური (სურ. 27, ა); სხვადასხვა ტიპის საყელოთი – ბეწვის, და ბეწვის გარეშე; სხვადასხვა სიგრძის სახელოებით – კოჭებამდე (სურ. 31, გ), მუხლამდე სიგრძის (სურ. 4, ა) და ზომიერი (სურ. 27, ა; სურ. 31. ბ).



სურ. 31. ზედა სამოსის მრავალსახეობა კასტელის ალბომიდან  
 Fig. 31. A variety of outerwear from Castell's album

ამ პერიოდის ქართულ წერილობით წყაროებში ზედა სამოსის – ქათიბისა და ქურქის აღმნიშვნელი მრავალი ტერმინი გვხვდება – „ოქროქსოვილის კურდღლით დაბეწვილი ქათიბები“, „ტყავი დიბისა... სიასამურით დაბეწვილი“, „ტყავი და ტოლომა ბეწულნი“, „ტყავი დიდი სახელ-ვიწრო“ და სხვ., რაც უდავოდ, მისი ფართოდ გამოყენების მანიშნებელია. მსგავსი ზედა სამოსი მრავლად გვხვდება ქართულ მონუმენტურ და მინიატურულ მხატვრობაში (სურ. 1; სურ. 3). აღსანიშნავია ამ სამოსის ერთი განსაკუთრებული თავისებურება: ის დაგრძელებული და ნახევრად გახსნილი სახელოების წყალობით სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნას გამოყენებული – მოსასხამი მანტიის სახით (სურ. 27, ა-გ; სურ. 31, გ), როდესაც ხელები სახელოებში არ არის გაყრილი; ჩაცმული სამოსის სახით, როცა ხელები ჩაყოფილია სახელოში და გამოყოფილია იდაყვის ნაკერში არსებული ჭრილიდან (სურ. 31, ა).

ძალზე საინტერესოა სამოსის დახასიათება პორტრეტებისა და ჩანახატების მინაწერებში, ასე მაგალითად:

- პოეტი ქალის ვომინიჯა ბერიძის პორტრეტის მინაწერში მის სამოსს ასე ახასიათებს: „სადად აცვია, ყელზე აქვს მარგალიტის ორმაგი მძივი, ფართო

მანტიას ირგვლივ ბეწვი გასდევს, ახურავს მარგალიტით მორთული თავ-საბურავი, წინ ლეჩაქის ორი ტოტი ჩამოუდის“ (სურ. 27, ვ).

- სვანი ქალის ჩანახატთან მიწერილია: „სვანების საპატიო ქალებს ნაწნავი თმები მრავალი ასხმა მარგალიტისა და სხვა დიდი ღირებულების ძვირფასი ქვებით აქვთ მოკაზმული. ტანსაცმელი მორთულია... უმშვენიერესი ოქროს ნამუშევარი მარგალიტითა და ძვირფასი ქვებით. ქვედა კაბები ოქროკემსილია, ასევეა სარტყელიც, რომელიც დიდ სილამაზეს ჰმატებს, როცა ის მცირედ ეშვება ზურგს უკან... ქალებს სახეზე მარგალიტები აქვთ ჩამოშვებული...“ (სურ. 31, ბ)
- კასტელის დაბალი ფენის ჩაცმულობაც არ რჩება ყურადღების მიღმა: „ზოგ პროვინციაში, სადაც არ წარმოებს ვაჭრობა, უფრო ღარიბები არიან, მაგალითად, აფხაზებს, სვანებს, ამაზონებისა და სხვა ქალებს აცვიათ მამაკაცებივით. ყველაზე მეტი საგანი მათ აქვთ... მატყლი და ცხოველთა ბეწვი (ტყავი)...“, ან კიდევ: „ღარიბი მეგრელები თხის ან ბატკნის ტყავში იმოსებიან“ და ა. შ.
- სამეგრელოს დედოფლის სურათის მინაწერში კი ვკითხულობთ: „ზემოთ და ქვემოთ უმშვენიერესად ოქროკემსულია, ძვირფასი თვლებით მორთული... გვირგვინი ძალიან ლამაზი მძივებითაა დატვირთული“ (სურ. 31, გ).

მართალია, სამეგრელოს დედოფლის, ლევან დადიანის მეუღლის – ნესტან-დარეჯან ჭილაძის კასტელისეულ ჩანახატში სამოსის მორთულობა მინაწერში მოყვანილ აღწერილობას არ შეესაბამება, მაგრამ მის რეალობას წალენჯიხის ტაძრის მოხატულობასა და ვერცხლის ჭედურ ხატებზე გამოსახული დედოფლის საექტიტორო პორტრეტები ადასტურებს, ერთ-ერთი მათგანია ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცულ ღვთისმშობლის ვერცხლის ხატზე არსებული გამოსახულება (სურ. 32). დედოფლის ყველა გამოსახულებას მრავალი საერთო ნიშანი აქვს – გვირგვინი, მოსასხამი გრძელი სახელოებით და კოჭამდე სიგრძის ნაწნავები, რომლებშიც თმისატანი სამკაულები არის ჩართული. ეს უკანასკნელი კარგად ჩანს კასტელის ჩანახატშიც (სურ. 31, გ).

როგორც ვხედავთ, კასტელისეული ქალის სამოსის ანალიზისა და ქართულ წყაროებთან შედარების თანახმად – ავტორის ესკიზებში გამოსახული კოსტიუმი და მისი ესა თუ ის ელემენტი სულაც არ წარმოადგენს მხატვრის ფანტაზიის ნაყოფს, არამედ სრულიად რეალურად არსებული ფორმების ასახვაა.

კასტელის ნახატებში ქალის სამოსთან ერთად არანაკლებ საინტერესოა თავბურვის სხვადასხვა ხერხები და თავსაბურავის სახეობები. ამ მრავალგვარობიდან უმეტესობა სრულიად უცხოა ქართული სახვითი წყაროებისათვის. იმ პერიოდის მამაკაცის თავსაბურავების შესახებ გვაქვს გარკვეული ცნობები წერილობითი ძეგლებიდან და მათი ფორმები ჩვენთვის მეტ-ნაკლებად ცნობილია სახვითი ნიმუშებიდან, მაგრამ ნაკლები ინფორმაცია გვაქვს ქალთა თავსაბურავების შესახებ. მონუმენტურ და მინიატურულ მხატვრობაში ქალების თავბურვა ძირითადად



სურ. 32. სამეგრელოს დედოფალი ნესტან-დარეჯან ჭილაძე  
**Fig. 32. Queen of Samegrelo Nestan-Darejan Chiladze**

თადად ლეჩაქ-გვირგვინის ან თავსაკრავი ზოლისა და მანდილის სახითაა წარმოდგენილი; ხოლო წერილობით ძეგლებში ლეჩაქისა და მანდილის გარდა დასახელებულია ქუდი, კუბასტი, იალქანი (იელქანი). რთულია ამ უკანასკნელთა გარეგნული ფორმის წარმოსახვა და დადგენა. კასტელის თუ დავუჯერებთ (როგორც ვხედავთ არ გვაქვს საფუძველი, რომ ექვი შევიტანოთ მისი შემოქმედების რეალობაში) XVII საუკუნის ქართველი მანდილოსნების თავბურვა გასაოცარი მრავალფეროვნებითაა გამორჩეული. მის ნახატებში თავსაბურავების მთელი გალერეაა წარმოდგენილი – დედოფლებით დაწყებული, მსახური და გლეხი ქალებით დასრულებული. აქ ნახავთ – ბეწვით გაწყობილ, თვალ-მარგალიტითა და ჯილით შემკულ ქუდეებს, შლაპისმაგვარ თავსაბურავებს, მანდილებს, სხვადასხვაგვარ თავსაკრავ ზოლებს, ყაბალახს, სპარსული ტიპის წოწოლა ქუდეებს (წიწაკა ქუდი) და სხვა მრავალს (სურ. 33).





სურ. 33. ქართველი ქალის თავსაბურავების მრავალსახეობა კასტელის ალბომიდან  
(გორგაძე, 1946: 948)

Fig. 33. Variety of Georgian women's headgear from Castell's album





სურ. 34. მარიამ დადიანი  
Fig. 34. Mariyam Dadiani

გამორჩეულად უნდა აღვნიშნოთ ლევან II დადიანის დის, ქართლის დედოფლის – მარიამის (ქართლის მეფის როსტომ ხანის მეუღლე) განსხვავებული

თავბურვის შესახებ (სურ. 34). ანალოგიური თავსაბურავითაა წარმოდგენილი სასულთნოს დედოფალიც – კასტელის ერთ-ერთ ჩანახატში. ის, ერთი შეხედვით, შუა საუკუნეების გოთური სტილის თავსარქმელსაც წააგავს. ასეთი ელემენტი დამახასიათებელი არ არის ქართული ტრადიციისათვის და არ გვხვდება სხვა სახვით წყაროებში. სამაგიეროდ, მრავლადაა XVI-XVII საუკუნეების ევროპულ წყაროებში [10], [29], [30] – გრავიურებსა და ფერწერულ ტილოებზე, რომლებზეც ოსმალეთის სასულთნოს დედოფლები და სულთნის ფავორიტებია გამოსახული (სურ. 35, ა-ე), რომელთა ავტორებს შორის გენიალურ ტიციანსაც ასახელებენ (სურ. 35, გ).



ა  
a



ბ  
b



ბ  
c



ბ  
d



ა



ბ

country. His work presents with equal interest the portraits of the kings or the lower classes, the characteristic environment of their existence and activities (wedding parties and rituals, baptism, mourning, burial, agricultural activities, sports competitions, hunting, etc.), samples of buildings, activity scenes, and etc. - everything seen with his own eyes and felt by his heart. Castelli's pictures and sketches as an important source of illustration.

Involved in all kinds of publications - fundamental works, textbooks or popular science literature. Many Georgian scholars have dedicated their research to the missionary's work in Georgia, identifying famous or unknown people in his album, describing and identifying his appearance. Among them is Sidamonidze's publication with a description of the appearance of a famous historical figure [28, p. 84]; Historian Murman Papashvili's monograph "Georgian-Roman Relations in VI-XX Centuries" - a study of Castelli's diplomatic, cultural-educational, economic and religious activities [19, pp. 140-143]; Numerous publications dedicated to Castelli's work: "Christopher Castelli and his mission in Georgia" [20, pp. 140-143]; „One undated letter from Don Cristoforo de Castelli“ [21, 6]; "Analysis of One Epicode From the Everyday Life of Don Cristoforo Castelli's in Georgia" [22, p. 69-78] and others.

Undoubtedly interesting studies of Castelli's work have been conducted by Marieta Chikhladze, which are reflected in the publications: „Cristoforo Castelli da Palermo alla Georgia“ [3, p. 8]; „Cristoforo Castelli's narration: between the word and image [4, p. 6]; „Once More About the Sketch by Cristoforo De Castelli” [5, p. 10]; „The Residences of Catholic Missionaries in 17th Century Georgia According Visual and Textual Narratives by Cristoforo De Castelli” [6, 29-73]. These publications are also not without interest: Zaza Skhirtladze and Marietta Chikhladze – „Western European Artistic Style in the Christian Orthodox Environment: Icons and Frescos Executed by Christeforo Castelli in Odishi and Guria (Western Georgia) [29, pp 127-64]; Zaal Qortua – „From the history of relationship Odishi Principality with Europe. The great friend of Georgia - Don Cristoforo De Castelli“ [Qortua, pp. 118-130].

In recent scientific publications, Castelli's work has been used as a source for the study of Georgian dress in the seventeenth century. Interesting in this regard is the research conducted by historian Jaba Samushia - the insignia of kings depicted in Castelli's album. The author has studied and characterized the crowns of the kings of Imereti, and 4 of them have been restored based on Castel drawings [27, p. 152-159].

Kvantidze, G. "Ethnographic Images from the History of Georgia in the XVII-XVIII Centuries (Historical-Ethnographic Research)" is not without interest for the research topics. In analyzing the embellishment of the garment, the author draws a parallel with Castelli's sketch [15, p. 378].

Group of authors - N. Dolidze, M. Datuashvili, I. Ugrekhelidze etc. In the monograph – “Research of Georgian national clothes according to written sources, museum exponents and iconographic materials” [9, p. 236], the clothes of the XVII century are discussed according to the attire of historical figures depicted in monumental paintings and de Castelli's drawings, quotes from his records.

In the work of the same authors - "Illustrated Reference Book of Georgian National Clothing", a review of the development of historical clothing describes the dress sets of 17th century clothing and their changes. Presented are some pictures and records of de Castelli with a description of the attire. The importance of Castelli's paintings for the study of Georgian historical costume is emphasized [10, p. 411].

The encyclopedic work by Giorgi Kalandia, Irine Saganelidze and Irakli Zambakhidze – "Textile from Georgia" is also very noteworthy. The work presents the clothes and fabrics of historical figures depicted in Georgian monumental painting. In-depth scientific analysis is supported by quotations from the records and reports of foreign authors, including de Castelli [13, p. 402].

No less interesting is g. Kalandia's "Fabric from Georgia (Georgian headscarf)", which describes the history of the development of headscarves, characterizes their forms, draws parallels with Castelian headscarves [14, p. 499].

From the recent publications about the Castilian clothes of Georgians notable are the articles of Ir. Ugrekhelidze, N. Kartsidze and E. Chubinidze: "Traditional Georgian Clothing from Foreign Sources" [33, p. 272-275], which discusses Castelli's paintings with other foreign sources and "Georgians and their Manner of Dress in the Resources of XV-XVII Century Italian Authors", which provides general information on Castelli's inheritance [34, p. 118-124].

As we can see, despite the multifaceted study of the creative work of Don Cristoforo de Castelli, there is one unresolved issue, namely - the publications do not try to find parallels between Castellian and Georgian reality, it do not reflect the comparative analysis of the costumes of historical figures or other persons presented in his paintings and the clothing represented in Georgian fine art's materials of the 17th century.

## **Results and Discussions**

When analyzing Castells' work, we should not forget that he is a creator nurtured by the ideas of Italian Renaissance painting, which is characterized by the use of antique elements, so sometimes his sketches are made in antique style and the clothes are similar to ancient Greeks', especially when drawing freely (when sketches of antique figures are made next to a completely authentic temple). Instead, the image of a particular person may be somewhat stylized, but it completely conveys reality, especially when depicting historical figures.

Most of the types of clothing identified as a result of Castel's study and analysis of images are sought in the Georgian reality, especially in miniature paintings, while some, it can be said, are completely different and cases of its use are not recorded in Georgian sources.

The analysis of both men's and women's clothing clearly reveals the clothing complexes, which consist of several layers, the pictures clearly show the composition of the complexes: inner shirt, outer dress, cloak and headscarf. The cloak is always open and the inner dress looks good.



Observations on Castell's clothing revealed various types of men-worn dresses, including:

- Dresses with central fastening;
- Khalat-like coat dresses;
- Tunic dresses with different hems: deep-cut neckline; With the waist extended to the waist line; With a heart cut to the breast line.

Each of these types of clothing differs from each other in some parameters (silhouette, length, completeness) and elements, these are:

- Silhouette - is found to fit the body, free, slightly extended down;
- Length of the garment - there are long, above knee-length, knee-length and hip-length dresses;
- Length of the arm - long, up to the elbow;
- Collars - there are collarless, flattened collars of various shapes and also woolen collars;
- Types of fasteners – hook fasteners called chaphrasti (it represented decorative element for chest piece), clasp fasteners (ghilkiloebi) and buttons, hidden hook buttons (gujasti), hook buttons (khrika).

De Castelli has often made portraits of privileged strata, especially kings and princes - many sketches or portraits of kings and queens of Imereti, Kartli, Kakheti, Samegrelo, Guria, Samtskhe. In these images we can find both ceremonial and everyday or military attire and harness. The nobleman's garments are distinguished by precious fabric (silk, diba, fur), abundant ornamentation, and details adorned with gold embroidery (collar, bracelet, and lower edges). It is especially interesting that in one composition the author is able to fully convey the appearance and character of a person, to describe his features and characterize the clothes, as well as to show his attitude towards him. For example: in the portrait inscriptions of King Alexander III of Imereti, Katel describes the king's attire and at the same time does not hide his admiration for his appearance: The kings of Georgia are handsome and slim, noticeably tall ... a golden hat, adorned with diamonds and pearls; Gold and precious stones around the neck, fur-wrapped upper garments are also decorated with gold flowers. Gold-plated red dress with large gold buttons. Golden sword and wand, Spanish-set with blonde mustache, blue shirt under clothing made with gold threads. Red pants (sheidish) inside, green shoes ... The kings of Georgia are almost giants." Castelli's painting does not show the colors of the king's robe, but as a result of such a detailed description it is impossible not to remember the image of King Alexander III in the canopy of the western narthex of the Gelati and his garments, which are only in the color of the robe and sheidish (red in Castell's description, violet in the fresco) if different from the Castellian description. The image is quite damaged over time, but we have preserved the artist Gr. Gagarini's copy, which clearly shows the sparkle and beauty of gold-plated garments of the king.

The kings' and principals' ceremonial garment also include a robe-shaped (tunic-shaped) dress, the same royal bison, which is often found in Georgian monumental paintings.

For example, in Castelli's picture, "The King of Imereti attends a Catholic liturgy in Kutaisi", the king's garment set, consisting of a long inner dress, a short bison and a long cloak, similar to the painting of Levan King of Kakheti in Gremi temple.

Castelli's royal and nobleman costume includes an inner dress and an outer bison, or an inner dress and mantle-cloak and various headgear. We can find in both short and long dress.

Castell depicts David, the son of King Teimuraz, in a different robe. His clothes remind us of European at first glance, leaving the impression of a collar made of lace. Presumably it is a flattened maniac collar with a rectangular-shaped neck opening decorated with a floral ornament of gold. Its analogue has not yet been found in the sketches of foreigners and in Georgian fine materials.

Kings' headscarves come in a variety of forms, from royal gold crowns to hats adorned with pearls, gems and feathers (jigha) and turbans.

Many parallels are found in the monuments of Georgian monumental and miniature painting of Castelli's men's dresses with a central fastener, the skirts of which are trimmed to the waistline with chafrast-like hook fasteners. Such dresses paints Castelli in a quite great number. They are similar to the clothes of historical figures of that time, we distinguish from them: the dress of King Alexander III of Imereti from the painting of Gelati temple; From the painting of Svetitskhoveli the dress of Otia, the son of Queen Mariam; from miniature paintings clothes of characters of M. Tavakarashvili's "Knight in the Panther's skin"; From the samples of embossed icons - the dress of Levan II Dadiani depicted on the icon of the Mother of God of Martvili. These sources are dated to the period of Castelli's activity in Georgia and the author often mentions the historical figures depicted here in his records. Also during his mission in Samegrelo, Castelli faced coincidentally the period of the capture of the artist and calligrapher, secretary Mamuka Tavakarashvili at the door of the principal of Samegrelo and the painting of "Knight in the Panther's skin" by the order of Levan II Dadiani. Therefore, it is not surprising that Castel and Tavakarashvili's clothes are similar, although it is impossible to see this resemblance at first glance - because of the completely different stylistic performance and drawing style. In fact, the costume or equipment depicted by them is identical to each other, which can be perceived only through in-depth observation.

The same can be said of the dresses from Castell's drawings, which are tightly fastened to the body with buttons and hook buttons up to the waist line, and the waist is fixed with a tightly fastened belt. With analogue dresses, Tavakarashvili paints a lot of characters in his miniatures, especially noticeable is that the posture, clothes and equipment of the crying captive noble man depicted in Castelli's painting and Tavakarashvili's character of weeping stranger knight are very similar to each other.

We should touch separately on a kind of military harness, in which Castelli depicts the princes of Guria on horseback, Mamia Gurieli, and Tavakarashvili's miniatures, where Tariel is depicted with a military harness, for example, "Defeat of Ramaz by Tariel". Their comparison, despite their completely different manner of performance, clearly shows striking similarities. Both authors alike depict a chain helmet, protective armrests from the

elbow to the wrist, and hand-held chain-protective gloves; The bottom edge of the dress worn above the chain shirt is similar. We must assume that this is how the cavalry was harnessed during the fighting, especially since a similar attire of the warriors can be found in the miniatures of other Georgian manuscripts, in particular in the Psalms of the XVI and XVII centuries copied in Western Georgia (Dzilikhani Psalm). Today, of course, it is difficult to make a definite conclusion - which is the first source, but the fact is that one of the authors, inspired by a picture of another artist, performed the drawing.

### **Conclusions**

And this is not all, such examples can be given endlessly. The visuals presented in Castelli's album, as sources of fine art created by an eyewitness over the years, have not lost their relevance even at the modern stage. His paintings provide complete and important information about the shape, silhouette, decoration and, in many cases, the texture of the Georgian historical costume. This proves once again that that Christopher Castelli, as a learned historian - with his practical work has done a great service to both Georgian historical science and the history of Georgian dress.

### **References:**

1. Alonso C. Origen de las misiones en teatinas en Georgia (1626), in *Memoria Ecclesiae. Miscellanea in onore del R. P. Josef, OMI prefetto dell' Archivio Segreto Vaticano a cura di W. Henkel, Roma-Freiburg-Wien, OMI, 1991, p.233-241*; Alonso C. Documentación inedita sobre las misiones de los Teatinos en Georgia // *Regnum Dei. – 1996. – T. 122. – C. 25-117*; 2001. – T. 127. – C. 285-355; Alonso C. I missionari Teatini in Georgia nel secolo XVII. *Quaderni di Oriente modern, n. 6. 2008. p. 15-23.*
2. Amat, P. di San Filippo. *Biografia dei viaggiatori italiani colla bibliografia delle loro opera.* Roma 1875, p. 202.
3. Chikhladze, M. *Cristoforo Castelli da Palermo alla Georgia. IV Giornata di Studi Armeni e Caucasicci (Eurasian Studies Department): Italy, Ca' Foscari University of Venice.* 2010.
4. Chikhladze, M. *Cristoforo Castelli's narration: between the word and image.* Paper presented at: IFLA World Library and Information Congress, Singapore 17 - 23 August 2013.
5. Chikhladze, M. „Once More About the Sketch by Cristoforo De Castelli“ . 2nd International Symposium Georgian Manuscripts. Tbilisi. National Centre of Manuscripts. 25-30 June 2013,

6. Chikhladze, M. The Residences of Catholic Missionaries in 17th Century Georgia According Visual and Textual Narratives by Cristoforo De Castelli. *The Kartvelologist Journal of Georgian Studies*, 26, 2017 [in Georgian and English], pp. 29-73.
7. Cottone, C. M. *De Scriptor. venerabilis domus Divi Iosephi Cleric. Regular. urbis Panormi, Panormi 1733*, pp. 92-100;
8. Crisantino, A. Una missione del Seicento alla scoperta della Georgia. Retrieved from la Repubblica:<https://ricerca.repubblica.it/repubblica/archivio/repubblica/2007/04/13/una-missione-del-seicento-alla-scoperta-della.html>. text available at the website 12/08/21.
9. Dolidze, N., Datuashvili, M., Ugrexelidze, I., Charkviani, I., Chirgadze, K., Lursamanashvili, L., & Kvantidze, G. Research of Georgian national clothes according to written sources, museum exponents and iconographic materials. ATSU. Kutaisi 2016. P. 236, 185-187. ISBN 978-9941-417-24-5.
10. Dolidze, N., Datuashvili, M., Ugrexelidze, I., Charkviani, I., Chirgadze, K., Lursamanashvili, L., & Kvantidze, G. *Illustrated Reference Book of Georgian National Clothing*. ATSU Press. Kutaisi, 2017. Pp. 23, 47-49, ISBN 978-9941-455-24.
11. Eszer, A. Missionen in Randzonen der Weltgeschichte: Krim, Kaukasien und Georgien, in *Sacrae Congregationis de Propaganda Fide Memoria Rerum 1622-1972*, Rom-Freiburg-Wien 1971, I, 1, pp. 665-668;
12. Ferro, B. *Istoria delle missioni de' Chierici regolari teatini*, I, Roma 1704, pp. 161-163, 510, 530, 686-744;
13. Kalandia, G., Saganelidze, I., Zambakhidze I. *Textile From Georgia Publishing House "Favorite"*. Tbilisi. 2017. p. 402. ISBN 978-9941-0-9641-9.
14. Kalandia, G. *Textile From Georgia (Headwear of the Georgians) Book II Art Palace*, 2019, p. 499. ISBN 978-9941-8-1910-0.
15. Kvantidze, G. *Ethnographic Images of 17th-18th Centuries of Georgia History (Historical-Ethnographic Study)*, doctoral dissertation. 2014. P. 378
16. Licini, P. *Carteggio indetito di D. Cristoforo Castelli : chierico, regolare, missionario in georgia e Mingrelia*. Publisher: [Milano] : [Istituto di materie umanistiche, Facoltà di architettura, Politecnico di Milano].
17. Licini, P. *Cristoforo Castelli e la sua missione in Georgia*. ჟურნალი Regnum Dei. *Collectanea theatina*, XLI, no III, Roma 1985.

18. Palermo (Italy). Biblioteca comunale. Primo Centenario Della Biblioteca Comunale di Palermo Addi XXV Aprile MDCCCLXXV. Palermo, 1875. P. 64. <https://hdl.handle.net/2027/uiug.30112071200726>.
19. Papashvili, M. "Georgian-Roman Relations in VI-XX Centuries", Publishing Aghmashenebeli. Tbilisi, 1995. P. 369.
20. Papashvili, M. Cristoforo Castelli and his mission in Georgia. Journal: "Historical Verticals", Tbilisi, 2008, №15, "Knowledge Society", pp. 140-143.
21. Papashvili, M. One undated letter from Don Cristoforo de Casthtelli. European researches, Italian sources about 17th century Georgia. Publishing Universal, Tbilisi, 2015.
22. Papashvili, M. Analysis of One Epicode From the Everday Life of Don Christoforo Casteli's in Georgia // Gori State Teaching University, Collection of the Works #20 2021. 69-78. ISSN 1512-4657
23. Picone C. Un siciliano in Georgia: Teramo Castelli, êe: Archivio storico siciliano, s. 3, XVIII (1968), p. 267–277.
24. Qortua, Z. From the history of relationship Odishi Principality with Europe. The great friend of Georgia - Don Christoforo De Castelli. Works of the Shota Meskhia University. N7, 8. Tbilisi, 2017, pp. 118-130.
25. Relazione e album dei schizzi sulla Georgia del secolo XVII / don Christoforo De Castelli ; il testo e le iscrizioni ha decifrato, tradotto, indagato, e ha munito i commenti Begian Guiorgadze. Tbilissi : Scienza, 1976.
26. Robertson, G., Henderson, G. Studies in Memory of David Talbot Rice. Edinburgh University Press, 1975, p. 294.
27. Samushia, J. Insignia of the kings of Imereti (according to the album of Don Cristoforo Castelli). Akaki Tsereteli State University. II Republican Scientific Conference Worked. Kutaisi. 2009, p. 152-159.
28. Sidamonidze, V. On the Castellian image of “the great Mouravi”, journal "For a communist upbringing" 1957, № 2, p. 84.
29. Skhirtladze, Z. Chikhladze M. Western European Artistic Style in the Christian Orthodox Environment: Icons and Frescos Executed by Christeforo Castelli in Odishi and Guria (Western Georgia). International Conference: On the Edge: Time and Space. Tbilisi State University 2017, pp. 127-64.
30. Talk about Castell's album -Giorgi Gachechiladze and Akaki Bakradze. Journal "Soviet Art" 1983. № 8. Tbilisi p. 83-96. ISSN: 0132-1307.

31. Tamarati, M. Histoire du catholicisme en Géorgie, Gamomcemloba Kartvelta Amxanagoba Tiflis 1902, pp. 644-647, 649-651.
32. Tamarati, M. L'Eglise géorgienne des origines iusqu'à nos jours, Rome 1910.
33. Ugrekhelidze, I., Kartsidze, N., & Chubinidze, E. Traditional Georgian Clothing from Foreign Sources. "Archival Studies, Source Studies - Trends and Challenges" Materials of the international conference. Tbilisi. 2019. p. 272-275. ISBN 978-9941-8-0995-8.
34. Ugrekhelidze, I., Kartsidze, N., & Chubinidze, E. Georgians and their Manner of Dress in the Resources of XV-XVII Century Italian Authors. Theoretical & Applied Science, 12, 2020, p. 118-124.
35. Ugrekhelidze I., Kartsidze N., Chubinidze E. The Study of Georgian Historical Costumes Based on the 16th-Century Ottoman Material Sources //History, Archaeology, Ethnology. – 2021. – №. V. – C. 304-313.
36. Ugrekhelidze, I., Kartsidze, N., Chubinidze, E. XVII Century French Written and Fine Sources on Georgian Attire// Fundamental and applied research in the modern world. Proceedings of the 10th International scientific and practical conference. BoScience Publisher. Boston, USA. 2021. Pp. 151-162.



## XVII- XIX საუკუნეების ფრანგული წერილობითი და სახვითი წყაროები ქართველთა ჩაცმულობის შესახებ<sup>7</sup>

საქართველოს, როგორც უცხო, ეგზოტიკური ქვეყნის მიმართ ინტერესი და ფრანგულ წყაროებში იბერიისა და გეორგიის სახელით მოხსენიება, ჯერ კიდევ XIII საუკუნიდან გვხვდება. მეტ-ნაკლები დაინტერესება ქართველთა ჩაცმულობით XVII საუკუნის ფრანგულ წყაროებში ჩანს. შესაბამისად, ჩვენც სწორედ ან პერიოდიდან ვიწყებთ განხილვას.

პირველი ფრანგი ავტორი, რომელიც ქართველთა ჩაცმულობას შეეხო ფრანგი არისტოკრატი **ფრანსუა დე ლა ბულე-ლე გუზიაა / *François de La Boullaye-Le Gouz*** (1623 – 1668). ის ბევრს მოგზაურობდა ევროპასა და აზიაში. მოგზაურობათა შთაბეჭდილებებში „*Les voyages et observations du sieur de La Boullaye Le Gouz*“ / „ბატონი ბულე-ლე-გუზის მოგზაურობა და შთაბეჭდილებები“ მან აღწერა სხვადასხვა ქვეყნების რელიგია, გასტრონომია, პოლიტიკური სიტუაციები და სხვ [1]. წიგნის ერთი პატარა თავი (გვ. 72-73) დათმობილი აქვს საქართველოს, სადაც ავტორი აღწერს ქართველთა გარეგნობას და გაკვრით ახასიათებს ჩაცმულობას: „*გურჯებს ანუ ქართველებს გრძელი თმა აქვთ წინ, შუბლის მხარეს, მაგრამ იპარსავენ უკან, იხურავენ ბეწვის ქუდს, ისევე როგორც პოლონელები ან თათრები; მათ გრძელი პალტო აცვიათ და ძალიან მამაცი არიან...*“.

ქართველთა ჩაცმულობის შესწავლისათვის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს XVII საუკუნის ფრანგი (ებრაული წარმოშობის) დიპლომატის, იუველირისა და კომერსანტის **ჟან-ბატისტ შარდენის Jean-Baptiste Chardin** თხზულება „*Voyages du chevalier Chardin en Perse, et autres lieux de l'Orient*“ / „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“ [2]. „მოგზაურობა“ მრავალჯერ იქნა გამოცემული და ითარგმნა სხვადასხვა ენებზე. საინტერესოა, რომ გამოცემები

---

<sup>7</sup> წინამდებარე თავი დამუშავდა შემდეგი პუბლიკაციის „*XVII Century French Written and Fine Sources on Georgian Attire*“// Fundamental and applied research in the modern world. Proceedings of the 10th International scientific and practical conference. BoScience Publisher. Boston, USA. 2021 – მიხედვით: პუბლიკაციის ინგლისურენოვან ტექსტს გთავაზობთ წინამდებარე თავის ბოლოს.



ერთმანეთისაგან განსხვავებულია და ილუსტრაციებიც სხვადასხვა ახლავს. ყველაზე სრულყოფილად მიჩნეულია ფრანგი ორიენტალისტის ლუი მატეი ლანგლეს მიერ 1811 წ. პარიზში გამოქვეყნებული „მოგზაურობის“ ატომეული. მას ცალკე ტომის სახით ერთვის დიდი ფორმატის მქონე ილუსტრაციების ატლასი.

თხზულების საკმაოდ დიდი ნაწილი საქართველოს აქვს დათმობილი. მოგზაურმა საქართველოში 1672-1673 წლები დაჰყო. მას დაწვრილებით და საკმაოდ ობიექტურობით აქვს აღწერილი სამეგრელოს, იმერეთისა და ქართლის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულებები, ჩაცმულობა, ხასიათი და ფიზიკური აღნაგობაც კი. ავტორს ცალ-ცალკე აქვს დახასიათებული სხვადასხვა სოციალური ფენის ქალისა და მამაკაცის ჩაცმულობა, დასავლეთ (კოლხეთის) და აღმოსავლეთ საქართველოს სამოსი, სხვადასხვა იერარქიის სასულიერო პირთა სამოსი. აღნიშნული დახასიათებები დასურათებულია ავტორის თანამგზავრი მხატვრის **გიომ გრელოს** მიერ, რაც განსაკუთრებით ზრდის შარდენის თხზულების მნიშვნელობას ქართული კოსტუმის ისტორიისათვის. სწორედ თვითმხილველის მიერ, უშუალო დაკვირვების შედეგად და არა ფანტაზიისა და სხვისი მონათხრობის მიხედვით შესრულებული ნახატები წარმოადგენს დოკუმენტურ სახვით წყაროს ყოფა-ცხოვრებისა და ჩაცმულობის რეალური სურათის წარმოჩენისათვის. საინტერესოა, რომ სხვადასხვა გამოცემებში ჩართულია ერთი და იგივე სიუჟეტის ამსახველი განსხვავებული ნახატები, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მხატვარი ნატურიდან ასრულებდა ეტიუდებს, სწრაფ ჩანახატებსა და წინასწარ მონახაზებს, რომელთა მიხედვით მოგვიანებით ხატავდა დასრულებულ სიუჟეტურ სცენებს. აქედან გამომდინარე, ცხადია თუ რამდენად ღირებულია გრელოს ილუსტრაციები ჩაცმულობის გაცნობისათვის, მით უფრო, როდესაც წყაროებში ფაქტიურად არ გვაქვს იმ პერიოდის საშუალო და დაბალი ფენის წარმომადგენელთა გამოსახულებანი.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს თხზულების პასაჟები, სადაც შარდენი კოლხი (მეგრელი) მამაკაცის გარეგნობასა და ჩაცმულობაზე საუბრობს და ეს შესაბამისად ასახულია მხატვარ გრელოს დასურათებაში, ასე მაგალითად, ავტორი გვიამბობს:

*„მრგვალად იპარსავენ თავის კორტოხს, დანარჩენი თმები, აგრეთვე, მრგვალად შემოპარსული და ჩამოზრდილი აქვთ თვალებამდე... ისინი ისეთი საწყალობელნი და გაჭირვებულები არიან, რომ წვიმის დროს არახჩინს ან ქუდს ჯიბეში იდებენ, რომ არ გაუფუჭდეთ და თავშიშველი დადიან... უმრავლესობა სხეულის დასაფარავად მხოლოდ მდარე ხარისხის ნაბადს ატარებს. ამ ნაბადს, რომე-*


ლიც ძველებურ ქლამიდას მოგვაგონებს, უყრიან თავს და ატრიალებენ სურვილისამებრ იმ მხარისაკენ, საიდანაც მოდის წვიმა და ქარი, რადგანაც იგი სხეულის მხოლოდ ერთ ნაწილს ფარავს და მხოლოდ მუხლებს სწვდება...


ფეხზე ეცვათ სანდლებისმაგვარი სპეციალურად თოვლში სასიარულო ფეხსაცმელები, რომლებიც მე მხოლოდ ამ ქვეყანაში ვნახე. მისი ძირი თავისი ფორმითა და სიგრძით თხილამურსა ჰგავს, თუმცა ისე განიერი არაა. ბადეც უფრო მეჩხერია, ხოლო ხე, რომელსაც ბადე უკეთდება, მრგვალია. ეს ფეხსაცმელი თოვლში არ ეფლობა, მხოლოდ ერთი თითის სიღრმეზე ჩადის. ამ ფეხსაცმლით თოვლზე სწრაფად მოძრაობენ. ტოვებენ მქრქალ და გაურკვეველ კვალს, რადგან ამ ფეხსაცმელს არც თავი აქვს და არც ბოლო“ (სურ. 40).

XVII საუკუნის ქართველი მამაკაცის საყოველთაოდ გამოყენებული სამოსისა და თავსაბურავის ფორმების წარმოდგენისათვის საინტერესო არის ილუსტრაცია ლხინი „ლხინი მეფის სასახლეში“ (სურ. 41). სურათზე თვალნათლივ ჩანს, რომ სუფრასთან მომსახურე პერსონალს სწორედ ისეთი სამოსი აცვია, რომლის შესახებ ავტორი აღნიშნავს: „ქართველების (იგულისხმება ქართლები) ტანსაცმელი თითქმის პოლონელებისას ჩამოგავს. ატარებენ პოლონურის მსგავს ჩაჩებს. ქურთუკი გულმკერდთან შეხსნილია, იკვრება ღილებითა და საღილე ყაითნებით (სურ. 42), ფეხსაცმელები ისეთივეა, როგორც სპარსელებისა“.


სურ. 40. თხილამური თოვლში სასიარულოდ  
Fig. 1. Walking ski shoes for snow







სურ. 41. ლხინი მეფის სასახლეში, შარდენის წიგნის ილუსტრაცია  
Fig. 2. Royal banquet in Tbilisi, Illustration from the book of Chardin



სურ. 42. მამაკაცის სამოსი და თავსაბურავები, ფრაგმენტი ილუსტაციიდან „ლხინი მეფის სასახლეში“, შარდენი  
Fig. 42. Georgian men's clothes and headscarf

სუფრასთან მსხდომ სტუმრებს შორის ზოგიერთს სწორედ ისეთი ქუდი ახურავს, რომლის შესახებ მოგზაური წერდა: „თავზე იხურავენ პატარა, თხელი ნაბდის არახჩინს, რომლის კიდეები კბილანებივით არის შეჭრილ-შემოჭრილი“ (სურ. 43). უფრო მეტიც, მონადიმეთა შორის ქართველი, ევროპელი, თურქი და სპარსი სტუმრის ამოცნობაც კი არის შესაძლებელი – ტრადიციული თავსაბურავების მიხედვით. გრელოს სურათზე წარმოდგენილი სუფრის მსახურთა სამოსის პარალელების მოძებნა ქართულ მინიატურულ და მონუმენტურ მხატვრობაშიც არის შესაძლებელი.



სურ. 43. მამაკაცის სამოსი და „კბილანებივით შეჭრილ-შემოჭრილი“ თავსაბურავი, ფრაგმენტი ილუსტაციიდან „ლხინი მეფის სასახლეში“, შარდენი

Fig. 3. Georgian Men's clothing and Georgian Men's headwear cut into several half-moons around edges

დასანანია, რომ ქართველი ქალი მხატვარ გრელოს დახატული არ ჰყავს... შარდენი ხომ მოხიბლული იყო მისი სილამაზით და ეპითეტებს არ იშურებდა საქებრად. ქალების ჩაცმულობას მოგზაური შედარებით ნაკლებად ახასიათებს, ყურადღებას უფრო თავსაბურავსა და ძვირფას ოქროქსოვილზე აკეთებს, სამოსს კი სპარსელი ქალისას ამსგავსებს: „ირთვებიან რამდენადაც კი შეუძლიათ. მათი

ტანსაცმელი სპარსელი ქალების ტანსაცმელს ჩამოგავს. თმის დავარცხნა და დახვევა ევროპელი ქალების მსგავსად იციან. ატარებენ ხილაბანდს, რომელიც მხოლოდ თავის ზევითა და უკანა ნაწილს ფარავს“; სამეგრელოს დედოფლის სამოსის შესახებ აღნიშნავს: „...ტანთ ეცვა ოქრონაქარგი ფარჩის კაბა. ეხურა ძვირფასი თვლებით მორთული თავსამკაული. პირბადე მოხდენილი და უჩვეულო ფორმისა იყო“.

აღსანიშნავია, რომ შარდენმა ძალზე რეალურად წარმოადგინა ჩაცმულობის მიხედვით სხვადასხვა წოდებრივ ფენებს შორის არსებული უდიდესი განსხვავება. ის ყმა გლეხების შესახებ აღნიშნავს:

*„უარესი ჩაცმულობა ქვეყნიერებაზე არ არსებობს... ღარიბი ხალხი თითქმის შიშველი დადის. ისინი უმაგალითო სიღატაკეს განიცდიან... აკეთებენ თხელ, წყალგაუმტარ ნაბდებს, რომელიც უფრო მსუბუქია ჩვეულებრივ ნაბადზე, მაგრამ შემაწუხებელია, განსაკუთრებით როცა დასველდება. თუ კაცს პერანგი და მისი ამხანაგი აქვს, მდიდრად ითვლება. თითქმის ყველა ფეხშიშველად დადის; კოლხების (მეგრელების) ფეხსაცმელი კამეჩის დაუმუშავებელი ტყავისაა. ეს ლანჩა მიმაგრებულია ფეხზე იმავე ტყავის თასმით, რომელიც ზევით იკვრება. ამგვარი სანდლები სრულიად ვერ იცავს ფეხს სისველისაგან; ფეხი ისევე სველდება, თითქოს შიშველი იყოს“*

ყმა გლეხის გამოსახულება ზოგიერთ გამოცემაში სატიტულო გვერდის გაფორმებაშიც არის წარმოდგენილი.

მაღალი წოდების მამაკაცის სამოსს შარდენი ნაკლებად აშუქებს, მაგრამ დანაკლისის შევსებას შესაძლებელს ხდის „მოგზაურობის“ ზოგიერთ გამოცემაში ჩართული ფრონტისპისი (სურ. 44).

ილუსტრაციაზე გამოსახულია ავტორის პორტრეტი მოზრდილ მედალიონში, რომელიც სპარსული სტილის ტანსაცმლით შემოსილ ქართველ დიდგვაროვნებს უპყრიათ ხელში. ნახატში სრულყოფილად ჩანს სამოსისა და თავსაბურავის ფორმები, სილუეტი, შემადგენლობა, მასალის ფაქტურა და დეკორი და შემკულობა.

აღსანიშნავია, რომ, მრავალ ქართულ წყაროში, ორივე ქართველი დიდგვაროვნის ასეთივე გამოსახულება – ფრონტალური ხედით „მეფე ალექსანდრე კახეთის“ (ალექსანდრე II) და „როსტომ ხანის“ (ქართლის მეფე) სახელით არის ცნობილი (სურ. 45).





◀ სურ. 44. დიდგვაროვანთა სამოსი  
Fig. 4. Highest-ranking men's clothing



სურ. 45. კახეთის მეფე ალექსანდრე II და ქართლის მეფე როსტომ ხანი  
Fig. 45. Alexander II (King of Kakheti) and Rostom Khan (King of Kartli)

შარდენის მოგზაურობის დროს ალექსანდრე II და როსტომ ხანი უკვე აღარ იყვნენ ცოცხლები. ამდენად, დიდგვაროვნების პროტოტიპებად დასახელებულ ისტორიულ პერსონებს ვერ მივიჩნევთ. საინტერესოა დადგინდეს – მეფეთა პორტრეტული გამოსახულება მოგვიანებით შეიქმნა თხზულების ფრონტიკისპისის

ილუსტრაციის მიხედვით თუ მხატვარ გრელოს აქვს ნატურიდან შესრულებული ქართველ დიდგვაროვანთა ეტიუდები და არასწორად იქნა ისინი მიჩნეული მეფეთა პორტრეტულ გამოსახულებად?

XVII საუკუნის ქართველთა ჩაცმულობისათვის საინტერესო წყაროა ფრანგი კარტოგრაფისა და სამხედრო ინჟინრის **ალენ მანესონ მალეს Allain Manesson Mallet** 1683 წ. გამოცემული ხუთტომეული ნაშრომი „**Description de l'univers**“, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნების აღწერა, რუკები და მოსახლეობის ტიპებია წარმოდგენილი. ნაშრომი მე-17-18 საუკუნეებში რამდენჯერმე იქნა გამოცემული [3]. II ტომში წარმოდგენილია ინფორმაცია საქართველოს შესახებ, რომელიც, როგორც თავად ავტორი მიუთითებს, ეყრდნობა ანტიკური ხანის ისტორიკოსების ცნობებს და ევროპელი მოგზაურების აღწერებს, მათ შორის ფრანგი ისტორიკოსისა და გეოგრაფის პიერ დ'ავითის **“de l'Asie”**, იტალიელი მისიონერის არქანჯელო ლამბერტის ხელნაწერს – **“Relation de la Mengrelie”** და სხვათა თხზულებებს. დასავლეთ საქართველოს დახასიათებისას ავტორი გაკვირვებით ეხება მამაკაცის თავსაბურავსა და სამოსს: „მამაკაცები აქ მალეები და ტანადები არიან... თავზე იხურავენ ბეწვით გაწყობილ ქუდებს, აცვიათ ადგილობრივ დამზადებული ქსოვილის კაბა, რომლის სიგრძე მუხლებამდეა; ყველაზე მდიდრები, რომლებიც ძირითადად სამეგრელოდან არიან, ძვირფას უცხოურ ქსოვილებს იყენებენ სამოსისათვის, მაგრამ ისინი ყოველთვის ვიწროა და უკან, ზურგში გაჭრილია, ცხენზე მოხერხებულად ჯდომისათვის“. ტექსტში ჩართულ კავკასიასთან დაკავშირებულ ილუსტრაციებს შორის არის გრავიურა ქართველი მამაკაცისა და ქალის გამოსახულებით (სურ. 46). გრავიურა აკვარელის საღებავებით ხელით არის გაფერადებული. აღნიშნული ილუსტაცია და მისი სახეცვლილი ვარიაციები XVIII საუკუნეში მრავალი სხვადასხვა ავტორის მიერ იქნა გამოყენებული [4].

ილუსტრაციის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ნახატი აშკარად არ არის თვითმხილველის მიერ შესრულებული, არ შეესაბამება იმ პერიოდის ქართველის ჰაბიტუსს და შესაბამისად სურათი რეალობას მოკლებულია.

ალენ მალე, მართალია, ბევრს მოგზაურობდა და თხზულებაში აღწერილი ადგილების უმეტესობა საკუთარი თვალით გქონდა ნანახი, მაგრამ უცნობია – იმყოფებოდა თუ არა საქართველოში. მამაკაცის ესკიზისათვის გამოყენებულია გრავიურა „ქართველი“, ჩეზარე ვეჩელიოს წიგნიდან [5] – მცირედი სახეცვლილებით.

სურათზე ქართველ მამაკაცს სამოსის რამდენიმე ფენა მოუჩანს: შიგა საგულე-ახალუხი, რომლის მხოლოდ სახელოები ჩანს; გარე სამოსი – ზოლიანი, გრძე



სურ. 46. ქართველები, ალენ მანესონ მალეს წიგნიდან  
Fig. 46. Georgians, from the book by Allain Manesson Mallet

ლი კაბა, იდაყვემდე სიგრძის სახელოთი; კაბას წესით, სახელოები გახსნილი და უკან, ზურგზე გადაფენილი უნდა ჰქონდეს და არა იდაყვამდე სიგრძისა; ფეხზე უძირო წულა-მესტები; თავზე ბეწვით გაწყობილი ქუდი, რომელიც კონუსური ფორმისაა და წამახვილებული წვერი მხრებამდე აქვს დაკიდებული. ამ დროს შეუმღებელია არ გაგვახსენდეს ვახუშტი ბატონიშვილის მიერ აღწერილი თავსაბურავი: „არამედ პირველ ერთმეფობასა შინა სცმიათ სხვაგვარ: თავს ქუდი გრძელი, რომლისა კუნჭული ბეჭსა ზედა მცემელი“. მიუხედავად ვახუშტისეული დამოწმებისა, მსგავსი თავსაბურავი თითქმის არ გვხვდება ქართულ მონუმენტურ და მინიატურულ მხატვრობაში; ასეთი თავსაბურავებით ქართველები XVI საუკუნის ოსმალური ხელნაწერი წიგნის „შეჯაათნამეს“ მინიატურებში არიან გამოსახულნი [6].

ქალის ფიგურა აშკარად წარმოსახვითაა შესრულებული და ცხადია, რომ ეყრდნობა მხოლოდ თვითმხილველის აღწერას. ის ნაკლებად შეესაბამება ქართველის ჰაბიტუსსა და ჩაცმულობას და შეიძლება ითქვას, რომ განზოგადებული სახეა, მით უფრო, რომ ქალის მსგავსი გამოსახულება სხვა ქვეყნის სამოსის საილუსტრაციოდაც არის გამოყენებული, სხვა ავტორების მიერ.

XVII საუკუნის კიდევ ერთი ფრანგი ავტორი, რომლის ნაშრომი შეიცავს ინფორმაციას ქართული ჩაცმულობის შესახებ, გახლავთ ლიტერატორი, ისტორიკოსი და გეოგრაფი **Antoine Phérotée de La Croix /ანტუან ფეროტე დე ლა კრუა**. მისი ხუთტომეული თხზულების „**Nouvelle méthode pour apprendre facilement la géographie universelle**“ / „უნივერსალური გეოგრაფიის შესწავლის ახალი მეთოდი“, V ტომის მეორე წიგნში გვ. 64-73, მოთხრობილია საქართველოს შესახებ და ჩართულია გრავიურა „ქართველები“ [7]. გრავიურის ქვედა ნაწილში გაკეთებული მინაწერის თანახმად ნახატის ავტორი **პ. სეინი უმცროსია** (P. Seuin jn), ხოლო გრავიორი **მ. ოჟე** (M. Ogier) ფიგურები წარმოსახვითი ხასიათისაა (სურ. 47). ისინი სავარაუდოდ, ალენ მანესონ მალეს „მსოფლიოს აღწერის“ გრავიურის მიხედვით არის შექმნილი და ფაქტიურად მის სახეცვლილ ვარიანტს წარმოადგენს.

სურ. 47. ქართველები, ლა კრუას წიგნიდან  
Fig. 47. Georgians, from the book by de La Croix





GEORGIENS.



სურათი გარდა იმისა, რომ არ შეესაბამება რეალობას, მაღალი შესრულების დონითაც ვერ გამოირჩევა, მაგრამ ის მაინც ღირებულია, რადგან ევროპელთა მხრიდან საქართველოში და ქართველებით დაინტერესების კიდეც ერთი და-დასტურებაა.

ახალგაზრდა ქართველი თავადის საინტერესო სურათი აქვს შესრულებული ფრანგ ოფიცერსა და მხატვარს **თეოდორ ლებლანკს** (Leblanc Théodore), რომელიც ჩართულია 1833 წლით დათარიღებულ მის ალბომში „**Croquis d' après nature faits pendant trois ans de séjour en Grèce et dans le Levant**“ / „საბერძნეთსა და აღმოსავლეთში სამი წლის განმავლობაში შექმნილი ესკიზები ნატურიდან“ [8].

თეოდორ ლებლანკის ბიოგრაფიული მონაცემები ძალზე მწირია. ცნობილია, რომ 1828-31 წლებში ფრანგულ სამეცნიერო ქსპედიციასთან ერთად იმყოფებოდა საბერძნეთში. სწორედ ამ პერიოდში შექმნა მხატვარმა ზემოდასახელებული ალბომი, რომელიც შეიცავს საბერძნეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სცენებს, ყოველდღიური ცხოვრების ამსახველ სურათებსა და პორტრეტლ გამოსახულებებს. მხატვარს ძალზე თავისებური, ინდივიდუალური ხატვის სტილი აქვს. საინტერესოა, რომ მის ნამუშევრებში არის ნახატი, ქართველი თავადის გამოსახულებით, რომელსაც, როგორც თავად აღნიშნავდა, მოგზაურობისას წააწყდა. სამწუხაროდ, უცნობია ვინ იყო თავადი (სურ. 48). მისი გარეგნული იერი, სამოსი და თავსაბურავი ზედმიწევნით შეესაბამება ქართველი მამაკაცის ჰაბიტუსს. თავადის სამოსი კომპლექსურია, მის შემადგენლობაში შედის ღია ფერის გრძელი საგულე-ახალუხი – საყელო დგარითა და მიჯრით განლაგებული ღილებით; ახალუხზე მოკლე, შავი ხავერდის ჩოხა – მკერდზე სამასრეებით და გახსნილი, ყოშით დაბოლოებული ყურთმაჯებით, რომელიც იდაყვიდან მაჯამდე შეკრულია ღილ-კილოებით; გრძელი, ფართე შარვალი; ქსოვილის სარტყელი; ფაფანაკი და წაღები ძალზე მოკაუჭებული ჭვინტებით. კოსტიუმს დასრულებულ იერს აძლევს ქამარზე დაკიდებული იარაღი, სარტყელში გაყრილი დამბაჩა და პატრონტაში. სურათზე ზურგით ჩანს ორი მამაკაცი, ჩაცმულობისა და თავსაბურავების მიხედვით, სავარაუდოდ, ისინიც ქართველები არიან. ერთ-ერთის სამოსს შეადგენს კაბა – ზურგზე გადაყრილი ყურთმაჯებით, წითელზოლიანი ახალუხი, ყოშით დაბოლოებული სახელოებით და კრაველის ბუხრის ქუდი; მეორე მამაკაცის ჩაცმულობიდან კი გარკვევით, მხოლოდ იმერული ფაფანაკი მოჩანს.

სურ. 48. ქართველი თავადი, თეოდორ ლებლანკი

Fig. 48. Georgian Prince, Leblanc Théodore





Leblanc.

*Dessiné d'après nature par Th. Leblanc*

*L. Lottin de Lohov, gravé colorié.*

# Prince Géorgien.

საყურადღებოა ინფორმაცია, რომელსაც გვაწვდის ფრანგი მეცნიერი, მკვლევარი-ნატურალისტი შარლ ბელანჟე (Charles Bélanger). ის საფრანგეთის მთავრობის მიერ 1825-29 წლებში სამეცნიერო ექსპედიციით იყო მივლენილი აღმოსავლეთის ქვეყნებში. სწორედ ამ მოგზაურობის დროს, 1825-1826 წლებში, მკვლევარი იმყოფებოდა საქართველოში და აწარმოებდა დაკვირვებას ფლორასა და ფაუნაზე. კვლევის შედეგი წარმოდგენილია სერიულ გამოცემაში – „**Voyage aux Indes-orientales, par le nord de l'Europe, les provinces du Caucase, la Géorgie, l'Arménie et la Perse...**“ / „მოგზაურობა აღმოსავლეთ ინდოეთში, ჩრდილოეთ ევროპის, კავკასიის პროვინციების, საქართველოს, სომხეთისა და სპარსეთის გავლით...“ [9], რომელიც მოიცავს 4 ტომსა და 3 ატლასს. მისი პუბლიკაცია განხორციელდა 1833-38 წლებში. ავტორს აღწერილი აქვს თბილისი, მცხეთა და მოცემული აქვს სტატისტიკური მონაცემები. ის საინტერესოდ გადმოგვცემს ქართველების სამოსის დახასიათებას:

*„სამოსი მას [მამაკაცს] თავისუფალი მოძრაობის საშუალებას აძლევს. ის აბრეშუმის ან მაუდის ფერადი მოკლე პერანგის, სხვა ტონის ზედა სერთუკისა თუ პატარა რედინგოტისაგან შედგება, რომელიც გულზე ჯვარედინად გადადის და საიდანაც პერანგი ჩანს. ამ მუხლებამდე სერთუკის სახელო იდაყვთან გახსნილია და ჩვეულებრივ ჩამოკიდებულია, წელზე კი ქამრითაა დამაგრებული. პერანგის ფერთან შედარებით კონტრასტული განიერი შარვლის ნაკეცები გადადის ჭვინტიან ჩექმებზე. ქართველ კაცებს შიშველი კისერი აქვთ, მათი ქუდი სპარსელებისა და სომხების მსგავსია. ეს წაკვეთილი კონუსის ფორმის ასტრახანული კრაველის ქუდია, რომელსაც უფრო პატარა, კონუსის ფორმის ქსოვილი აქვს შემოვლებული. ეს ქუდი აქეთ-იქით მოძრაობს და თმის გრძელი ხვეულები სახეს სასიამოვნოს ხდის. ქართველისგან განსხვავებით, სპარსელი ქუდის წვერს შიგნით იტეხს. ქართველების იარაღი თოფი, პისტოლეტი, ხმალი და ხანჯალია, რომლებსაც ისინი არასოდეს არ იცილებენ... უცხოელის თვალში ქართველი ქალის კაბა უფრო ტვირთია, ვიდრე სამკაული. მათი თმა შუბლზე პატიოსანი თვლებით მორთული თავსაკრავითაა დამაგრებული, სახის ორივე მხარეს ნაწნავები აქვთ. თავსაკრავზე დამაგრებული აქვთ თავსახვევი ან აბრეშუმის ვუალი, რომლის ნაკეცები მხრებზე და ზურგზე ეცემა. სახე დაფარული აქვთ ძალიან ნაზი მარლით. მისი გამჭვირვალობა საშუალებას იძლევა დაინახო მძივები, ოქროს ნაქარგი და სამკაულები, რომელებიც ჩვეულებრივ ხავერდის ან აბრეშუმის მდიდრულად მორთულ მათ ქურთუკს ამშვენებენ. მათი მეტად განიერი ქვედა ბოლო ზოგჯერ განიერი*




შარვლითაა ჩანაცვლებული. ზევიდან აცვიათ მიწამდე გრძელი სახელოებიანი ფარჩის წინ გახსნილი კაბა ისეთივე გახსნილი სახელოებით, რომლებიც სურვილისამებრ შეიძლება შეიკრას პატარა ოქროს ღილებით. ტანზე ქაშმირის შალის ქამარი აქვთ შემოტმასნილი. ზამთარში ოქროს ფარჩის ბეწვგამოკრული თავისუფალი მოსაცმელი წინა მხარეს ფართო გახსნილი სახელოებით, ასრულებს მაღალი წრის ქართველი ქალის მდიდრულ ტანისამოსს. მაგრამ მდიდრული ტანისამოსის მიუხედავად, მოძრაობის მოუქნელობა და გამომეტყველების უქონლობა მათ სანთლის ფიგურებს უფრო ამსგავსებს, ვიდრე მეგობრულ და გულითად ქალებს. ქალაქელ ქალებს, ... ანალოგიური ტანსაცმელი აქვთ, ოღონდ მორთულობის გარეშე. ყველა, მდიდარიც და ღარიბიც, ჩადრით დადის და ძნელია ამ უზარმაზარ ვუალში, რომელიც მათ თავიდან ფეხებამდე ფარავს, გაარჩიო ვინ ვინ არის“ [10].

შარლ ბელანჟეს ატლასის ილუსტრაციებში ჩართულია დიდი ფორმატის ჩასაკვეცი ფერადი ლიტოგრაფიები: საქართველოს პეიზაჟები, პანორამული ხედები, ქალაქის ყოფა-ცხოვრების ამსახველი სურათები, ქართული იარაღი, სასოფლო-სამეურნეო ხელსაწყოები, მუსიკალური საკრავები და სხვ. გრავიურები ჩართულია ასევე ორტომეული კრებულის თითოეულ წიგნში. ჩაცმულობის გაცნობისათვის საინტერესოა „თბილისის ბაზარი“ და „ქართველი ქალი და მამაკაცი“.

ილუსტრაციაზე – „თბილისის ბაზარი“, რომელზეც ერთ-ერთი ქარვასლის დახურული სავაჭრო სივრცეა გამოსახული, კარგად ჩანს თბილისის ეთნიკური მრავალფეროვნება, დამახასიათებელი განსხვავებული ჩაცმულობით. ამ მრავალფეროვნებას შორის რთული შესამჩნევი არაა მეგრელი, იმერელი და ქართლელი მამაკაცები, რომელთა გამორჩევა სამოსითა და თავსაბურავებითაცაა შესაძლებელი (სურ. 49).

ილუსტრაცია „ქართველი ქალი და მამაკაცი“ ქალაქის პანორამულ ხედზე გამოსახულ წყვილს წარმოადგენს (სურ. 50). კდემამოსილებით აღსავსე ქალს ზეწრისებური მოსაბურავი (აჯილა) აქვს შემოხვეული, რომლის გარეშე, იმ პერიოდში, ქალი გარეთ არ გამოდიოდა. საბურველის ნაპირები ოქრომკედის ვიწრო არშიითაა გაფორმებული. ნაწილობრივ გამოჩენილი შიგა წითელი კაბის ქვედა ნაპირი ოქროქარგულობითაა შემკული. მოჩანს ხავერდის თავსაკრავის ფრაგმენტი, რომელიც ასევე დეკორირებულია ნაქარგობით. ქალს ფეხზე ჭვინტიანი ქოშები აცვია. მამაკაცის სამოსს ტრადიციული მუხლამდე სიგრძის,



A. de Courcy del.

BAZAR DE TIFLIS.  
(Georgie.)

Forrest lith.

Arthus Bertrand éditeur

Lith. de Lemercier, A. Paris.

◀ სურ. 49. „თბილისის ბაზარი“ ილუსტრაცია შარლ ბელანჟეს წიგნიდან  
Fig. 49. „Tiflis Bazaar“ Illustration from the book of Charles Bélanger.

მწვანე ფერის ქართული კაბა წარმოადგენს, ჩახსნილი სახელო-ყურთმაჯებიტა და ნაპირებზე მოვლებული ჩაფარიშით. კაბის შიგნით მოჩანს თეთრი პერანგი და ფერადად დაჩითული საგულე-ახალუხი, რომელიც ძველი ტრადიციისამებრ, გადადებული კალთებითაა. ლურჯი შარვალი საკმაოდ ფართეა და მისი ბოლო ჩექმის ყელშია ჩატნეული. წელზე ქსოვილის სარტყელი აქვს შემოკრული, რომლის შიგნით ქამარიც უნდა იყოს, რადგან ქამარ-ხანჯალი განუყოფელი აქსესუარია მამაკაცის ჩაცმულობისა. თავზე კრაველის მაღალი ფაფახი ახურავს, წითელი ამოშვერილი ცით. წყვილის შორიახლოს, ბანზე ახალგაზრდებს ცეკვა-თამაში აქვთ გაჩაღებული და მათი სამოსიც კარგად მოჩანს. გრავიურაზე ავტორად ბელანჟეს გვარია მითითებული. ბელანჟე, როგორც ნატურალისტი, სავარაუდოდ, თავადვე ასრულებდა ესკიზებს და აკეთებდა ჩანახატებს, მაგრამ ამ შემთხვევაში ავტორს ფრანგი მხატვრის მ. შოპენის მიერ საქართველოს თემისადმი მიძღვნილ ნახატების მიხედვით აქვს ილუსტრაციები შექმნილი. ისინი არ წარმოადგენს მ. შოპენის სურათების ზუსტ ასლს, მაგრამ ორივე გრავიურაზე – „თბილისის ბაზარი“ და „ქართველი ქალი და მამაკაცი“ ვხედავთ შოპენისეულ პერსონაჟებსა და სიუჟეტებს, იგივე სამოსით, აქსესუარებითა და მცირედი დეტალებითაც კი. თუმცა, ეს გასაკვირი არ არის, რადგან შოპენის ნახატების მიხედვით შექმნილი გრავიურები მრავალმა ევროპელმა ავტორმა გამოიყენა თავისი ნაწარმოების საილუსტრაციოდ.

როგორც ვხედავთ, ინფორმაციის ფრანგულენოვანი ნაკადი საქართველოსა და ქართველ ხალხზე გარკვეულ წარმოდგენებს, მათ შორის ვიზუალურსაც, უქმნიდა ევროპულ საზოგადოებრიობას. აღნიშნულ ინფორმაციას თანამედროვე ეტაპზეც არ დაუკარგავს აქტუალობა, რადგანაც მნიშვნელოვან მასალას იძლევა ქართული ისტორიული კოსტიუმის შესწავლისათვის – ქართულ წყაროებში მსგავსი მასალების სიმცირის პირობებში. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო თვითმხილველი დამკვირვებლის მიერ შექმნილი სახვითი მასალაა, რომელიც თვალსაჩინოდ წარმოგვიჩენს კოსტიუმის ფორმას, სილუეტს და ზოგიერთ შემთხვევაში დეკორირებასა და ფაქტურასაც.

სურ. 50. „ქართველი ქალი და მამაკაცი“, ილუსტრაცია შარლ ბელანჟეს წიგნიდან  
Fig. 50. „Georgian woman and man“ Illustration from the book of Charles Bélanger



## წყაროები და გამოყენებული ლიტერატურა

1. Gouz La Boullaye-Le, F. Les voyages et observations du sieur de La Boullaye Le gouz, Gervais Closier, Paris 1653 & 1657.– p.75.
2. Chardin, J-B. Voyages du chevalier Chardin en Perse, et autres lieux de l'Orient, Jean-Louis de Lorme, Amsterdam – 1711. – pp. 21-170.
3. Mallet , A. M. Description de l'univers: Paris: D. Thierry, 1683. – p. 216.
4. Ugrekhelidze I., Kartsidze N., Chubinidze E. Traditional Georgian Clothing from Foreign Sources/ International Conference 2018 National Archives of Georgia – 2019. – pp. 272-276.
5. Vecellio, C. De gli habiti antichi, e moderni di diverse parti del mondo libri due : [estampe] / fatti da Cesare Vecellio & con discorsi da lui dichiatati. presso Damian Zenaro; Venetia, 1590, p. 453.
6. Ugrekhelidze I., Kartsidze N., Chubinidze E. "The Study of Georgian Historical Costumes Based on the 16th-Century Ottoman Material Sources." *History, Archaeology, Ethnology №V* 2021 p. 304-313.
7. La Croix, A. Phérotée de Nouvele metode pour aprendre la geographie universelle. Tome 5 / enrichie de cartes, armoiries, figures des nations, & de plusieurs tables cronologiques. Seconde edition
8. Leblanc Théodore, Croquis d' après nature faits pendant trois ans de sejour en Grèce et dans le Levant. Paris, Gihaut, 1833.
9. Charles Bélanger, *Voyage aux Indes Orientales, par le Nord de l'Europe, les provinces du Caucase, la Géorgie, l'Arménie et la Perse, suivi de détails topographiques, statistiques et autres sur le Pégou, les îles de Java, de Maurice et de Bourbon, sur le cap de Bonne-Espérance et Sainte Hélène pendant les années 1825, 1826, 1827, 1828 et 1829*, I-II (Paris: Authus Nertrand, Libraire-Editeur, 1838), II, 48-49.
10. ნაჭყებია, ი. ფრანგი ავტორების ცნობები ქართველი ქალის შესახებ (XVIII-XIX სს). გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის კრებული X „ახლო აღმოსავლეთი და საქართველო“ 2017, გვ. 248.

## **XVII CENTURY FRENCH WRITTEN AND FINE SOURCES ON GEORGIAN ATTIRE**

***Abstract:** The article clearly emphasizes and raises the importance of French-language sources of different epochs for the study of Georgian historical costume. French sources of the 17th century being studied encompass works that describe the way of life Georgians led and are accompanied by illustrative materials, in particular travel literature. The analysis of the clothing presented on the engravings has already been carried out. It is concluded that the fine material created by the eyewitness observer is valuable and visibly presents the costume forms, silhouette and in some cases the decoration and texture as well.*

*Key words:* French-language written sources, travelers, Georgian historical costume, engravings, Georgians.

Foreign written sources of different epoch – travel literature, cartographic materials, historical-geographical and ethnological research, etc., entails highly valuable materials which has incalculable worth for the study of the issues concerning Georgian history, cultural life and ethnology of Georgia. The authors of such resources were distinguished with completely different aims and spheres of interest – travelers, missionaries, ambassadors, businessmen or researchers. However, their written sources have a lot in common in respect of the customs of exotic countries that aroused particular interest among them. Thanks to these sources, the Western world got the sense that Georgia had its own image and they formed certain knowledge about this country as well as its nation. Researchers engaged in a number of scientific fields, including stakeholders interested in Georgian historical costume, will be able to obtain valuable information and illustrations contained in these sources.

It is not without interest that the travel literatures of French authors, historical-geographical research or other records have gained topicality. There has been growing interest in the study of Georgia as a foreign, exotic country which has been mentioned in French sources as Iberia and Georgia ever since 13th century. In this respect, we will be focused on the sources of the XVII century, because this is the period of time when there was French authors' heightened interest in the way the Georgians (Kartvelians) dressed themselves.

The first French author to deal with Georgian clothing was the French aristocrat François de La Boullaye-Le Gouz (1623-1668). He traveled extensively in Europe and Asia. In his travel impressions "Les voyages et observations du sieur de La Boullaye Le Gouz"(The travels and observations of the Sieur de La Boullaye Le Gouz) he described the religions of different countries, gastronomy, political situations, etc. One small chapter of the book (pp. 72-73) is dedicated to Georgia, where the author describes the appearance of Georgians and characterizes traditional clothing to a smaller extent: "The Gurgi or

Georgians have long hair in the front but shave it on the back of the head, which is covered with a fur cap, in the manner of the Poles or Tartars; they wear long coats and are very valiant..." [1, p. 75]

The work of Jean-Baptiste Chardin, a French diplomat, jeweler and merchant of the 17th century, "Voyages du chevalier Chardin en Perse, et autres lieux de l'Orient" (Travels in Persia 1673-1677) is the most important source for the study of Georgian clothing. The illustrations, performed by the author's companion artist, Guillaume-Joseph Grelot, aroused particular interest

"The Journey" was first published during the author's lifetime in 1686 in London, and was later republished and translated into many languages. Surprisingly, the editions are different with various illustrations. The one by the French orientalist Louis Mathieu Langle, released in 1811 is referred to as the most excellent edition. The "Journey" in ten volumes was published in Paris, and it is accompanied by a large atlas of illustrations as a separate volume.

The vast amount of work is dedicated to Georgia. The traveler spent 1672-1673 in Georgia. He described his experiences in detail and the lifestyle of the people of Samegrelo, Imereti and Kartli with considerable objectivity as well as their morals, clothing, character, and even their physique and appearance. The author separately characterized the attire of men and women of different social strata, the clothes of western (Kolkheti) and eastern Georgia as well as the clothes of clergymen of different hierarchies.

The growing importance of Chardin's works in respect of the history of Georgian costume lies in the fact that the illustrations of the travelers – costumes, landscapes, historical monuments are provided as a result of their direct observation and not according to their imagination or other narrated stories. Interestingly, different editions incorporate different drawings depicting the same story, which proves that the artist performed etudes, quick sketches, and pre-sketches from nature, based on them created thoroughly completed plot scenes. Therefore, true, eyewitness images are an important visual material for the study of Georgian historical costume, not to mention the fact that Georgian sources have a shortage of images depicting middle and lower classes.

It should be noted that the passages in the poem where Chardin talks about the appearance and attire of a man from Kolkhi (Megrelian) enhanced particular attention and this is reflected in the painting of the artist Grelot, for example, the author tells us: "They shave the top of their heads in a circle but allow the rest of their hair to grow down to their eyes, and then clip it round at an even length... They are moreover so beggarly and so wretched, that for fear of spoiling their caps or their bonnets in the rain, they will put them in their pouches, and go bare-headed... not having any thing to cover their nakedness but a pitiful felt resembling the chlamys of the Ancients; into which they thrust their heads, and turn which way they please as the Wind sits; for it covers but one side of their bodies, and falls down no lower than their Knees" [2, p. 110-111]; Or another: "Walking shoes that I have only seen in this country resemble sandals and are specially worn in the snow. It's base look like a ski in its shape and length, though not so wide. The net is also thicker, and

the wood onto which the net is attached is rounder. You won't get snow in these shoes; they only sink to the depth of a finger length. And these shoes make travel easier and faster. They leave a vanishing trace and indistinct mark, because these shoes have neither a toe cap nor a heel cap" [2, p. 125]

The illustration portraying a feast "Royal banquet in Tbilisi" seems to be of great significance in this respect. The picture clearly shows that the service personnel (which are Kartlians) are wearing the same clothes, as the Polish people (as the author wrote about it). They wear hats similar to Polish ones. The jacket is unbuttoned at the chest, with buttons and fasteners. The shoes are like those of the Persians. Some of the guests sitting at the table wear the same hat about which the traveler wrote as follows: "„They cover their Heads with a light cap of felt, very thin pared and cut into several half-moons around edges..." [2, p. 110]. Moreover, it is even possible to identify Georgian, European, Turkish and Persian guests among those entertaining with a feast in accordance with their headgear. The parallels can be drawn between the food table service waiter clothes presented in Grelot's picture and Georgian miniature and monumental painting.

It is a pity that the Georgian woman is not painted by the artist Grelot ... Chardin was so fascinated by their beauty that he did not hesitate to give praise, complement and epithets bestowed upon them. The traveler pays attention to women's clothing to a smaller extent, more attention is paid to the headscarf and precious gold fabric, and he considered the clothes as similar to those of a Persian woman: "They embellish themselves as much as possible. Their clothes are similar to the clothes of Persian women. They have the same hairstyles and curling hair as Europeans do. They wear a kind of headdress, which covers only the top and back of the head"; He says about the clothes of the Queen of Samegrelo: "... she was wearing a brocade dress embroidered with gold. She wore head jewelry adorned with precious germs. The mask was elegant and unusually shaped."

It is noteworthy that Chardin very realistically presented social stratification, the biggest difference between the different strata or layers of society in terms of the way of dressing. He also mentions serfs: "The poor people go almost naked; such is their misery not to be paralleled anywhere else... There are some chlamys that are pared very thin to keep out the Water, which are not so heavy as the common sort; that are ready to weigh a man down, especially when thorough wet. He that has a shirt and a pair of pitiful drawers, thinks himself rich; for almost all of them go bare-foot; and such of the Colchians as pretend to shoes, have nothing but a piece of a buffalo's hide, and that untanned too; this piece of raw hide is attached to their feet with a thong of the same: so that for all these sort of sandals, their feet are as dirty as if they went bare-foot" [2, p.110]. The image of those peasants is also presented on the title page in some editions.

Chardin pays little attention to high-ranking men's clothing, but the frontispiece involved in some editions of "The Journey" make up for the shortfall.

The illustration depicts a portrait of an author in a bigger locket being held in the hands of Georgian noblemen dressed in Persian-style clothing. The drawing perfectly shows the shapes, silhouette, and composition of the dress, patterns, textile and embellishment. It



should be noted that in many different sources, similar images of both Georgian nobles – from the frontal view – are known as "King Alexander of Kakheti" (Alexander II) and "Rostom Khan" (King of Kartli), the artist is unknown as well as the date of their creation. Alexander II and Rostom Khan were no longer alive during Chardin's voyage. Thus, they (Alexander II and King Rostom) cannot be considered prototypes of nobility. It is interesting to find out whether the portrait image of the kings was later created according to the illustration of the frontispiece of the works, or the artist Grello had etudes of Georgian nobles made from nature and they were mistakenly considered to be the portrait image of the kings.

When it comes to the 17th century Georgian clothing, the works of the French cartographer and military engineer Allain Manesson Mallet „Description de l'univers“ published in 5 volumes published in 1683 appears to be of great significance. The books illustrate different countries, maps and types of population. The very work was republished several times in the 17th-18th centuries. Volume II contains information on Georgia, which, according to the author, is based on the information of ancient historians and descriptions of European travelers, including the manuscript of the French historian and geographer Pierre Davity (same as d'Avity) “De l'Asie”, the Italian missionary Arcangelo Lamberti – “Relation de la Mengrelie” and other works. When describing Western Georgia, the author expresses his surprise to find men's headscarves and clothes: “Men here are tall enough and well built. They wear fur headdress and they are dressed in locally made knee length attire. The richest strata, mostly from Samegrelo, use expensive foreign fabrics for clothes, with slender silhouette and cut at the back, for comfortable horse riding” [3, p. 216]. Among the illustrations related to the Caucasus included in the text is an engraving with images of a Georgian man and woman. This illustration is presented in some editions of Male's works painted with watercolor paints. Engraving from Male's works and its modified variations were used by many different authors in the XVIII century [4, p. 273].

In accordance with the illustration, we can conclude that the painting is clearly not done by an eyewitness. Therefore, it's far from perfect to be corresponded to the habitus of the Georgians of that period. Though Allain Mallet travelled a lot, he must have seen most of the places described in the novel with his own eyes, but it is an unknown fact whether he was in Georgia or not. In such a case, obviously the picture is also devoid of reality. Engraving with a Georgian image of Cesare Vecellio (1590) in the book "De gli habitanti antichi, e moderni di diverse parti del mondo libri due" is used for the sketch of the man – with minor changes [5, p. 453]. Vecellio painted himself, but he hadn't travelled to Georgia. He might have created a sketch of a Georgian according to Ottoman miniatures, in which Georgians are presented in similar clothes and headscarves, and it is more likely to be in line with reality.

In the picture, it's noticeable that Georgian man is wearing several items of clothing: a shirt worn underneath – Akhalukhi, evident with its long sleeves; Outerwear – a striped, long dress with a elbow-length sleeve and an upper wear kabacha, which should normally have the sleeves in an overlapped form; as for footwear, tsuga without soles; for headwear they had fur-trimmed hat with a conical shape and a pointed tip tilted to the shoulders. At

this time, it is impossible not to recall the headscarf described by Vakhushti Batonishvili: Despite Vakhushti's testimony, such a headscarf is almost not found in Georgian monumental and miniature painting; Georgians with such headscarves are depicted in miniatures of the 16th century Ottoman manuscript book "Shejaatname" [6, p. 187].

The female figure is fairly imaginative and impressive. It is obviously based on the description of an eyewitness only. It is less in line with the Georgian habitus and the manner of dress can also be ubiquitous and more generalized since the same female images are so omnipresent in other foreign illustrations to depict another country.

Another French author of the 17th century, whose work contains information about Georgian dress, is the litterateur, historian and geographer Antoine Phérotée de La Croix. The second book of the fifth volume of his five-volume work "Nouvelle méthode pour apprendre facilement la géographie universelle" (New method to easily study universal geography) (pp. 64-73) conveys information about Georgia and includes the engraving "Georgians". According to the inscription at the bottom of the engraving, the author of the drawing is P. Seuin jn (Junior), while the engraver is M. Ogier. The figures are characterized by imagination [7, p. 64]. They are supposedly based on the engraving of Allain Manesson Mallet "Description of the World" and are literally a variant of it.

Notwithstanding the fact that the picture is far from reality, it can't be regarded as an artistic image of high perceptual quality and high level of performance, but still it remains very valuable, because it is another proof of Europeans' growing interest in Georgia and the Georgians.

It should be noted, the flow of information in French created certain perceptions of Georgia and the Georgian people, including the visual ones, in the European community. This information has not lost its topicality in the modern era, since it provides important material for the study of the Georgian historical costume – whereas there is limited availability to similar resources in Georgia. Particularly interesting in this regard is the fine material created by the observer, which visually shows the shape of the costume, the silhouette and in some cases the decoration and texture.

## References:

1. Gouz La Boullaye-Le, F. Les voyages et observations du sieur de La Boullaye Le gouz, Gervais Closier, Paris – 1653 & 1657. – p.75.
2. Chardin, J-B. Voyages du chevalier Chardin en Perse, et autres lieux de l'Orient, Jean-Louis de Lorme, Amsterdam – 1711. – pp. 110-111.
3. Mallet, A. M. Description de l'univers: Paris: D. Thierry, – 1683. – p. 216.
4. Ugrekhelidze I., Kartsidze N., Chubinidze E. Traditional Georgian Clothing from Foreign Sources // International Conference 2018 National Archives of Georgia – 2019. – pp. 272-276.

5. Vecellio, C. De gli habiti antichi, e moderni di diverse parti del mondo libri due : [estampe] / fatti da Cesare Vecellio & con discorsi da lui dichiarati. presso Damian Zenaro; Venetia, – 1590, p. 453.

6. Ugrekheldze I., Kartsidze N., Chubinidze E. Historic Georgian Costumes in Turkish Miniatures // Personality and society: problems of interaction” To the 185-th Anniversary of Seyyid Azim Shirvani. – 2020. – p. 183-188.

7. LaCroix, A. P. de Nouvele metode pour aprendre la geographie universelle. Tome 5, enrichie de cartes, armoiries, figures des nations, & de plusieurs tables cronologiques. – 1705. – p. 74.

## XVI-XIX საუკუნეების გერმანულ წყაროებში ასახული ქართული ჩაცმულობა

ქართველთა სამოსის ასახვის თვალსაზრისით ინტერესს მოკლებული არც გერმანულენოვანი წყაროებია. ძალზე ზოგადი ცნობები სამოსისა და თავსაბურავების შესახებ უკვე XV საუკუნის გერმანულ წერილობით ძეგლში გვხვდება. უფრო მოგვიანებით კი მრავალი გერმანელი მკვლევარის მიერ საფუძვლიანადაა შესწავლილი საქართველოს ეთნოგრაფია და შესაბამისად მრავლადაა ინფორმაცია და ვიზუალური მასალები ქართული კოსტიუმის შესახებ.

ქრონოლოგიურად პირველი წყარო ბავარიელი **ჰანს შილტბერგერის** (1380-1477) თხზულება **„Reisen des Johannes Schiltberger aus München in Europa, Asia und Afrika von 1394 bis 1427“** („იოჰანეს შილტბერგერის მოგზაურობები მიუნხენიდან ევროპაში, აზიასა და აფრიკაში 1394 წლიდან 1427 წლამდე“). ავტორი ჯვაროსნულ ომში მონაწილეობდა (რაინდ რაიხარტინგენის საჭურველმტვირთელი იყო), რა დროსაც ტყვედ ჩაუვარდა ოსმალებს, შემდეგ კი თემურლენგს. თითქმის 30-წლიანი ტყვეობის განმავლობაში, ის, როგორც მსახური, ახლდა თავის მებატონეებს ევროპის, აზიისა და აფრიკის სხვადასხვა ქვეყნებში. მოიარა ოქროს ურდო, დელი, ციმბირი, ვოლგისპირეთი, კავკასია, კონსტანტინოპოლი, ბაღდადი, ეგვიპტე და სხვ. რის გამოც მას ზოგჯერ „გერმანელ მარკო პოლოდ“ მოიხსენიებენ. მხოლოდ 1427 წელს შეძლო მან ტყვეობისაგან თავის დაღწევა და სამშობლოში დაბრუნება. შილტბერგერი, რასაკვირველია, ტყვეობაში ყოფნისას ვერ გააკეთებდა ჩანაწერებს, რის გამოც თხრობა რამდენადმე არათანმიმდევრულია. ვარაუდობენ, რომ თავგადასავალი ჩაწერილი და შედგენილია არა ავტორის, არამედ რომელიმე მისი ახლობლის მიერ, შილტბერგერის მოგონებების მიხედვით. პირველად გამოქვეყნდა 1460 წელს, ქ. აუგსბურგში (ზოგიერთი ცნობის მიხედვით 1473 წელს). თხზულება ფართოდ გავრცელდა და პოპულარობა მოიპოვა XV-XVI საუკუნეებში. იგი შეიცავს ფასეულ და საინტერესო ცნობებს, უამრავ კულტურულ დაკვირვებას, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ ევროპული საზოგადოებრიობისათვის არაევროპული რეგიონების გაცნობისა და მათ შესახებ ზოგადი წარმოდგენის შექმნისათვის.

აღწერილობის თანახმად, ავტორს 1408 წლის შემდგომ პერიოდში თავდაპირველად საქართველოში, ხოლო შემდეგ სამეგრელოში მოუხდა ყოფნა. მის მიერ მოწოდებული ცნობა იმერული თავსაბურავის – ფაფანაკის გავრცელების არე-

აღისა და მისი ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში მოხმარების შესახებ მსჯელობის საშუალებას იძლევა. ავტორის სიტყვებით: „არის ქვეყანა, აბკაზ ჰქვია. მის დედაქალაქს ცუხუმ ქვია. არაჯანსაღი მხარეა. ამ მხარეში ქალები და კაცები იხურავენ ოთხკუთხა ბრტყელ ქუდებს და ამას აკეთებენ არაჯანსაღი კლიმატის გამო“. ფაქტობრივად, ეს პირველი წერილობითი ცნობაა ფაფანაკის შესახებ. შილტბერგერი აღნიშნავს, აგრეთვე, რომ საქართველოში ამზადებენ აბრეშუმს [2].

ქართველების ყოფითი სცენის გამოსახულებას შეიცავს გერმანელი მეცნიერისა და კარტოგრაფის სებასტიან მიუნსტერის ნაშრომში „Cosmographia“ („კოსმოგრაფია“) [3].



სურ. 51. ქართველთა ყოფითი სცენა მიუნსტერის წიგნიდან  
Fig. 51. Georgians, illustration from the book of Münsterum

სებასტიან მიუნსტერი იყო აღორძინების ეპოქის ფრანცისკანელი, ბერი, ჰებრალისტი და კოსმოგრაფი. ხელი შეუწყო ებრაული ენის ცოდნის გავრცელებას ქრისტიან მეცნიერებს შორის და მისი, როგორც სპეციალური მეცნიერების შესწავლას გერმანიის უნივერსიტეტებში. ჰაიდელბერგში ასწავლიდა ებრაულ ენასა

და ღვთისმეტყველებას, შემდეგ კი ბაზელში – მათემატიკას. იგი იყო პირველი გერმანელი მეცნიერი, რომელმაც გამოაქვეყნა ბიბლიის ებრაული ტექსტი ლათინური თარგმანით და სქოლიოებით და ქალდეური ენის გრამატიკის სახელმძღვანელო. მიუნსტერმა გერმანელი სტრაბონის პოპულარობა მოიპოვა თავისი „კოსმოგრაფიით“, რომელიც სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით, შეადგინა. ნაშრომი წარმოადგენს თავისი დროის ისტორიულ-გეოგრაფიული და ბიოლოგიური მონაცემების უმნიშვნელოვანეს ნაკრებს, რომელმაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი გეოგრაფიული ცოდნის გავრცელებას და შემდგომში კოსმოგრაფიის შედგენის ნიმუშად იქცა. ნაშრომი 1544 წლიდან დაწყებული, მთელი საუკუნის განმავლობაში, მრავალჯერ იქნა დაბეჭდილი გერმანულ, ლათინურ, ფრანგულ, იტალიურ და ჩეხურ ენებზე. გამოცემები ახალი ცნობებით, აღმოჩენებითა და ილუსტრაციებით ივსებოდა. მასალებს საქართველოს შესახებ შეიცავს 1628 წლის გამოცემა. აღწერასთან ერთად მეფუტკრეთა და ვაჭართა ყოფითი სცენაა ასახულია (სურ. 51).

გაკვრით ეხება ქართველთა სამოსს **ლეონარდ რაუვოლფი** (1535 - 1596) – გერმანელი ექიმი, ბოტანიკოსი და მოგზაური, რომელსაც უწოდებდნენ „ყველაზე განათლებულ ადამიანს, დაუღალავს ბუნების შესწავლაში“. რაუვოლფმა 1573-75 წლებში მცენარეული სამკურნალო საშუალებების მოძიებისათვის იმოგზაურა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. მოგზაურობიდან დაბრუნებისთანავე მოამზადა ევროპული და ახლო აღმოსავლეთის მცენარის ჰერბარიუმის ოთხი ტომი, რომელთაგან ერთ-ერთი ტომი ლეიდენის უნივერსიტეტშია და დღემდე მნიშვნელოვან აქტივად რჩება. მის მიერ აღწერილი ყავის მომზადებისა და მოხმარების აღმოსავლური ტრადიცია პირველი ინფორმაციაა ევროპელებისათვის.

ლ. რაუვოლფმა მოგზაურობის ისტორია დაწვრილებით გადმოსცა წიგნში **„Aigentliche beschreibung der Raiss in die Morgenlaender“** /„აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურობის აღწერა“ [4], რომელიც გამოქვეყნდა 1582 წ. ავტორმა ქართველებს, რომელთაც ტრაპიზონის მახლობლად შეხვდა, წიგნის ერთი მომცრო თავი მიუძღვნა. მოგზაური ქართველთა სამოსის შესახებ აღნიშნავს: „ისინი ატარებენ მოკლე ფრიალა პალტოს და გრძელ ფართე შარვალს“

XVI საუკუნის 80-იანი წლების ამბებია გადმოცემული გერმანელი დიპლომატის **სალომონ შვაიგერის** (1551-16??) წიგნში **„Newe Reyßbeschreibung auß Teutschland nach Constantinopel und Jerusalem“** („ახალი მოგზაურობის აღწერა გერმანიიდან კონსტანტინოპოლსა და იერუსალიმში“) [5]. სალომონ შვაიგერი დაიბადა 1551 წ. გერმანიის სამხრეთ ნაწილში. განათლება მიიღო ტიუბინგენის უნივერსიტეტში თეოლოგიისა და კლასიკური ფილოლოგიის მიმართულებით. სწავლის დასრულების შემდეგ მიწვეულ იქნა საელჩოს კაპელანად სტამბოლში

(1578-81), სადაც რამდენიმე წელიწადი დაჰყო – დიპლომატიური მისიის განსახორციელებლად. 1581 წლიდან იმოგზაურა ეგვიპტეში, პალესტინასა და სირიაში, საიდანაც, კრეტასა და ვენეციის გავლით დაბრუნდა სამშობლოში. გერმანიაში დაბრუნების შემდეგ მსახურობდა პასტორად სოფელ გროცინგერსა და ბოლოს ნიურნბერგში.

ს. შვაიგერმა თავისი მოგზაურობის ვრცელი აღწერილობა მოგვიანებით, 1608 წელს გამოსცა ნიურნბერგში. ავტორი წიგნში იძლევა მოკლე ცნობებს საქართველოს შესახებაც. კერძოდ, ბეჭდავს ქართულ ანბანს და ლათინური ტრანსკრიფციით ქართულ ენაზე აქვეყნებს პირველი ფსალმუნის დასაწყისს. აღსანიშნავია, რომ შვაიგერის მიერ დაბეჭდილი ნუსხა-ხუცური ანბანი ქართული შრიფტის სტამბური გამოყენების პირველი ნიმუშია

ავტორი თხზულებაში გადმოგვცემს ოსმალეთის სულთნის, მურად III-ის კარზე ორი ქართველი დიდებულის – ყვარყვარე ჯაყელისა და მისი ძმის სტუმრობის ამბავს. ეს ჟესტი ქართველი თავადების მხრიდან მორჩილებისა და მოხარკეობის აღიარებას ნიშნავდა. ამასთან, უმცროსმა ძმამ კონსტანტინოპოლში ყოფნის დროს ისლამი მიიღო და თავისი ათი წლის ვაჟსაც სარწმუნოება შეუცვალა, ხოლო ყვარყვარე და მისი თანმხლები პირები არ განუდგნენ ქრისტიანობას და ბოლომდე მისი ერთგულნი დარჩნენ. ამის შემდეგ ოსმალეთის სამეფო კარმა ხარკის გადახდის სანაცვლოდ ქართველი დიდებულებისთვის წინანდელი ძალაუფლების აღდგენის გადაწყვეტილება მიიღო. ამასთან ერთად, ოსმალთა მეთაურს უბრძანეს დანგრეული ციხე-სიმაგრის აღდგენა და იქ მყოფი გარნიზონის ხელმძღვანელობა. საბოლოოდ, ვითარება ისე შეიცვალა, რომ ქართველები ვერ შეეგუენ თურქთა ბატონობას და ბოლომდე ამოხოცეს იქ გამაგრებული ჯარი.

სალომონ შვაიგერი, მართალია, არ ახასიათებს ქართველთა ჩაცმულობას, მაგრამ წიგნში ჩართულია გრავიურა ყვარყვარე ჯაყელის პორტრეტული გამოსახულებით (სურ. 52, ა). ნახატი ფანტაზიით შესრულებული არ უნდა იყოს, რადგან ყვარყვარეს კაბის დეკორი, იმ პერიოდის საქართველოს, კერძოდ, სამცხეს ძეგლების ფრესკულ მხატვრობაში, სწორედ ჯაყელთა სამოსზე შეინიშნება (სურ. 52, ბ). ხოლო ანალოგიური ფორმის თავსაბურავები გვხვდება თავაქარაშვილის მინიატურებში და იტალიელი მისიონერის ქრისტოფორო დე კასტელის ნახატებში (სურ. 53, ა, ბ).



ა  
a

ა



ბ  
b

სურ. 52. ყვარყვარე ჯაყელი: ა – შვაიგერის წიგნიდან; ბ – ზარზმის ტაძრის  
მოხატულობიდან

Fig. 52. Kvarkvare Jakeli: a - from Schweiger's book; b - from the painting of Zarzma temple





სურ. 53. კონუსური ფორმის თავსაბურავები: ა – თავაქარაშვილის მინიატურიდან; ბ – კასტელის ჩანახატებიდან

Fig. 53. Conical headwear: a - from the miniature of Tavakarashvili; b - From the sketches of Castell's sketches

ქართველი ქალის აკვარელით შესრულებული სურათი შეტანილია ენგელბერტ კემპფერის ალბომში „Album of Persian Costumes and Animals with Some Drawings by Kaempfer“ /„სპარსული კოსტიუმებისა და ცხოველების ალბომი კემპფერის ნახატებით“, რომელიც დაცულია დიდი ბრიტანეთის მუზეუმში [6]. თავისი დროის დიდად განათლებული პიროვნება ენგელბერტ კემპფერი (1651 - 1716) იყო გერმანელი ნატურალისტი, ექიმი, მკვლევარი და მწერალი. მან შეისწავლა ფილოსოფია, თეოლოგია და მედიცინა. 1683 წლიდან მუშაობდა შვედეთის საელჩოს შემადგენლობაში, საიდანაც დიპლომატიური მისიით წარგზავნილ იქნა სპარსეთში. სპარსეთისაკენ მან მოსკოვისა და ვოლგისპირეთის გავლით იმოგზაურა. სპარსეთში ყოფნის დროს კემპფერმა, როგორც ნატურალისტმა და მკვლევარმა მოიარა აღმოსავლეთის მრავალი ქვეყანა: არაბეთი, ინდოეთი, იავა, სუმატრა, სიამი და იაპონია. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ის, როგორც მკურნალი, იმყოფებოდა თბილისში. კემპფერის რამდენიმეწლიანი მოგზაურობა და მისი დაკვირვებები ძალზე ნაყოფიერი გამოდგა. მან დაწვრილებით აღწერა სხვადასხვა ქვეყნები. მათგან აღსანიშნავია მოსკოვსა და ვოლგისპირა ქალაქებში

მოგზაურობის აღწერა; ხოლო ყველაზე მნიშვნელოვანი იაპონიის შესახებ დაწერილი ნაშრომია, სადაც მან ორი წელი გაატარა.

ე. კემპფერის მდიდარი ხელნაწერების უმეტესი ნაწილი, ისევე, როგორც ზემოდასახელებული ალბომი, ინახება ბრიტანეთის მუზეუმში. გერმანულ ენაზე გამოქვეყნებულია ნაშრომი „ყაზანის, ასტრახანის, საქართველოს და სხვა მრავალი სახელმწიფოები, რომლებმაც ხარკი გადაიხადეს და ემორჩილებოდნენ ცარს, სულთანს და შაჰს...“ (ნიურნბერგი, 1723 წ. ).

ე. კემპფერის ალბომში შეტანილია ისპაჰანში მცხოვრები სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლთა გამოსახულებები, ასევე სცენები ყოველდღიური ცხოვრებიდან და ცხოველები, სულ 44 მინიატურა. ისინი შესრულებულია სპარსული მინიატურული სტილისათვის დამახასიათებელი მანერით. ალბომის სურათების ნაწილი თავად კემპფერის შესრულებულია, ნაწილი კი, მისივე დაკვეთით, ადგილობრივი მხატვრების მიერ. ქართველი ქალი დახატულია ირანელი მხატვრის **ჯანი ბაჰრამის** ძის მიერ, რომელიც საკუთარ თავს „ფარანგი საზ“-ს უწოდებს. „ფარანგი“, ანუ ფრანგი, მიუთითებს მხატვრობაში მის ევროპულ ორიენტაციაზე [7]. ქალი კემპფერის ალბომიდან გარეგნულად ქართველის ტიპისაა, მაგრამ მისი სამოსი სპარსულია (სურ. 54), თუმცა კაბის სილუეტს, შიგა სამოსს, შეიდიშის, ფეხსამოსისა და თავსაბურავის ფორმებს მოეძებნება ანალოგები ქართულ მონუმენტურ მხატვრობაში, კერძოდ მცხეთის სვეტიცხოვლის, მარტვილის ტაძრის, გელათის ნართექსის, ზარათის და სხვ. ფრესკულ ფერწერაში.

**სურ. 54. ქართველი ქალი ე. კემპფერის ალბომიდან**  
**Fig. Fig. 54. Georgian woman from E. Kempfer's album**



روزگار و صفت آن که بر



XVIII-XVIII საუკუნეების მიჯნას განეკუთვნება გერმანელი ექიმისა და მოგზაურის ფრანც-კასპერ შილინგერის 1707 წელს გამოცემულ წიგში „**Persianische und Ost-Indianische Reis**“ „სპარსეთსა და აღმოსავლეთ ინდოეთში მოგზაურობა“ [8] ჩართული გრაფიურა ქართველების გამოსახულებით (სურ. 55). შილინგერმა 1699-1702 წლებში იმოგზაურა აღმოსავლეთის ქვეყნებში. ჩვენს ქვეყანაში ნამყოფი არ არის, ქართველები სპარსეთში გაიცნო. მოგზაურობის აღწერაში ავტორი ხშირად ახსენებს საქართველოსა და აღწერს ჩვენს თანამემამულეებს. მისი გადმოცემით:

*„ადგილობრივი მცხოვრებნი [ქართველები] თეთრები არიან, როგორც ჩვენ ევროპელები: ისინი მშვენიერი აღნაგობისა და გარეგნობის არიან, განსაკუთრებით ქალები. მამაკაცებს თავზე შემოხვეული აქვთ ტილოს ან აბრეშუმის ქსოვილი, რომელიც ბასტიონივით დგას, შუბლს ზემოთ. ქალებს ჩამოშლილ თმებზე ახურავთ ორმაგი გემის ფორმის ქუდი, შუაგულში წვეტიანი ამონაშვერით. ქვედა კაბა ჩამოშვებულია თითქმის კოჭებამდე, თეთრი ფერისაა და ნაკვეებადაა დაშვებული (ისევე როგორც გერმანიაში იციან ტრადიციული ქვედა კაბები), წელზე შემოჭერილი აქვთ შარფისებური სარტყელი. ზედა სამოსს აქვს სპეციალური ვიწრო სახელოები... წინ გახსნილია, აქვს ბეწვის სარჩული, კისრიდან მკერდისაკენ წამახვილებულია და მკერდიდან წელამდე დახშულია. წელზე სარტყელი ისეთივე ქსოვილისაა, როგორც შეხსნილში გამოჩენილი სახელო. ქალმაცა და ქალწულმაც გარეთ გამოსვლისა სახე თვალებამდე უნდა დაიფაროს“.*

აღსანიშნავია, რომ შილინგერის წიგნის ილუსტრაციიდან ქალის სამოსის შემადგენლობა და თავსაბურავის ფორმა ე. კემპფერის ალბომში გამოსახული ქალის ჩაცმულობის ანალოგიურია, ხოლო მამაკაცისა – შარდენის დიდგვაროვანი მამაკაცის კოსტიუმის მსგავსია.

სურ. 55. ქართველები, გრაფიურა შილინგერის წიგნიდან  
Fig. 55. Georgians, engraving from Schillinger's book





von Georgiener.

und Georgienerin.

ქართული ტრადიციული სამოსის შესახებ ცნობებს შეიცავს გერმანელი მეცნიერისა და მოგზაურის აკად. **იოჰან გიულდენშტედტის** ჩანაწერები. მას რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მიერ დავალებული ჰქონდა ჩრდილოეთ კავკასიისა და საქართველოს ყოველმხრივი გამოკვლევა-შესწავლა. გიულდენშტედტმა ჩვენს ქვეყანაში დაჰყო 1771-72 წლები. ნაშრომების გამოქვეყნება მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ, 1787 წ. მოხერხდა, თავდაპირველად პეტრე სიმონ პალასის, ხოლო მოგვიანებით იულიუს კლაპროტის რედაქციით. ქართულ ენაზე „გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში“ გამოიცა ორ ტომად [9].



სურ. 56. ქართველი მამაკაცი, გრავიურა გიულდენშტედტის წიგნიდან  
Fig. 56. Georgian man, engraving from the book of Guldénstätt

აფხაზეთის, სამეგრელოს. ლეჩხუმის, რაჭის, სვანეთის, ქართლისა და კახეთის დახასიათებისას ავტორს მოჰყავს ცნობები ტანსაცმლისა და სხვადასხვა ქსოვილების დამზადების და ყიდვა-გაყიდვის შესახებ; მოკლედ და განზოგადებულად: აღწერს მოსახლეობის (ძირითადად მამაკაცების) სამოსს: „*აცვით თეძობთან ნაოჭებიანი მოკლე ჩოხები, რომლებიც მუხლებამდეც კი არ სწვდებათ, წვივებზე შემოხვეული აქვთ სახვევი, წელზე არტყიათ ბრტყელი ქამარი და ა. შ. ისინი ხშირად ამზადებენ ტლანქი მაუდის ჩოხებს და მიაქვთ გასაყიდად*“.

პ. ს. პალასის რედაქტორობით გამოცემული ნაშრომი ილუსტრირებულია [10]. სურათებზე გამოსახულია ქართლელი მამაკაცი, იმერელი ყანწით და ქართველი ქალი, რომელიც სამოსის თვალსაჩინოდ ჩვენების მიზნით წარმოდგენილია ორ ხედში წინიდან და ზურგიდან (სურ. 56-57).



სურ. 57. ქართველი ქალი, გრაფიურა გიულდენშტედტის წიგნიდან  
Fig. 57. Georgian woman, engraving from the book of Güldenstädt

XVII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში კავკასიაში ხანგრძლივად მოგზაურობდა გერმანელი ექიმი, აღმოსავლეთმცოდნე, მკვლევარი და ამავდროულად ავანტიურისტი იაკობ რეინეგსი / **Reineggs** (1744-1793). მისი ნამდვილი სახელია ქრტიან რუდოლფ ელიხი. მან ხანგრძლივი დროის განმავლობაში (1774-83) იცხოვრა საქართველოში. ფლობდა რამდენიმე აღმოსავლურ ენას, მათ შორის ქართულსაც და იაკუბ-ხანის სახელით მრავალმხრივ საქმიანობას ეწეოდა ერეკლე II-ის კარზე. მან მნიშვნელოვანი კვალი დატოვა თბილისის სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცხოვრებაში. მუშაობდა ექიმად; გერმანულ ენას ასწავლიდა პატრების სკოლაში; მან თბილისში გახსნა სამედიცინო სასწავლებელი და ე. წ. საბატონიშვილო სკოლა. იგი ქართველ სამხედრო პირებს ასწავლიდა საარტილერიო საქმეს და დავით ბატონიშვილის ერთ-ერთი მასწავლებელიც იყო. დიდ დროს უთმობდა სამთამადნო საქმეს, ხელმძღვანელობდა სტამბას (ვენიდან გამოიწერა სასტამბო მანქანა) და სხვ. რეინეგსის ნაშრომი **Allgemeine historisch-topographische beschreibung des Kaukasus** / „კავკასიის საყოველთაო ისტორიულ-ტოპოგრაფიული აღწერა“ [11]. თავისი დროის საქართველოსა და კავკასიის ისტორიის მნიშვნელოვანი წყარო იყო. ავტორი სიცოცხლეში ვერ მოესწრო მის გამოქვეყნებას. გარდაცვალების შემდეგ ხელნაწერი მასალები შეგროვებულ და რედაქტირებულ იქნა ფრიდრიხ ენოხ შრედერის მიერ და 2 წიგნად გამოიცა გოთაში, ჰილდისჰეიმსა და პეტერბურგში 1796-97 წლებში. მოგვიანებით მკვლევარ ფრიდრიხ ავგუსტ მარშალ ფონ ბიბერშტაინის მიერ გადაშავებული ნაშრომი ითარგმნა ინგლისურ ენაზე და გამოიცა 1807 წ. ქ. ლოლდონში. რეინეგსის ნაშრომის მიხედვით 2002 წ. ქართულ ენაზე გამოქვეყნდა „მოგზაურობა საქართველოში“, რომელიც გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა [12].

ნაშრომის ერთ-ერთი თავი ჩვენს ქვეყანას ეხება, რომელშიც წარმოდგენილია საქართველოს სხვადასხვა რეგიონის დახასიათება და აქ მცხოვრები ეთნოსების ყოფა-ცხოვრებისა და ჩაცმულობის ამსახველი მასალები [13]. ავტორი სვანების დახასიათებისას მათ სამოსს ასე აღწერს:

*„... ატარებენ ერთიმეორეზე ჩაცმულ ორ ან სამ მოკლე კაბას, რომლებიც არ ფარავს მკერდს [წინ გახსნილია] და ხელის წინა მხარეს და მუხლამდე სიგრძისაა... შარვლის ნაცვლად იყენებენ წინსაფარს, ფეხებზე დახვეული ზოლები არის მათი წინდები. ფეხზე ამოსხმული აქვთ შეუღებავი ხამი ტყავი, ძალზე მახვილი ჭკინ-*



ტით, ზონარგაყრილი, ზოგს იბერიული [იმერული] ქუდი ახურავს გაბურ-  
ძბნულ, დაუვარცხნელ თავზე, მაგრამ უმრავლესობა თავშიშველია. მსგავსად აც-  
ვიათ ქალებსაც, იმ განსხვავებით, რომ გაუთხოვარ ქალი თავშიშველია, გათხოვი-  
ლებს კი წითელი სელის ქსოვილი ისე აქვთ მობურული, რომ მხოლოდ თვალე-  
ბილა მოუჩანთ. ზამთარში უხეში საბურველი აფარიათ.“

რეინეგსი ახასითებს იბერიელთა [ქართველთა] ჩაცმულობასაც ახასიათებს:

„თავსაბურავად ისინი იყენებენ შავი ქსოვილის ან ტყავის, ელიფსური ფორმის,  
ორ ნაჭერს, რომლებიც ერთმანეთთან შეერთებულია და თავს ფარავს შუბლის  
შუა ნაწილიდან კეფამდე და ერთი მხრიდან მეორემდე [ფაფანაკი]; კიდევზე მი-  
კერებული თასმებით ნიკაპქვეშ იკვრება და ამგვარად მაგრდება თავზე. მაგრამ  
მას იყენებენ მხოლოდ წვიმაში, სხვა დროს უკან აქვთ დაკიდებული. კისერი შიშ-  
ველი აქვთ, აცვიათ წითელი აბრეშუმის პერანგი, რომელიც მუხლებამდეა დაშ-  
ვებული და მკერდის მარცხენა მხარესაა შეხსნილი. ყოველთვის აცვიათ სქელი  
შარვალი. პერანგის გარეთ ატარებენ მოკლე ზედა სამოსს, რომელიც მუხლებს  
ძლივს ფარავს და შეკრულია წელზე ტყავის ქაძრით. სახელოს ნაკერი ილლიდან  
იდაყვამდე ღიაა, რათა აუცილებლობის შემთხვევაში, მკლავი თავისუფალი  
იყოს. ზოგიერთს შარვლის ნაცვლად ასევე აცვია გრძელი ქსოვილის წინდები,  
რომლებიც ბარძაყის შუამდე აღწევს და მუხლის ქვევით არის დამაგრებული  
წვივისაკრავით. ფეხის ტერფი დაცულია წითელი ტყავის სატერფულით, ან ზო-  
ნარგაყრილი ჭვინტიანი ტყავის ნაჭრით [ამოსხმული ქალამანი].

იბერიელების მკერდსა და მხრებს ამშვენებს სპილენძის, ვერცხლის ან ოქროს  
ჯაჭვები, რომელზედაც ჩამოკიდებულია მასრები და თოფისწამალი... დამბაჩა,  
ტყავის მათარა, ხანჯალი დაკიდებული აქვს ქამარზე... როდესაც გარემოება იძ-  
ლევა საშუალებას, მას უყვარს ტანსაცმელში გამოწყობა. ის იცვამს სამ, ან ოთხ კა-  
ბას, მნიშვნელობა არ აქვს გარე სამოსი გრძელია თუ ყველაზე მოკლე, არც იმას,  
რომ ისინი სხვადასხვა ფერისაა, ან აბრეშუმია თუ შალი; მთავარია გარეთა იყოს  
საუკეთესო, ან ის, რაც მას ყველაზე მეტად მოსწონს“.

ქართველი მამაკაცისა და ქალის გამოსახულებას შეიცავს გერმანელი ავტო-  
რების ფრიდრიხ ფერდინანდ ჰემპელისა (Friedrich Ferdinand Hempel) და კრისტი-  
ან გოტფრიდ ჰაინრიხ გეისლერის ავტორობით გამოცემული ეთნოგრაფიული  
ალბომი „**Abbildung und Beschreibung der Voelkerstämme und Voelker unter des  
Russischen Kaisers Alexander, Friedrich Ferdinand Hempel und Geissler**“ „რუსეთის  
იმპერატორ ალექსანდრე I-ის მმართველობის ქვეშ მყოფი ტომებისა და ხალხების

ილუსტრაცია და აღწერა“ [14]. ილუსტრაციების ავტორი მხატვარი და გრავიორი ჰაინრიხ გეისლერია. მან განათლება ლაიპციგის სმხატვრო აკადემიაში მიიღო. 1790-98 წლებში ცხოვრობდა და მუშაობდა რუსეთში. ის როგორც მხატვარი, მონაწილეობდა ბოტანიკოს პ. პალასის ექსპედიციაში – რუსეთის სამხრეთი რეგიონების, ყირიმისა და კავკასიის შესასწავლად. შესრულებული აქვს ყოფილი ჟანრის ჩანახატები და აღბეჭდილი აქვს მკვიდრი მოსახლეობის კოსტიუმები. ლაიფციგში დაბრუნების შემდეგ გამოსცა რამდენიმე ეთნოგრაფიული ალბომები რუსული ცხოვრებიდან.

ზემოდასახელებულ ალბომში 2 გვერდი ეთმობა საქართველოს. ერთზე აღწერილია საქართველო და ქართველები, მეორეზე მოთავსებულია ფერადი გრავიურა, რომელიც ხელთ, აკვარელის საღებავებითაა გაფერადებული (სურ. 58).

პერსონაჟების გარეგნული იერი არ შეესაბამება ქართველთა ჰაბიტუსს და საყოველთაოდ გავრცელებულ აღწერილობას ქალის ტანწერწეტობისა და მამაკაცის ლაზათიანი გარეგნობის შესახებ. მამაკაცის სამოსი თითქოს შეესაბამება ქართულ კაბას, მაგრამ აქსესუარების გარეშე სრულიად დაკარგული აქვს ყოველგვარი მობილავობა, შეუსაბამოა, ასევე თავსაბურავი; ქალის ქათიბისათვის დამახასიათებელი მჭიდრო გამოყვანილობა სრულებით არ ჩანს; ჩვეულებრივ, გვერდებზე დაკიდებული, შეხსნილი სახელოები შეცვლილია მოკლე სახელოებით, რაც უკარგავს მას დამახასიათებელ იერ-სახეს. ქალს თითქოს მოხევე ქალის ჩაფრასტებითა და ჩოფრასტანით შემკული სამოსი აცვია, მაგრამ სრულიად განსხვავებულია რეალურისაგან, უჩვეულოა მისი თავსაბურავი.

ნახატი გარკვეული გროტესკული ხასიათის მატარებელია – დარღვეული, უტრირებული სხეულის პროპორციებითა და პოზების არარეალობით, ე. წ. ნორმიდან გადახრით, როგორც ჩანს, მხატვარს ევროპელი განათლებული მაცურებლისათვის პერსონაჟების ეკზოტიკურობის, მათი „არაცივილიზებულიობის“ ჩვენება სურდა.

სურ. 58. ქართველები, გეისლერი, გრავიურა ჰემპელის წიგნიდან  
Fig. 58. Georgians, Geisler, engraving from the book Hempel





1.  
*Georgianer.*

2.  
*Georgianerin.*

საქართველოსა და ქართველების შესახებ ინფორმაციულია გერმანელი მეცნიერი ორიენტალისტი – იულიუს ჰენრიხ ფონ კლაპროტი (1783-1835) ნაშრომები, რომლებიც მან სხვადასხვა მიმართულებით საქართველოს კვლევის შედეგად გამოაქვეყნა. იულიუს კლაპროტი 1804 წელს მიიწვია რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიამ, როგორც აღმოსავლეთმცოდნე ლინგვისტი და მიაღწინა კავკასიაში, ფილოლოგიური, ეთნოგრაფიული და ისტორიული კვლევების ჩასატარებლად. ის იოჰან გიულდენშტედტის შემდეგ მიჩნეულია ერთ-ერთ ყველაზე სწავლულ მოგზაურად (თუმცა თანამედროვე ევროპელი მკვლევარები მის ნაშრომებს პლაგიატად თვლიან). ნაშრომში „**Beschreibung der Russischen Provinzen zwischen dem Kaspischen und Schwarzen Meere**“ / „კასპიისა და შავ ზღვებს შორის მდებარე რუსული პროვინციების აღწერა“ [15] საქართველოს სხვადასხვა მხარეების მიმოხილვასთან ერთად მოყვანილია ჩაცმულობის მოკლე დახასიათებაც:

*„თავადებისა და აზნაურთა მხრივ ჩაგვრისაგან ხალხი ისეთი ღარიბია, რომ ჩვეულებრივ ჩასაცმელად აქვს მხოლოდ ერთი მოსახვევი, რომელიც ქამრიდან კოჭამდე აღწევს. წარჩინებულებს კი აცვიათ უცხოური ქსოვილების სამოსი. ტყავის ქამარზე, რომელიც მდიდრულადაა მოვერცხლილი, ხმლისა და ხანჯლის გარდა დაკიდული აქვთ სამოგზაუროდ საჭირო სხვადასხვა ნივთები, როგორცაა სალესი, კვესი და ა. შ. მათ პერანგებს ხშირად ქვემოთ არშიები აქვთ, ყელზე კი ოქროთი ნაქარგი. ზამთარში სამეგრელოში ატარებენ ვიწრო ტყავის სამოსს, ხოლო მოგზაურობისას ყოველთვის ქეჩის მოსასხამს [ნაბადი], რაც მთელ კავკასიაშია გავრცელებული“ [16].*

თვითმიხილველისა და უშუალო დამკვირვებლის მიერ გადმოცემული ცნობებითაა გამორჩეული იოჰან ფონ ბლარამბერგის / Johann von Blaraberg თხზულება „კავკასიის ისტორიული ტოპოგრაფიული სტატისტიკური ეთნოგრაფიული და სამხედრო აღწერა“ [17]. მისი ავტორი გერმანული წარმოშობის მრავალმხრივ განათლებული გენერალ-ლეიტენანტი, საიმპერატორო რუსული ტოპოგრაფიული სამხედრო დეპოს დირექტორი, რამდენიმე წელი მსახურობდა კავკასიის კორპუსში. 1832 წლიდან ი. ბრალანბერგი მუშაობდა კავკასიის მთიანი და მომთაბარე ხალხების შესახებ მასალების შედგენაზე, რაც ხორციელდებოდა რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ I-ის 1828 წლის ბრძანების შესაბამისად. სამწუხაროდ მიუხედავად იმისა, რომ რუდუნებით შესრულებული ნაშრომისათვის ავ-

ტორმა ჯილდოდ ფულადი პრემია და ორდენი მიიღო, თხზულება არ გამოქვეყნდა, უფრო მეტიც, ნიკოლოზ I-ის განკარგულებით გადაეცა სამხედრო არქივს, გრიფით „სრულიად საიდუმლო“. მხოლოდ 160 წლის შემდეგ გახდა შესაძლებელი ავტორისეული ფრანგული ხელნაწერის რუსულენოვანი თარგმანის გამოცემა, თავდაპირველად 1992 წ. სათაურით „კავკასიური ხელნაწერი“ [18], მოგვიანებით 1992 და 2010 წლებში – „კავკასიის ისტორიული ტოპოგრაფიული სტატისტიკური ეთნოგრაფიული და სამხედრო აღწერა“. ნაწარმოები შეიცავს ფაქტობრივ მასალას კავკასიონის მთიანი და მომთაბარე ხალხების ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესახებ. ავტორს პირად შთაბეჭდილებებსა და დაკვირვებებზე დაყრდნობით, საინტერესოდ აქვს განზოგადებული სხვადასხვა ეთნოსების ცხოვრების სურათი და ამავდროულად საარქივო და ლიტერატურული წყაროების მონაცემებიც აქვს გათვალისწინებული. ავტორი ხშირად იყენებს და ზოგჯერ სრულიად უცვლელად აქვს გადმოწერილი აღწერილობები ი. რეინეგსი თხზულებიდან. კავკასიელ ხალხთა საერთო სამოსს, განზოგადებულად, ბლარამბერგი ასე ახასიათებს:

*„სხვადასხვა ტომის ყველა მთიელს აქვს მეტ-ნაკლები ვარიაციით ერთნაირი ტანსაცმელი. მათ აცვიათ ტილოს ან შალის ქსოვილის ფართო შარვალი და სერთუკი ანუ ხიფთანი, რომელიც ასევე ასრულებს პერანგის როლს, სიგრძით მუხლებამდე. მასზე აცვიათ იგივე თარგზე აჭრილი „ჩერქეზკა“ – ნაცრისფერი, ყვითელი ან ყავისფერი შალის ქსოვილის სამოსი. მდიდრები ატარებენ თეთრი სელის ან ღია წითელი ტაფტის ქართული სტილის [ახალუხი] ჩასაცმელს, მკერდზე ღილებით; პერანგზე აცვიათ აბრეშუმის ბეშმეტი, თურქულად - არხალუკი, ჩვეულებრივ ნაქარგობით და მის ზევით - „ჩერქეზკა“. ის არის ფართო ზედა კაბა ... რომელიც ძლივს აღწევს მუხლებამდე, მას მჭიდროდ იკრავენ წელის ქვემოთ; მკერდის ორივე მხარეს ტყავის ან ტარსიკონის პატარა ჯიბეებით, რომლებიც ზოგჯერ შემკულია ნაქარგობით და დაყოფილია რამდენიმე ნაწილად – ხის ან სპილოს ძვლის ვაზნები ჩასაწყობად. ისინი ატარებენ შალის წინდებს, რომლებსაც მუხლის ქვევით იმაგრებენ ქეჩის ან ტყავის ფართო წვივსაკრავებით. ძალიან დახურული ტყავის ან ტარსიკონის წაღები უძიროა. მგ ზავრობისას იყენებენ ვიწროყელიან ჩექმებს... ზამთარში წაღებს წვრილი თივით ავსებენ და ქამრით იკრავენ... თოვლში ასევე იცვამენ თავისებურ ხის ფეხსამოსს [თხილამურს], რომელიც ძალიან განიერია და თოვლში არ ეფლობა. თავზე იხურავენ დაბამბულ პატარა ქუდს, რომელიც შეიძლება მოქარგულიც იყოს. ქუდი ნახევარი ნესვის ფორმისაა და გადანაკეცი ცხვრის ტყავისა... გზად ან ზაფხულში ცუდ ამინდში, ხმარობენ თექის კავკასიურ მოსასხამს – სახელოების გარეშე, რომელსაც რუსები „ბურკას“*

ემახიან და თავზე იფარებენ თათრულად „ბაშლიკად“ წოდებულ შალის კაპიშონიან ყაბალახს... ზოგადად, მაღალმთიანი ხალხის ტანსაცმელი იკვრება მსუბუქი და საკმაოდ უხეში ქსოვილისგან, რომელსაც მათი ქალები სახლში ამზადებენ“.

კავკასიელთა საერთო სამოსის დახასიათების გარდა ი. ბრალანბერგი აფხაზების, სვანების, ხევსურების, თუმებისა და ფშაველების ჩაცმულობის აღწერასაც იძლევა.

*„აფხაზის ჩაცმულობა ჩერქეზულის მსგავსია. მათ აცვიათ ნახევარხიფთიანი, ხოლო მის შიგნით მჭიდროდ მორგებული კაბა, რომელიც ჩვეულებრივ დაბამბულია, მას „ბეშმეტს“ ან „არხალუკს“ უწოდებენ. აფხაზები ატარებენ ვიწრო შარვალს და მასზე აცვიათ მაუდის ბაჭიჭები, რომლებიც მუხლების ქვეშ არის შეკრული მრავალფერიანი წვივსაკრავით (რუსულად ამ წინდებს "გამაშებს" უწოდებენ). თავზე იხურავენ ქსოვილის კაპიშონს, ე. წ. ბაშლიკს, რომელსაც კარგ ამინდში დოლბანდივით თავზე იხვევენ, ხოლო უამინდობის დროს მისი ტოტები ქვევითაა დაშვებული. ზოგიერთი მათი თავადი ბეწვშემოვლებულ პატარა ნაჭრის ქუდეებს ატარებს.“*

*„სვანებს წესად არ აქვთ პერანგის გამოყენება, ისინი იცმევენ ორ ან სამ ვიწრო ბეშმეტს – ერთმანეთზე... წინსაფარი შარვალის მაგივრობას ასრულებს, ხოლო ფეხის კოჭიდან ბარძაყებამდე შემოხვეული შალის ზოლები – წინდისას. ფეხზე ამოსხმული აქვთ დაუშუშავებელი ტყავი, ჭვინტიანი ცხვირით. ზოგიერთი მათგანი იმერულ ქუდს ატარებს, თუმცა ხშირად თავზე არ ახურიათ და უმეტესობა არასოდეს ივარცხნის თმას. სვანის ქალიშვილები თავსაბურავს არ ხმარობენ, ხოლო გათხოვების შემდეგ ქალები თავზე იფარებენ წითელი თავსაფარს, ამასთან იფარავენ სახესაც... სვან ქალებს აცვიათ გრძელი, ვიწრო კაბები, ჩვეულებრივ წითელი ტილოსი, რომელის წინ იკვრება; ზამთარში, კაბის ზევით, უხეში შალის ზედა სამოსი აცვიათ, ზაფხულში კი წითელი ტილოს წამოსასხამი.“*

ავტორი თუმ-ფშავ-ხევსურთა სამოსის შესახებ ამბობს, რომ ქართული ჩაცმულობის მსგავსია. ამავდროულად, ის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქალები გარეთ გამოსვლისას არ ატარებენ დიდ, თეთრ, ზეწრისებურ საბურველ ჩადრს, როგორც ამას აკეთებენ თბილისელი მანდილოსნები.

გასაოცარი ეფექტურობით და ინფორმაციულობით გამოირჩევა ცნობილი გერმანელი მხატვრის **პაულ ფონ ფრანკენის** (1818-1884) ტილოები და ესკიზები კავკასიის შესახებ შექმნილი სერიიდან. სახელოვნებათმცოდნეო ლიტერატურაში პაულ ფონ ფრანკენი მოიხსენიება „კავკასიის მხატვრად“. მას ასახული აქვს საქართველოს სხვადასხვა კუთხე, თბილისის ხედები, კავკასიელთა ტიპები. ჩვენი თემატიკისათვის განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი პანორამული ტილოები: „ბანიანი სახლი თბილისის ფონზე“ (1856), „ძველი თბილისის ხედი“ (1859), „ბანაკი თბილისის მახლობლად“ და სხვა მრავალი [19].



სურ. 59. ქალთა სამოსის მრავალფეროვნება, ფრაგმენტი პ. ფრანკენის ტილოდან „ძველი თბილისის ხედი“

Fig. 59. Variety of women's clothing, Fragment from P. Franken's painting „View of Old Tbilisi“


ფრანკენის ტილოებზე მჟღერი ფერებითა და ვირტუოზული ოსტატობით არის ნაჩვენები ქართული კოსტიუმის დახვეწილობა და სილამაზე. ვის არ ნახავთ აქ – სარტყელ გულისპირიან კაბებში გამოწყობილ ქალებს – ბანზე მოცეკვავეს თუ დაირაზე დამკვრელს, აჯილოსან მანდილოსნებს, მამაკაცებს ჩოხა-ახა-





სურ. 60. ფრაგმენტი პ. ფრანკენის ტილოდან „ძველი თბილისის ხედი“  
Fig. 60. Fragment from P. Franken's painting „View of Old Tbilisi“

ლუხითა და ბუხრის ქუდებით (სურ. 59-60). ფერადოვან სამოსის მრავალსახეობაში ადვილი გასარჩევია თითოეულის მასალა და დეკორი. მზეზე ლაპლაპებს ატლასი, მქრქალ ნათებას გამოსცემს ხავერდი, ფრიალებს ჰაეროვანი ლეჩაქი. ზოგი მანდილოსანი მთლიანად დაფარულია უზარმაზარი თეთრი საბურველით... ისე მეტყველია მხატვრის ფუნჯი, რომ დაირის ხმა და მოცეკვავე ქალის ტაფტის კაბის შრიალიც კი ჩაგვესმის თითქოს [20].



სურ. 61. მამაკაცის სამოსი, ფრაგმენტი, პ. ფრანკენი „ძველი თბილისის ხედი“  
Fig. 61. Men's clothing, Fragment from P. Franken's painting „View of Old Tbilisi“

საინტერესოა ყოფილი ჟანრის გრავიურა „ქართველი თავადის გამგზავრება ომში“ [21], რომელიც პაულ ფონ ფრანკენის ნახატის მიხედვით არის შექმნილი (სურ. 62). სურათზე კარგად ჩანს ქალისა და მამაკაცის ტრადიციული ქართული ჩაცმულობა და თავსაბურავები.



სურ. 62. „ქართველი თავადის გამგზავრება ომში“, პ. ფრანკენი  
Fig. 62. “Departure of the Georgian prince for the war”, P. Franken

ქართულ თემატიკაზე და „ქართული ხასიათის“ გადმოცემაზე მომუშავე უცხოელ მხატვარ-პორტრეტისტებს შორის საყურადღებოა პაულ ფონ ფრანკენის მეუღლის – ჰელენ ფონ ფრანკენის ნაწარმოებები. მას დახატული აქვს ქართულ სამოსში გამოწყობილი მანდილოსნებისა და მამაკაცების, უმეტესწილად თავად-აზნაურთა, პორტრეტები, რომლებშიც რეალურადაა ასახული სამოსის დეტალები. განსაკუთრებით საინტერესოა მისი „ქალი ჩიხტიკოპით“ (სურ. 63), რომელშიც გვხვბლავს ოსტატურად შესრულებული ქსოვილის ზედაპირი, თავსაბურავი ლეჩაქის ჰაეროვნება და სარტყელ-გულისპირის ქარგულობა [22]. სურათი ფერადოვანი შეხამებების ზომიერებითა და ფერწერული გემოვნებით გამოირჩევა.

სურ. 63. ქალი ჩიხტიკოპით, ჰელენ ფონ ფრანკენი  
Fig. 63. woman with traditional headdress, Helen von Franken





არანაკლებ მნიშვნელოვანია სხვა გერმანელი ავტორების – გუსტავ-თეოდორ პაულის, ფრიდრიხ ბოდენშტედტის, გუსტავ რადეს შრომები.

ამგვარად, გერმანულ წერილობით და სახვით წყაროებში არცთუ უმნიშვნელოა მასალები, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას ავტორთა თანადროული ქართველების ჩაცმულობის შესახებ. ფაქტიურად, საქართველოსთან დაკავშირებული კვლევით სამუშაოების და ეთნოგრაფიული ნაშრომების ავტორთა უმეტესობა გერმანელები არიან, რაც რუსეთის იმპერიის მხრიდან მათი ინტენსიური დასაქმებითაც არის განპირობებული. რუსეთის მეცნიერებათა აკადემია სწორედ გერმანელ მკვლევარებს გზავნიდა კავკასიის, ყირიმისა და რუსეთის აღმოსავლეთ პროვინციების შესასწავლად. ამავდროულად აღსანიშნავია გერმანელ მხატვართა საქართველოთი, როგორც ეგზოტიკური აღმოსავლური ქვეყნით დაინტერესება, რამაც შედეგად დაგვიტოვა სახვითი ხელოვნების მნიშვნელოვანი ნაწარმოებები, რომლებშიც არეკლილია ქართული კოსტიუმის სილუეტი, ფერები, ფორმები, მისი სინატიფე და მხატვრული გემოვნების დახვეწილობა.

## წყაროები და გამოყენებული ლიტერატურა

1. Reisen des Johannes Schiltberger aus München in Europa, Asia und Afrika von 1394 bis 1427. Auf Kosten des Herausgebers, 1859.
2. ელდარ მამისთვალისხვილი საქართველო ჰანს შილტბერგერის „მოგზაურობის წიგნში“ მაცნე 1980, N2, თბილისი: მეცნიერება 1980
3. Cosmographia. Beschreibung aller Lender durch Sebastianum Münsterum: in welcher begriffen aller Voelker, Herrschaffen, Stetten, und namhafftiger Flecken, herkommen: Sitten, Gebreuch, Ordnung, Glauben, Secten und Hantierung durch die gantze Welt und fürnemlich Teütscher Nation (Getruckt zu Basel: durch Henrichum Petri 1544).
4. Leonhard Rauwolf, Aigentliche beschreibung der Raiss in die Morgenlaender
5. Schweigger, Salomon. „Newe Reyßbeschreibung auß Teutschland nach Constantinopel und Jerusalem“ Nuremberg / Gratz, Johann Lantzenberger / Akademische Druck 1608
6. Album; painting. The British Museum  
[https://www.britishmuseum.org/collection/object/W\\_1974-0617-0-1-18](https://www.britishmuseum.org/collection/object/W_1974-0617-0-1-18)
7. ქართველი ქალი, მე-17 საუკუნის სპარსული მინიატურა ბრიტანეთის მუზეუმიდან [https://www.flickr.com/.../csem\\_arch.../albums/72157713158285013](https://www.flickr.com/.../csem_arch.../albums/72157713158285013)
8. Schillinger, Franz Caspar Persianische und Ost-Indianische Reis, welche F. C. Schillinger ... mit P. W. Weber, und P. W. Mayr ... durch das Türkische Gebiet im Jahr 1699. angefangen, und 1702. vollendet ... Neben Beschreibung vieler Orientalischen Völckern ... Von obengemeldtem Authore aufgezeichnet; durch einem guten ...Johann Christoph Lochner, 1707
9. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში ტ.1-2. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა; საქ. სსრ მეცნ. აკად., 1962.
10. Johann Anton Güldenstädt Reisen durch Russland und im Caucasischen Gebürge, Tom 1 Bearbeitet von P. S. Pallas 1787.
11. Reineggs, Jacob. Allgemeine historisch- topographische Beschreibung des Kaukasus. - Gotha, CIP, 1796-1797.
12. იაკობ რაინგსი. მოგზაურობა საქართველოში. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა. თბ. 2002, გვ. 158
13. Reineggs, Jacob, 1744-1793, Charles Wilkinson, and Friedrich August Marschall von Bieberstein. A General, Historical, And Topographical Description of Mount

- Caucasus: With a Catalogue of Plants Indigenous to the Country. London: C. Taylor, 1807.
14. Hempel, Friedrich, and Christian Gottfried Heinrich Geissler. *Abbildung Und Beschreibung Der Völkerstämme Und Völker Unter Des Russischen Kaisers Alexander Menschenfreundlichen Regierung: Oder Charakter Dieser Völker Aus Der Lage Und Beschaffenheit Ihrer Wohnplätze Entwickelt Und In Ihren Sitten, Gebräuchen Und Beschäftigungen Nach Den Angegebenen Werken Der In- Und Ausländischen Litteratur.* Leipzig: Industrie-Comptoir, 1803.
  15. Klaproth, Heinrich Julius von *Beschreibung der russischen Provinzen zwischen dem kaspischen und schwarzen Meere*, Maurer, 1814.
  16. გაგელაშვილი - იულიუს კლაპროტის ცნობები დასავლეთ საქართველოს შესახებ, „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, N1-2, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2018. გვ. 283-298.
  17. Blaramberg, J. *Erinnerungen aus dem Leben des Kaiserlich Russischen General-Lieutenant Johann von Blaramberg: nach dessen Tagebücher von 1811 – 1871-* Berlin : Schroeder, 1872; *Бларамберг И. Историческое топографическое статистическое этнографическое и военное описание Кавказа.* Нальчик, 1999. Пер. с фр., предисловие и комментарии И.М. Назаровой; *Иоганн Бларамберг. Историческое, топографическое, статистическое, этнографическое и военное описание Кавказа.* Перевод с французского, предисловие и комментарии И.М. Назаровой. М., Изд. Надыршин, 2010.
  18. Бларамберг И. *Кавказский рукопис Ставропольское книжное издательство.* 1992. ISBN 10: 5764406625.
  19. Arts and Culture <https://artsandculture.google.com/asset/view-of-tiflis-paul-von-franken/>
  20. Франкен, Пол: «Вид Тифлиса», 1859 *Дагестанский музей изобразительных искусств имени П. С. Гамзатовой* <https://artsandculture.google.com/asset/view-of-tiflis-paul-von-franken/qQEJBVxEGQVybw?ms=%7B%22x%22%3A0.4402395867158906%2C%22y%22%3A0.6836478702715736%2C%22z%22%3A11.5%2C%22size%22%3A%7B%22width%22%3A0.37335238046649705%2C%22height%22%3A0.2596300299690108%7D%7D>
  21. *Daheim: ein deutsches Familienblatt mit Illustrationen*, Том 4; *Daheim-Expedition* (Velhagen & Klasing), 1868.
  22. ციციშვილი, მ., ჭოლოშვილი, ნ. (2013). *ქართული მხატვრობა – განვითარების ისტორია XVIII-XIX საუკუნეები*. თბილისი: „ფავორიტი სტილი“



## XVII- XIX საუკუნეების რუსულ წერილობით და სახვით წყაროებში ასახული ქართული კოსტიუმი

ცნობები ქართველთა ჩაცმულობის შესახებ რუსულ წერილობით და სახვით წყაროებშიც მრავლად მოგვეპოვება. საქართველოს თემას განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია XIX საუკუნის მასალებში. ეს წყაროები ჟანრობრივად სრულიად განსხვავებული თხზულებებია – მკვლევართა ანგარიშები, ელჩობათა აღწერები, მოგზაურთა დღიურები და ჩანაწერები, ეთნოგრაფიული ან ისტორიული ნარკვევები, გეოგრაფულ-ტოპოგრაფიული და სტატისტიკური კვლევები, სამხედრო დოკუმენტაცია და სხვა მრავალი. ამ წყაროებში ქართველთა ყოფისა და ჩაცმულობის სრულიად რეალური აღწერებია ჩართული. გამორჩეულად უნდა აღინიშნოს კავკასიისა და კერძოდ საქართველოს თემა XIX ს-ის რუსი მხატვრების შემოქმედებაში, რომელთაც ეგზოტიკა, აღმოსავლეთისა და დასავლეთის მოზაიკისებრი მრავალფეროვნება იზიდავდა. მათ ჩანახატებში, ეტიუდებსა თუ ტილოებზე ქართველთა კოსტიუმის მრავალფეროვნება მთელი სისავსითაა წარმოდგენილი და განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.

პირველი ასეთი წყარო XVII საუკუნის რუსი ელჩების ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარევის ელჩობათა მასალებია (1636 -1640 წწ.). სამეგრელოს მუხლობრივი აღწერილობაში, მოსახლეობის დახასიანებისას, **ფედოტ ელჩინი** მსგავსად იტალიელი მისიონერებისა, დაბალი ფენის სიშიშვლის შესახებ წერს: „*ტანსაცმლის ნაკლებობას განიცდიან, ტანშიშველნი და ფეხშიშველნი დადიან, მხოლოდ საჭირო ადგილებს იფარავენ ქსოვილის ნაჭრით ან თხის ტყავით, სხვა მხრივ კი შიშვლები არიან... მათ ქვეყანაში დიდი სიშიშველეა, მამაკაციც და დედაკაციც შიშვლები დადიან*“ [1].

მღვდელ **პავლე ზახარევის** მუხლობრივი აღწერილობაში ძირითადად ღვთისმსახურთა სამოსის შესახებ არის საუბარი:

*„ბედიელ ეპისკოპოსს ჯიბეებიანი აღმოსავლური აბრეშუმის კაფტანი ეცვა, კაფტანზე ოქროს ყიზილბაშური ნაქარგია; ეპისკოპოსს სარტყელად ქ. ქაშანში დამზადებული გრძელი ვიწრო აბრეშუმის ქსოვილი ეკრა; კაფტანს ზემოთ ხავერდით გაწყობილი კვერნის ქურქი ეცვა ჯიბეებით, ხელების გასაყრელითა და ზონარაიანი შესაკრავით; მეორე ქურქი ცხვრისაა, ორმაგი ხავერდით გაწყობილი. მარჯვენა ხელის ნეკა თითზე მას, ბედიის ეპისკოპოსს, ორი ოქროს ბეჭედი წამო-*



ეცვა, ერთი მათგანში ფირუზის ქვაა ჩასმული... როცა ეკლესიაში მივედით, მიტროპოლიტი წირვისათვის ჩვენი თანდასწრებით იმოსებოდა. სტიქარის სიგრძე წესის მიხედვითაა, მაგრამ საბეჭურის, ვარსკვლავებისა და არშიების გარეშე; ეპიტრაქილი, სამკლავური, სარტყელი და ენქერი წესისამებრ იყო. შესამოსელის ნაცვლად ბისონს იცვამს, ბისონი კი კაფტანის ზედაპირის ქსოვილისაგან ხიშტაკითა და სახელოებითაა შეკერილი; სახელოები და გვერდები გაუკერავია. სახელოებზე და გვერდებზე ღილების ნაცვლად თხუთმეტ-თხუთმეტი ვერცხლის მოოქროვილი პატარა ეჟვანია დაკერებული. როცა მიტროპოლიტი ბისონს იცვამს, ბისონის ეჟვნებს შეუბნევენ და მასზე ბისონი, როგორც კაფტანი, ისე გამოიყურება, და თანაც ჯიბით, რადგან ბოლო ეჟვანი ქვედა პირიდან ექვსი გოჯით არის დაშორებული. ბისონის სიგრძე ცოტათი მუხლს ქვემოთ სცილდება. პავლე მღვდელი მირლოპოლიტ მიტროფანეს შეეკითხა: რა ჰქვია იმ სამოსელს, რომელსაც სტიქარზე ფელონის ნაცვლად იცვამ და სახელოებითა და ჯიბეებით არის? მიტროპოლიტმა მიტროფანემ უპასუხა: ეს სამოსელი მე იერუსალიმის პატრიარქმა თეოფანემ მაჩუქა და მითხრა, ეს ბისონია და ფილონის ნაცვლად ჩაიცვიო. “

ზახარევი პატრიარქის სამოსს ასე აღწერს: „იმ დროს პატრიარქს შავი ბარტყულა ეხურა, შავი ატლასის მანტია ეცვა პატარა მარგალიტებზჩასმული სამხრეებით. თასმები ზედ ოქროსი იყო, ყიზილბზურად ვეცხლით კიდებმოქარგული. ქვედა კიდები კი მანტიას ოქროსი ჰქონდა, ფეხსაცმელები ცხვირაპრეხილები ეცვა“.

საინტერესო მონაცემებს შეიცავს 1650-52 წლებში საქართველოში მოვლენილი რუსი ელჩების სტოლნიკი ნიკიფორე ტოლოჩანოვისა და დიაკი ალექსი იევლევის ოფიციალური ანგარიში „იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა“[2],[3]. მასში მოცემულია როგორც სამეფო კარის პირთა, ისე მოსახლეობის ჩაცმულობის შესახებ ცნობები. იმერეთის მეფე ალექსანდრესთან აუდიენციის შესახებ თხრობისას ნ. ტოლოჩანოვი აღწერს მეფის მისაღებს, რომელიც ძვირფასი ქსოვილებით ყოფილა მორთული: „როცა მეფის წინაშე წარვდექით, იგი ხალიჩაზე ფეხმორთხმული იჯდა, მას ხალიჩაზე დაფენილი ჰქონდა ფეხქვეშ გასაშლელი, ხოლო უკან, ზურგის მხარეს ხვედრზე მოქარგული ბალიში იყო. ბალიშის ზემოთ თეთრ ფონზე მოქარგული საჩრდილობელი... მეფეს ტანთ სიასამურის ქათიბი ეცვა... ქათიბის გარშემო ოქროს ბალთა ჰქონდა შემოვლებული“.

ელჩი გვაწვდის ცნობებს სამეფო კარის მომსახურე პერსონალისა და აზნაურთა ჩაცმულობის შესახებაც: „საჭმელებს მეფეს, სასულიერო პირებს ელჩებსა და აზნაურებს სუფრაჯები მოართმევდნენ. ეს უკანასკნელნი თურქულ ოქროსა და

ვერცხლის ფერად მოსირმულ ჩოხებში, ხავერდისა და ატლასის ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილნი. აზნაურებიც ასეთსავე ტანისამოსში გამოწყობილნი იხდნენ“.

ნ. ტოლოჩანოვი, წარჩინებულთა ფენის გარდა, იმერეთის სამეფოს მოსახლეობის ჩაცმულობასაც აღწერს:

*„იმერეთში ასეთ ტანსაცმელს ატარებენ: თურქულ ხიფთანს, ზევიდან ყიზილბაშურ პერანგს იცვამენ. ზოგიერთები თავის იმერულ ხიფთანს ატარებენ, რომელიც ქამრიდან ნაოჭებით ეშვება, მთლიანია და დალიანდაგებული. ქუდეებს დიდ ჩანაჭრებიანს ატარებენ. ზოგიერთები ყიზილბაშურ ქუდს ატარებენ. ზაფხულში ყველა მოთელილი შალის მრავალ ადგილას ამოჭრილ ქუდს ატარებს... პერანგსა და პერანგის ამხანაგს კაცები თეთრს არ ატარებენ, მაგრამ ან აბრეშუმის ქსოვილისას ან სხვა ფერადი ქსოვილისას. პერანგს გრძელს იკერავენ, თითქმის ქუსლებამდე აღწევს, ისე, რომ ხიფთანის ქვევით მოსჩანს და მუხლებს არ იფარავს“.*

XIX ს-ის დასაწყისის ქართველი ტიპები და ტრადიციული ჩაცმულობა, წარმოდგენილია კარლ რეხბერგის ალბომში „რუსეთის ხალხები“ [4]. ალბომი ილუსტრირებულია რუსი მოგზაურისა და მხატვრის ე. მ. კორნეევის 1802-1803 წლების ნახატების მიხედვით დამუშავებული ფერადი გრაფიურებით (სურ. 63). ილუსტრაციებზე ქართული კაბით შემოსილი მამაკაცები არიან გამოსახულნი.

სურ. 63. ქართველები, კორნეევი  
Fig. 63. Georgians, Korneev





ქართველების ჩაცმულობა საკმაოდ დაწვრილებით აქვს აღწერილი რუს ოფიცერსა და მწერალს ბარონ ფიოდორ ტორნაუს (ტორნოვი) თავის დოკუმენტურ ლიტერატურულ ნაწარმოებში «Воспоминаний о Кавказе и Грузии, 1832» /„მოგონებანი კავკასიასა და საქართველოს შესახებ“ [5]. ბარონი ტორნაუ ამასთანავე იყო დიპლომატი, მზვერავი, მონაწილეობდა კავკასიის ომში. მოგონებათა შექმნის თარიღი 1832 წელია, მაგრამ დაიბეჭდა მოგვიანებით – 1869 წელს, ჟურნალში «Русский Вестник». ავტორი აღნიშნავს, რომ 1832 წლისათვის თბილისის რამდენიმე არისტოკრატიული ოჯახის ქალიშვილები ფრანგულ სამოსს ატარებდნენ და ევროპულ აღზრდას ღებულობდნენ. მამაკაცები მხოლოდ რუსეთის სამხედრო სამსახურში შესვლისას იხდიან ეროვნულ კოსტიუმს და სამხედრო უნიფორმით იმოსებიან. მისი აზრით:

*„ქართველები მოქმედებდნენ გემოვნებისა და საღი აზრის კანონების შესაბამისად. ჩოხა, დაკიდებული სახელოებით, სირმით მორთული, ფერადი შარვალი, მაღალი, ნაცრისფერი ჩექმები და სპარსული ცხვრის ქუდი უფრო შეეფერება ზურგს უკან თოფ-იარაღსა და გვერდზე ხმალს, ვიდრე ცილინდრი და პალტო, თუნდაც საუკეთესო თარგისა“.*

ტორნაუ აღნიშნავს, რომ თბილისელი მანდილოსნის ჩაცმულობაში ცვლილება ფეხსამოსით დაიწყო და ტარსიკონის მესტებისა და საგარეო მაღალქუსლიანი ქოშების ნაცვლად ქალებმა ევროპული მაღალყელიანი წინდები და ფეხსაცმელი ჩაიცვეს... ჩადრი ჩაანაცვლეს მანტილით, ხოლო ძველი ჩაცმულობის სხვა დანარჩენი ელემენტები: თავსაკრავი, ვუალი, გულისპირი და კაბის თარგი უცვლელად შეინარჩუნეს.

*„გრძელი, ქვევით წამახვილებული ზედატანი, კორსეტის გარეშეც კარგად იყო შემოკრული წელზე და არ ბოჭავდა ბუნებრივ მოქნილობას; გრძელი და ფართო ქვედა კაბა თვალწარმტაცად/ლაზათიანად ეფინებოდა ფორმებს, რომლებიც ნამდვილად იმსახურებდა საჭრეთლით გამოკვეთას; ფართო სარტყელი, წინ, ბოლოებით თითქმის ნიადაგამდე დაშვებული, შემოკრულიყო წვრილი წელის გარშემო. ზურგი და მხრები დაფარული იყო, მაგრამ ბიუსტს ქვემოთ ამოჭრილ კალთაში მთლიანად გამოჩნდებოდა მკერდი, რომ არ ყოფილიყო დაფარული კაბისაგან განსხვავებული ფერის აბრეშუმის ქსოვილით, რომელსაც „გულისპირი“ – „გულის საფარი“ ეწოდება... ვალიარებ, არ მომეჩონა ქართველი ქალების თავსაბურავი, „თავსაკრავი“. ვიწრო ქსოვილის სახვევი, წარბებამდე ჩამოწეული, შუბლს ულამაზოდ ფარავდა; სამაგიეროდ ჰაეროვანი გამჭვირვალე ლეჩაქი,*

მხრებზე ჩამოშლილი, მრავალი წვრილი ნაწნავი წარმოადგენდა მორთულობას, რომელიც სრულყოფდა კოსტიუმის საერთო ჰარმონიას. სიცივეში ქართველებს ეცვათ წითელი ან მწვანე ხავერდისგან დამზადებული „ქათიბი“; ბეწვშემოვლებული ზედა სამოსი, გახსნილი დაშვებული სახელოებით, წინ ოქრომკედით, მარგალიტით და ზოგჯერ ფერადი ქვებით მოქარგული. ჩადრი თეთრ ზეწრისებრ საბურველს ჰქვია, რომლის გარეშე წარსულში ქართველი ქალი ქუჩაში ვერ გამოდიოდა. ჩადრს თავსა და ტანზე იხვევდნენ და ალისფერი ტუჩების სიმაღლეზე, ხელით იჭერდნენ, რაც შემხვედრს მხოლოდ თვალებისა და პატარა ხელის მხერით ტკბობის საშუალებას აძლევდა“.

საქართველოს მოსახლეობის კოსტიუმი დაწვრილებით აქვს აღწერილი რუსი მწერალს, ეთნოგრაფსა და სტატისტიკოსს **ორესტ ევეცკის** ნაშრომში „**Статистическое описание Закавказского края**“ /„ამიერკავკასიის სტატისტიკური აღწერა“, რომელიც გამოიცა სანკტ-პეტერბურგში, 1835 წელს [6]. ავტორს დახასიათებული აქვს როგორც ქალისა და მამაკაცის, ისე ბარისა და მთის მოსახლეობის ჩაცმულობა:

„ქართველების სამოსი ... ლამაზია. პერანგისა და შარვლის გარდა ის შედგება ბამბაზე დალიანდაგებული ნახევარხიფთაანისაგან (ახალუხი); ზემოდან იცვამენ ხიფთაანს გაჭრილი სახელოებით, რომელიც გავს პოლონურ ნაციონალურ სამოსს, სახელოები იკვრება მაჯასთან, ან გადაყრილია ზურგზე. ხიფთაანზე შემოჭერილია სარტყელი, ახალუხი იკვრება ღილებით ან კაუჭებით, წელზე შემორტყმულია ქამარი, რომელზეც დაკიდებულია ხანჯალი ან დანა. თავზე ზამთარ-ზაფხულ ახურავთ წაწვეტებული ცხვრის ქუდი, რომელსაც სახლშიც არ იშორებენ. იმერეთში, სამეგრელოსა და გურიის ნაწილში ქუდი სხვა არაფერია თუ არა შავი შალის მრგვალი ნაჭერი, რომელიც იკვრება თასმით ნიკაპის ქვეშ. ფეხსაცმელი წარმოადგენს განსაკუთრებული აჭრის ნახევარჩექმას, ზევით აწეული გრძელი ჭვინტებით და თავისებურ ფეხსამოსს ტყავის ნაჭრისაგან, რომლებიც შემოკრულია მხოლოდ წვივებზე [ბაჭიჭები]. წლის თითქმის ყველა დროს სახლიდან გამოსვლისას კაბის ზევით იცვამენ ნაბადს... სოფლის მცხოვრებნი ჩექმის ნაცვლად იყენებენ ქალამანს და ფეხზე, წვივებამდე იხვევენ შალის სახვევებს.

ქალის ტანსაცმელი, ბამბისა ან აბრეშუმისა, შედგება პერანგის – რომლის ქვეშ აცვიათ შარვალი, ახალუხისა და ზედა კაბისაგან. ის ევროპულისგან სრულიად განსხვავებულად არის აჭრილი. წელი უკიდურესად დაბლაა და

შემოჭერილია სარტყელით, რომელიც იკვრება წინ და მისი ორივე ტოტი დაშვებულია თითქმის იატაკამდე. ძველ ქართულ კაბას ჰქონდა გაჭრილი სახელოები, ახლა კი უმეტესად სახელოები მთლიანია. კაბას მკერდზე აქვს დიდი, ნახევრადმრგვალი ღიობი, მკერდი დაფარულია მკერდსაფარი გულისპირით, რომელიც თითქმის ყოველთვის აბრეშუმისაა და კაბისგან განსხვავებული ფერი აქვს. კაბის ზემოთ იცვამენ ხავერდის, კაშკაშა ფერის, ბეწვმოვლებულ ნახევარქურქს, ეს სამოსი ქალის საუკეთესო მორთულობას წარმოადგენს. თავზე იხურავენ სპეციალური თავსახვევს – თავსაკრავს, 3 ან 4 თითის სიგანით, რომელიც დამზადებულია ჩითისაგან ან ხავერდისაგან, და მოქარგულია ოქროს ან ვერცხლის ძაფებით. თავსაკრავის ქვეშ იხურავენ ჰაეროვან თავსაბურავს – ლეჩაქს, რომლის ბოლო, უკან, დაშვებულია წელს ქვევით... სახლიდან გამოსვლისას თავიდან ფეხებამდე იხურებიან თეთრი საფარველით (ჩადრით). ფეხსამოსად გამოყენებულია წულა – ტარსიკონის ერთგვარი უძირო ნახევარწალა და ქოშები – მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის სახეობა.

ოსებში, ხევსურებში და საერთოდ მთის ხალხებში შიგა პერანგები, მუხლამდე სიგრძის – ძალიან ვიწროა; ზემოდან აცვიათ ჩვეულებრივი „ჩერქესკა“, მკერდზე ორი სამასრით; წელზე შემოჭერილი აქვთ ქამარი, რომელიც მორთულია ლითონის სხვადასხვა სამშვენისებით. თავზე იხურავენ ცხვრის ტყავის მრგვალ ქუდეებს, მარტლით შიგნით. ფეხსაცმელს ტყავის ქალამნები წარმოადგენს, რომელსაც, საჭიროების შემთხვევაში, ქვეშ ე.წ. ბანდულები აქვს გამოკრული, მთაში მოხერხებულად სასიარულოდ.

ქალების ზედა ტანსაცმელი შედგება ქვედაკაბისა და კოფთისაგან, შიგა შარვლისა და პერანგისგან; ფეხებზე აცვიათ ქალამნები თივით; თავზე იხურავენ მოკლე ტილოს თავსაფარს, რომელსაც ზოგჯერ ნიკაპქვეშ იკრავენ.“


ერთ-ერთი მხატვარი, რომელმაც თავის ტილოებზე ქართველები, მათი კოსტიუმი და ყოფა წარმოაჩინა რუსი მხატვარ-პიზაჟისტი ნიკანორ ჩერნეცოვი (1805-189). მან 1829-1831 წლებში იმოგზაურა საქართველოში პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის დავალებით; ფერწერის აკადემიკოსის წოდების მისაღებად დახატა „თბილისის ხედი“ (1831), რისთვისაც რამდენიმე ათეული ესკიზი შეასრულა. ესკიზები პეტერბურგის სახელმწიფო რუსულ მუზეუმშია დაცულია; თბილისის თემას ის მთელი ცხოვრების მანძილზე უბრუნდებოდა და გამოფენებზე გაჰქონდა საქართველოსთან, კერძოდ, თბილისთან დაკავშირებული ნამუშევრები: "საბაჟოსა და ჰოსპიტლების ხედი თბილისში", „თავად ბებუთოვის სახლი თბილისში“, "გოგირდოვანი აბანოების შიდა ხედი", „თბილისის ქარვასლის

შიდა ხედი“ და სხვა. მას დახატული აქვს ქუთაისის ხედები [7], [8]. ჩერნეცოვის ნამუშევრებს აქვს, როგორც დიდი მხატვრულ-ისტორიული მნიშვნელობა, ისე ეთნოგრაფიული მნიშვნელობა. ის თვალსაჩინო წყაროა XIX საუკუნის 20-30-იანი წლების ქარელი მოქალაქეების იერი-სახისა და ჩაცმულობის გასაცნობად.



სურ. 64. ბაგრატის ტაძრი, ფრაგმენტი. ჩერნეცოვი  
Fig. 64. Bagrati Temple, fragment. Chernetsov

ართველთა ყოფითი სცენები და მრავალფეროვანი სამოსი განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ჩანს ავტორის მიერ 1831 წელს შესრულებულ „თბილისის პანორამაზე“, ქუთაისის „ბაგრატის ტაძრის ხედებზე“, სხვადასხვა ჩანახატებსა და ეტიუდებზე (სურ. 64-66).




სურ. 65. ქართველების სამოსი ნ. ჩერნეცოვის ტილოებზე  
Fig. 65. Georgian clothes in the paintings of N. Chernetsov





სურ. 65. თბილისის ხედი, ფრაგმენტები, ჩერნეცოვი  
Fig. 65. View of Tbilisi, fragments, Chernetsov

უდავოდ საინტერესო და ინფორმაციულია გამოჩენილი რუსი მხატვრის ვასილ ტროპინინის 1831 წლით დათარიღებული ტილო „უცნობი ქართველი ქალის პორტრეტი“, რომელშიც შესანიშნავად არის ასახული ქართველი მანდილოსნის თავსაბურავი (სურ. 67). გ. შარაძის აზრით ტილოზე გამოსახული მანდილოსანი უნდა იყოს იმ დროისათვის პეტერბურგში მცხოვრები პირველი ქართველი აკადემიკოსის, თეიმურაზ ბაგრატიონის მეუღლე – ელენე ამილახვარი [9]. პორტრეტზე შესანიშნავად არის წარმოჩენილი ქართველი ქალის ტრადიციული თავსაბურავი – ჰაეროვანი ლეჩაქი და ნაქარგობით შემკული ჩიხტიპოპი.



სურ. 67. უცნობი ქართველი ქალის პორტრეტი, ტროპინინი  
Fig. 67. Portrait of an Unknown Georgian Woman, Tropinin

ინტერესს მოკლებული არ არის რუსეთის არმიის ოფიცრის **პლატონ ივანეს ძე ჩელიშჩევის** ნახატების წიგნი-ალბომები, რომლებშიც შეტანილია საქართველოში ცხოვრების ათწლეულის (1830-1840) განმავლობაში შესრულებული ეტიუდები, ჩანახატები და შარჟები[10]. პლატონ ჩელიშჩევის (1804-18??) შესახებ ბიოგრაფიული მონაცემები ძალზე მწირია. მას არ მიუღია სამხატვრო განათლება და მოყვარული მხატვარი იყო. ამ ფაქტს არ შეუშლია ხელი მისთვის იმაში, რომ წიგნ-ალბომებში შეექმნა მთელი ეპოქა. გასაოცარი დაკვირვების უნარის წყალობით, მან შეძლო თითოეული პერსონაჟის ხასიათი და თითქოს-და მოუხელთებელი ნიშან-თვისება ერთი ხელის მოსმით, ზუსტად წარმოეჩინა. მის სურათებში, ჩანახატებსა ეტიუდებში კარგად ჩანს ქართველებისათვის დამახასიათებელი სამოსისა და თავსაბურავის ფორმები და ესა თუ ის ელემენტები.



სურ. 68. ცხენოსანი მილიციელი, ჩელიშჩევი  
Fig. 68. Horse militia, Chelishchev



სურ. 69. თავადის ასული მაიკო ორბელიანი, ჩელიშჩევი  
 Fig. 69. Princess Maiko Orbeliani, Chelishchev



სურ. 70. მეგრელი მილიციელი, ჩელიშჩევი  
Fig. 70. Megrelian policeman Chelishchev

სურ. 71. ლეკური, მეჯვრისხევი, ჩელიშჩევი  
Fig. 71. Iezginka, Meivriskhevi, Chelishchev





გვერდს ვერ ავუვლით გამოჩენილი რუსი პოეტის მიხეილ ლერმონტოვის 1830-იანი წლების კავკასიურ ნახატებს, რომლებშიც კარგად ჩანს ქართველები-სათვის დამახასიათებელი ყოფითი სურათები და სამოსი. პოეტს აკადემიური სამხატვრო განათლება არ მიუღია, მეცადინეობდა ფერმწერ პ. ე. ზაბოლოცკის-თან და კურსი ბოლომდეც არ გაუვლია [11], [12]. ამიტომ ის სრულად მომწიფე-ბული არ იყო, მაგრამ უდავოდ ნიჭით გამოირჩეოდა. მისი ნახატები დინამიკი-თაა აღსავსე და ისეთივე დაუცხრომელ ტემპერამენტს, ექსპანსიურობასა და ემო-ციურ დამაბულობას ავლენენ, როგორც მთლიანად მისი პოეტური შემოქმედება და რაც მთავარია, რეალისტურად გადმოგვცემენ თავადროული ქართველების სამოსსა და აღკაზმულობას (სურ. 72-75).



სურ. 72. ქართველი ქალები სახლის ბანზე, ლერმონტოვი  
Fig. 72. Georgian women on the roof of the house, Lermontov




სურ. 73. თავდასხმა, ლერმონტოვი  
Fig. 73. Ambush, Lermontov



სურ. 74. კავკასიის ხედი, მთიულელები, ლერმონტოვი  
Fig. 75. View of the Caucasus, Mtiuletians, Lermontov





სურ. 75. კავკასიის ხედი, მთიულეები, ლერმონტოვი  
Fig. 75. View of the Caucasus, Mtiuleti, Lermontov

XIX საუკუნის ქართული კოსტიუმის შემადგენელი ელემენტების, მათი ფორმების, ფერისა და ფაქტურის თვალსაჩინოდ წარმოდგენისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს რუსი მხატვრის გრ. გაგარინის შემოქმედებას. ხშირად მას კავკასიის მომდერალს უწოდებენ, იმ სიყვარულისა და განსაკურებული დამოკიდებულებისათვის, რომელიც თავის ხელოვნებაში ჩააქსოვა. რუსეთის იმპერიის სახელმწიფო მოღვაწე, ხელოვნების ისტორიკოსი, არქიტექტორი, მოყვარული მხატვარი, საიმპერატორო ხელოვნების აკადემიის ვიცე პრეზიდენტი (1859-1872 წწ) თავადი გრ. გაგარინი 1840 წლიდან მსახურობდა კავკასიაში და სწორედ კავკასიას უკავშირდება მისი შემოქმედების ყველაზე ნაყოფიერი პერიოდი [13]. ამ დროს შექმნა მან თავისი ყველაზე ცოხილი და საუკეთესო ნაწარმოებები, რომლებიც სხვადასხვა მუზეუმების კუთვნილებაა [14]. ფასდაუდებელია მისი წვლილი ქართული ფრესკული და მინიატურული მხატვრობის ნიმუშების კოპირების გზით მათი შენარჩუნების საქმეში, რადგან ბევრი მათგანი დღეისათვის საკმაოდ დაზიანებულია, ან სულაც განადგურებული. გაგარინი საქართველოში მუშაობდა დანგრეული და მიტოვებული ეკლესიების რესტავრაციასა და მოხატვაზე; მის მიერაა შესრულებული სიონის ტაძრის ინტერიერის მოხატულობის ძირითადი ნაწილი. მან დააპროექტა მართლმადიდებლური ტაძრები თბილისში, ქუთაისში, ბორჯომში, მუხროვანში. 1847 წლისათვის მხატვარს უკვე შექმნილი ჰქონდა თავისი ცნობილი კავკასიური სერიები – ეთნოგრაფიული ჩანახატების, ქალაქური ცხოვრების სცენების, ძველი ტფილისის პეიზაჟების, ყოველდღიური ყოფითი სიუჟეტების სახით. გრ. გაგარინმა ამ ნამუშევრებით, ქართველები და საქართველო და მთლიანად კავკასია, ევროპას გააცნო: 1845 წელს მან პარიზში ფრანგულ ენაზე გამოსცა ალბომის – „კავკასიის სცენები, პეიზაჟები, ზნე-ჩვეულებები და კოსტიუმები“ ორი ნაწილი [15]; 1847-57 წლებში „Le Caucase pittoresque, dessins d'après nature par le Prince Gregorie Gagarine“ / „თვალწარმტაცი კავკასია, ნახატები ნატურიდან შესრულებულია პრინცი გრიგორი გაგარინის მიერ“ სრული სერია [16]; „კავკასიის კოსტიუმები“ და სხვა მრავალი. ყველა მის გამოცემას საფუძვლად ედო ნატურიდან შესრულებული ცხოვრებისეული სცენები, კავკასიური ტიპები და რეალური პერსონები.

შეუძლებელია გულგრილად გაეცნო მის ტფილისურ კომპოზიციებს – ბანებზე მოცეკვავე ახალგაზრდა ქალებს, ქართულ სამოსში გამოწყობილ ულამაზეს მანდილოსნებს და ჭაბუკებს. მხატვარს არ დარჩენია უყურადღებოდ სხვადასხვა კუთხის ხალხის ცხოვრების მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი სამეურნეო-ყოფითი თუ გასართობი სცენები – კახური რთველი თუ ღვინის დაყენება, რელიგიური დღესასწაულები, ნადირობა სამეგრელოში და სხვა მრავალი. მის ამ სურათებში

ქართული ჩაცმულობის მთელი გალერეაა წარმოდგენილი. აქ ნახავთ პერსონაჟებს იმ დროისათვის არსებული ყოველგვარი სახის ჩაცმულობით: აჯილოსან მანდილოსნებს; ქალებს ლამაზ ქათიბებში, მოქარგულ ჩიხტიკოპებსა და ჰაეროვან მანდილებში; ახლგაზრდა მამაკაცებს სრული სამხედრო აღკაზმულობით; იმდროინდელი მაღალი საზოგადოების ბანოვანებს მდიდრული სამოსით და სხვა მრავალ, მართლაც თვალწარმტაც და მომაჯადოებელ, ამავდროულად რეალურ ფორმებს ქართული ეროვნული ჩაცმულობისა (სურ. 76-85)



სურ. 76. თბილისის ბანი, გაგარინი  
Fig. 76. Roof in Tbilisi

სურ. 77. თავადის ქალი მარტა სოლოლაშვილი, გაგარინი  
Fig. 77. Princess Martha Sologashvili, Gagarin







სურ. 78. რთველი კახეთში, გაგარინი  
Fig. 78. Vintaging in Kakheti, Gagarin

სურ. 81. იმერელი, გაგარინი  
Fig. 81. Tushetian man, Gagarin

სურ. 82. ქართველი ქალი, გაგარინი  
Fig. 82. Georgian prince, Gagarin

სურ. 81. თუში, გაგარინი  
Fig. 81. Tushetian man, Gagarin

სურ. 82. ქართველი თავადი, გაგარინი  
Fig. 82. Georgian prince, Gagarin





სურ. 80. უცნობი, გაგარინი  
Fig. 80. Stranger, Gagarin

სურ. 79. თბილისელი ქალი, გაგარინი  
Fig. 79. Woman from Tiflis, Gagarin










სურ. 83. მაიკო ორბელიანი, გაგარინი  
Fig. 83. Maiko Orbeliani, Gagarin

სურ. 85. თბილისის ბაღებში, გაგარინი  
Fig. 85. In the gardens of Tbilisi, Gagarin







სურ. 84. ქალიშვილი დაირით, გაგარინი  
Fig. 84. Girl with a timbrel, Gagarin

როგორც ვხედავთ, რუსი ავტორებისა და მხატვრების ნაწარმოებებში უმნიშვნელო ადგილი არ უკავია ქართული ტრადიციული სამოსის თემას. განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა რუსი მხატვრების ნატურიდან შესრულებული სურათები, რომლებიც თვალნათლივ გვიჩვენებს ავტორის თანადროული კოსტიუმის ფერთა პალეტას, ფორმათა დახვეწილობას და საერთო მოხდენილობას. ცხადია, რომ დიდია მათი მნიშვნელობა, რადგან, როდესაც ჯერ კიდევ არ არსებობდა ფოტოგრაფია, სწორედ მათი საშუალებით გვაქვს შესაძლებლობა, რეალური წარმოდგენა ვიქონიოთ ქართული კოსტიუმის ვიზუალური მხრის შესახებ. ამავდროულად ხაზგასასმელია, რომ რუსულ წერილობით და სახვით მასალებში ასახული რეალობა წარმოდგენას უყალიბებდა იმდროინდელ რუსულ საზოგადოებას საქართველოსა და ქართველების შესახებ და გარკვეულ ზეგავლენებსაც ახდენდა მათზე.

## წყაროები და გამოყენებული ლიტერატურა

1. ფედოტ ელჩინის მუხლობრივი აღწერილობა. გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარაიევის ელჩობათა მასალები 1636-1640 წლები, თარგმანი ვლ. ჩხიკვაძისა, რედაქტორი ჯ. გამახარია, თბილისი 2014, გვ. 310.
2. Статейный список посольства в Имеретию 1650-1652 гг., составленный Алексеем Иевлевым. Тб. Мецниереба. 1969
3. ალექსი იეველეს 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა, თბ., 1969.
4. Rechberg, Charles de. Les peuples de la Russie, ou description des moeurs, usages et costumes des diverses nations de l'empire de Russi. Paris: D. Colas, 1813.
5. Торнау, Ф. Ф. Воспоминания о Кавказе и Грузии Русский вестник. 1869, т. 79, №№: 1 (с. 5-36); 2 (с. 401-443); 3 (с. 102-155); 4 (с. 658-707).
6. Евецкий, О. Статистическое описание Закавказского края, Санктпетербург, 1835.
7. Кавказ в картинах Н.Г. Чернецова. Искусство.  
<https://slan1934.livejournal.com/254593.html> 11 ноября 2019, 22:42
8. Чернецов Никанор Григорьевич Картины и биография. Арт Планета Small Bay. художественно-исторический музей.  
[https://smallbay.ru/artrussia/cherneztov\\_nikanor.html](https://smallbay.ru/artrussia/cherneztov_nikanor.html).
9. შარაძე, გ. ტროპინინის "უცნობი ქართველი ქალის პორტრეტი" // საბჭოთა ხელოვნება. - 1969. - N10. - გვ.77-80.
10. Челищев Платон. ЗАПИСКИ О ХУДОЖНИКАХ архив Наталии Павловны 26.02.2015 <http://babanata.ru/?p=15461>
11. Гроссман Л. Лермонтов и культуры Востока // М. Ю. Лермонтов / АН СССР. Ин-т рус. лит. (Пушкин. Дом). — М.: Изд-во АН СССР, 1941. — Кн. I. — С. 673—744. — (Лит. наследство; Т. 43/44).
12. Соснина, Е. Лермонтовские реликвии в пространстве пятигорского музея поэта. *Журнал «Третьяковская галерея»* N 4 2019 (65) <https://www.tg-m.ru/articles/4-2019-65/lermontovskie-relikvii-v-prostranstve-pyatigorskogo-muzeya-poeta>
13. Безгубова А.А. Григорий Гагарин и его литографический альбом "Le caucase pittoresque" // Культурная жизнь Юга России. – 2011. – № 5 (43). – С. 83-85; [Электронный ресурс]. – URL: <https://cyberleninka.ru/article/n/grigoriy-gagarin-i-ego-litograficheskiy-albom-le-caucase-pittoresque> (21.02.2019).
14. Коргмасов М. Кавказский художник князь Г. Гагарин / М. Доногоно-Коргмас. – Махачкала: Даг. кн. изд-во, 1993. – 63 л.: ил., портр.
15. Stackelberg, E., Scènes, paysages, moeurs et costumes du Caucase, dessinés d'après nature par le Prince G. Gagarine, et accompagnés d'un texte par le Comte E. Stackelberg, Paris 1845.  
<https://new.runivers.ru/bookreader/book45273/#page/1/mode/1up>
16. Stackelberg E., Gagarine G. Le Caucase pittoresque dessine d'apres nature par le prince Gregoire Gagarine Paris 1847.

[https://commons.wikimedia.org/wiki/Category:Le\\_Caucase\\_pittoresque\\_dessine\\_d%27apre\\_nature\\_par\\_le\\_prince\\_Gregoire\\_Gagarine](https://commons.wikimedia.org/wiki/Category:Le_Caucase_pittoresque_dessine_d%27apre_nature_par_le_prince_Gregoire_Gagarine)

17. Dolidze, N., Datuashvili, M., Ugrexelidze, I., Charkviani, I., Chirgadze, K., Lursamanashvili, L., & Kvantidze, G. (2016). *Research of Georgian national clothes according to written sources, museum exponents and iconographic materials*. Kutaisi: ATSU.
18. Dolidze, N., Datuashvili, M., Ugrexelidze, I., Charkviani, I., Chirgadze, K., Lursamanashvili, L., & Kvantidze, G. (2017). *Illustrated reference book of georgian national clothing*. Kutaisi: ATSU.
19. Ugrekhelidze I., Kartsidze N., Chubinidze E. (2020). Historic Georgian Costumes in Turkish Miniatures. *Personality and society: problems of interaction” To the 185-th Anniversary of Seyyid Azim Shirvani*, (pp. 183-188).
20. Ugrekhelidze, I. (2013). *Costume of Medieval Georgia*. Kutaisi: ATSU.
21. Ugrekhelidze, I. (2021). Georgian men’s dress of XVII century: According to a comparative analysis of the paintings of the Italian missionary Cristoforo de Castelli and Georgian fine arts’ sources. *Linguistics and Culture Review*, 5(S4), 1161-1175.
22. Ugrekhelidze, I., & Kartsidze, N. (2022). Georgian Women’s Clothing According to the Album of Cristoforo De Castelli–Artist’s Fantasy or Reality. *Proceedings of the Georgian National Academy of Sciences. Series of History, Archeology, Ethnology and Art History*. (I), 149-166.
23. Ugrekhelidze, I., Chubinidze, E., & Kartsidze, N. (2021). Comparative Analysis of Georgian Historical Costume Forms Preserved in Foreign and Local Fine Arts Sources. In *Proceedings of V International Scientific Conference „Culture and Art in Contemporary Context“* (pp. 134-143).
24. Ugrekhelidze, I., Kartsidze, N., & Chubinidze, E. (2019). Traditional Georgian Clothing from Foreign Sources. In *Archival Studies, Source Studies–Trends and Challenges: Materials of the International Conference* (pp. 272-275).
25. Ugrekhelidze, I., Kartsidze, N., & Chubinidze, E. (2020). Georgians and Their Manner of Dress in the Resources of XV-XVII Century Italian Authors. *Theoretical & Applied Science*, (12), 118-124.
26. Ugrekhelidze, I., Kartsidze, N., & Chubinidze, E. (2021). Georgian Dress Reflected in German Sources of XVI-XIX Centuries. In *„Museum and Globalization “Materials from the international conference* (pp. 113-122).
27. Ugrekhelidze, I., Kartsidze, N., & Chubinidze, E. (2021). The Study of Georgian Historical Costumes Based on the 16th-Century Ottoman Material Sources. *History, Archaeology, Ethnology*, (V), 304-313.
28. Ugrekhelidze, I., Kartsidze, N., & Chubinidze, E. (2021). XVII Century French Written and Fine Sources on Georgian Attire. In *Fundamental and Applied Research in the Modern World: Proceedings of the 10th International Scientific and Practical Conference* (pp. 151-162).

## შინაარსი

რედაქტორისაგან .....	5
წინასიტყვაობა.....	7
ქართული კოსტიუმი უცხოურ წერილობით და სახვით წყაროებში.....	9
მასალები XVI საუკუნის ოსმალური წყაროდან ქართული ისტორიული კოსტიუმის შესწავლისათვის .....	10
წყაროები და გამოყენებული ლიტერატურა .....	22
<b>THE STUDY OF GEORGIAN HISTORICAL COSTUMES BASED ON THE 16TH- CENTURY OTTOMAN MATERIAL SOURCES .....</b>	<b>23</b>
References .....	25
ქართველები და ქართველთა ჩაცმულობა XV- XIX საუკუნეების იტალიელ ავტორთა წყაროებში .....	27
წყაროები და გამოყენებული ლიტერატურა .....	81
<b>GEORGIANS AND THEIR MANNER OF DRESS IN THE RESOURCES OF XV- XVII CENTURY ITALIAN AUTHORS.....</b>	<b>84</b>
References: .....	89
<b>GEORGIAN MEN’S DRESS OF XVII CENTURY .....</b>	<b>91</b>
References: .....	98
XVII- XIX საუკუნეების ფრანგული წერილობითი და სახვითი წყაროები ქართველთა ჩაცმულობის შესახებ .....	103
წყაროები და გამოყენებული ლიტერატურა .....	124
<b>XVII CENTURY FRENCH WRITTEN AND FINE SOURCES ON GEORGIAN ATTIRE.....</b>	<b>125</b>
References: .....	129
XVI-XIX საუკუნეების გერმანულ წყაროებში ასახული ქართული ჩაცმულობა.....	131
წყაროები და გამოყენებული ლიტერატურა .....	156
XVII- XIX საუკუნეების რუსულ წერილობით და სახვით წყაროებში ასახული ქართული კოსტიუმი .....	159
წყაროები და გამოყენებული ლიტერატურა .....	188

